

ხმწინამ უჯი



მამუკა აბაშიანი

№ 1 (14)

ალექსანდრე ყაზბეგი - 175


მე მთიელი პაწკ

მე მთიელი ვარ, არ ვიცი
თქმა და უკუთქმა სიტყვისა;
საღსა კლდეს ფიქრი არა აქვს
არც წვიმის, არცა სეტყვისა.

ბევრჯელაჯ ზეცა დასჭექებს
და ბევრჯელ მეხი დაჭკრავსო,
მაგრამ მთას გუდა-ნაბადი
თავისი ზედვე აკრავსო.

ვინც მიყვარს, მიყვარს ნამდვილად,
მისკენ მაქვს ფიქრი, გონება,
ცხადათა, ძილში, სიზმარში
გული მას დაეკონება.

მის ყოფნით მხოლოდ ქვეყანა
თვალს და გულს მოეწონება,
სულიცა გალადებული,
თუნდ ზეცას აეწონება.



ედემში ლხინად რომ ვიყო,
გრძნობას ის მოეჩვენება,
თუნდ ჯოჯონეთში ვიწოდე,
წინ ხატად დამესვენება.


უმისოდ ყველა ფუჭია –
ლხინიც კი მომეწყინება,
მთად ცვაზსა მზე თუ განშორდა,
სიცვიით გაიყინება.

„ხმონახე უჯი“

აკრილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2023 წელი



სტუმარი ჟურნალი — „რიწა“

ნანა ქარდავა	2
ირაკლი შამათავა	3
მურმან კვარაცხელია	5
ბათუ დანელია	6
მადონა დვალი	7
ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე	8
ნანა ჯეჯეია	10
ელენე დვინჯილია	13
დალილა ცატავა	15

აკოეზია

მირანდა ერისთავი	18
ქეთევან ნათელაძე	21

კუბლიცისტიკა

ჯემალ მეხრიშვილი	
მოულოდნელი შეჯახება პოეზიის მეტეორთან	24

აკოეზია

ვაჟა ოთარაშვილი	34
ეკა კვანტალიანი	36

იუბილე

ნანა ჭიჭინაძე	
რევაზ ტაკიძე - 80	37

ახალი სახელები

ანანო გოგიშვილი	41
-----------------------	----

იუბილე

ნანა ჭიჭინაძე	
გურამ ქაშაკაშვილი - 90	45

აკოეზია

ნინო არსენიშვილი	50
თინა გახელაძე	52
გიო ზედგაკელი	53
გიორგი ჩაჩანიძე	55

თარგმანი

კატერინა სუსანა პრიჩარდი	56
გაბრიელა მისტრალი	61

სელოვანი

მარია პოპიაშვილი	
თემურ ვეითელაშვილის სოლო კონცერტი	
და ვარსკვლავის გახსნა	63



ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვასხენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ მამუკა ყავრელიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სამბო ქარმიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:
ამირან კოლიაშვილის და
თეიმურაზ კოლიაშვილის ფოტოებით

ლიტერატურული აღმანახმა „ხორნაბუჯმა“ და ლიტერატურულმა ჟურნალმა „რიწამ“ ჩვენი ავტორების ერთგვარი გაცვლა მოვახდინეთ და ამიტომ ჩვენი აღმანახის ეს ნომერი ჟურნალ „რიწის“ ავტორებით იხსნება

ჟურნალი „რიწა“ 1968 წელს დაარსდა. ანუ წელს საიუბილეო წელი აქვს, ჟურნალი 55 წლის ხდება, რასაც გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგებს. იგი გამოიცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით. სხვადასხვა პერიოდებში მას რედაქტორობდნენ: მოსე გვასალია, ოთარ ჭურღულია, გიორგი სიჭინავა, გურამ ოდიშარია, გივი ბერაია, ზაურ კალანდია, ხოლო 2020 წლიდან ლიტერატურულ ჟურნალის – „რიწა“, რედაქტორია ნანა ქარდავა.



ნანა ქარდავა

წერილი შვილს

შენ იმ კუთხის შვილი ხარ, სადაც მიწა ქრისტეს გულივით თბილია, სადაც წყალს დედის ცრემლის გემო აქვს, სადაც ჰაერი შენი წინაპრის ამონახუნთქია...

შენ იმ მიწისა ხარ, რომელსაც ძლიერი ყივილი სცოდნია – გეძახის, გიხმობს გამუდმებით, მომეფერეო, მომიარეო... იმ მიწას და ჰაერს აფხაზეთი ჰქვია. შენ იქ არასოდეს ყოფილხარ, ვერ იქნებოდი... მე კი არ დაეუშვებ, რომ არ გიყვარდეს, რომ არ გესიზმრებოდეს. იმისათვის, რომ წარმოსახვით მაინც მოგატარო ჩვენი მხარე, ეხო და სახლი, მოგიყვები... მოგიყვები ჩემს ბავშვობას, მოგიყვები სილამაზეს, მოგიყვები ზღვის სიცისფრეს, მთების სილურჯეს, დილის სითბოს, მოგიყვები საღამოს ჩამავალი მზის სიდიადეს... ყველაფერს მოგიყვები, ყველაფერს დაგანახებ.

ერთხელ, ძალიან პატარამ მკითხე, დედა, სოხუმი რა არისო. შენ ვერ შენიშნავდი, როგორ უსიამოდ გამაჟრჟოლა. რატომღაც მანამდე მეგონა, სოხუმი თავისთავად გეცოდინებოდა და გეყვარებოდა. მაშინ გიპასუხე, სოხუმი მწვანეში ჩაფლული თეთრი ქალაქია-თქო. დღეს მინდა დავაძაბო და კარგად მომისმინე: სოხუმი ოცნებისა და სიყვარულის ქალაქია, სოხუმი ნათესაობისა და მეგობრობის ქალაქია, სოხუმი პატარა და უდიდესი ქალაქია, სოხუმი მწვანეში ჩაფლული თეთრი ქალაქია. სოხუმი მწვანეში ჩაფლული თეთრი ქალაქია. სოხუმი განსაკუთრებული ურთიერთობები ჰქონდათ ოდითგან. ვინაიდან, სოხუმელებს დიდი სიყვარული, შრომა და თანადგომა შეუძლიათ. სოხუმელია დედაშენი, შენი ბაბუა, ბებია და უმეტესობა იმ ხალხისა, ვისაც შენ იცნობ. სოხუმელთა ძველი თაობა ნელ-ნელა მიდის, უსოხუმოდ მიდის... მაგრამ მოდიხარ თქვენ – უსოხუმოდ მოსული სოხუმელები.

გახსოვს, ამ ზაფხულს, ქობულეთში ვიღაც შეგეკითხა, საიდან ხარო, შენ ჯერ მე შემომხედე და შემდეგ უცნობს მიუგე, სოხუმელი ვარო. მე ჯიუტად მჯერა, რომ ეს პასუხი არ იყო მართო ჩემი გულის მოსაგებად ნათქვამი, შენ სოხუმელი უნდა იყო ყოველთვის, სადაც არ უნდა იცხოვრო, სადაც არ უნდა მიგიყვანოს შენმა ბედისწერამ. გულისგულში ერთი პატარა ძარღვი უნდა ძგერდეს მუდმივად, რომლის ყოველი დარტყმა, ყოველი ბიძგი შეგახსენებს, რომ შენ უკეთესად უნდა ისწავლო, სხვაზე მეტი სიყვარული უნდა შეძლო, სხვაზე მეტი უნდა გაცე. ეს ძალიან ადვილია, როცა ღრმად გრძნობ გულის წიკწიკს აყოლილ ძახილს: სო-ხუ-მი! სო-ხუ-მი!

სოხუმის დილა ადრე მტრედისფერი იყო. ახლა, ალბათ, წითელ ბურუსში იღვიძებს ქალაქი, იქ დახოცილ საუკეთესო ქართველთა სისხლითაა გაჯერებული ალიონი. გახსოვდეს და გიყვარდეს ქართველობისა და სიყვარულისათვის მოკლული თითოეული სული!

ჩემ ახლობელს, შვილის საფლავზე აღებული ერთი მუჭა მიწა აქვს წამოღებული, თავსაფარში გამოხვეული, ხატივით უსვენია ერთადერთი ოთახის ნათელ კუთხეში, – ამ მიწას რომ ვუყურებ, ასე მგონია, მეც წამოვიღე-მეთქი იქედან რაღაც... ჰო, წამოვიღე – ჩემი წილიცა, ჩემი წილი ზღვა, ჩემი წილი ჰაერი და გამუდმებით თან დამაქვს... იქ კი, ჩემი სახლი და ბავშვობა დამრჩა... ხშირად მგონია, ბავშვობაწარმეულთა სუსტი ხელები შესდგომიან-მეთქი სვეტებივით ჩემი კუთხის ცარგვალს, ცოდვისაგან დამძიმებულ მიწას რომ არ დაენარცხოს ქვეთინით...

ადამიანი ძალიან პატარაა, შვილო, ძალიან პატარა... ერთი ყვავილის ღეროა მიწიდან ამოსული, განხება და ისევე მიწად უნდა იქცეს. მაგრამ ყვავილის ღეროს აქვს ფესვები, საიდანაც საზრდობს. მეც ყვავილის ღერო ვარ, ჩემი ფესვები აფხაზეთშია, შენ კი ჩემი გაშლილი ყვავილი ხარ – ჩემი ნაყოფი. გინდა ყვავილის ღეროს ლოცვა მოგასმენინო? „უფალო, შენ ხომ იცი, ჩემი ფესვები სადაცაა. ჰოდა, ერთადერთს შეგთხოვ – ჩემი ნაყოფიც ჩემს ფესვებთან დაეცეს!“

ირალის ბათია

გამყვანი პუნქტი

1992 წლის შემოდგომა... სულ რაღაც ხუთი წლის ვარ. ამ ასაკში შეუძლებელია ყველაფრის ზედმიწევნით გახსენება! ერთადერთი, რაც კარგად მახსოვს საყვირის ხმა და ბუნდოვანად გარჩეული სიტყვები – სწრაფად დატოვებულ სოფელი, ომია და მტერი გვიახლოვდება... არაფრით მესმოდა ვინ მოგვლევდა და ვერც ის წარმომედგინა, ჩვენს კეთილშობილ და სტუმართმოყვარე ოჯახს რანაირად შეიძლება ავისმოსურნე ჰყოლოდა! სხვათა შორის, ეს „ხმა“ დღემდე მომდევს და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სულ სადღაც გავრბივარ, მას მერე ხომ ადგილუპოვნელი გაეხდი.

ომის წყალობით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში პირველი ხელოვნური საზღვარი გაჩნდა – ბარიკადები ენგურის ხილთან, რომელმაც ჩახერგა მშვიდობიანი ურთიერთობა და განსხვავებული პულსაციით ააძგერა მოძველებული გულები. დღეს, მემამათიანე ხიდი გახდა შინდასაბრუნებელთა გზაგადაკვეთი და რუკის ფუნქციის მატარებელი.

მდინარე ენგურს გამოვლია, სოფელ რუხთან დავრჩით სრულიად უქონლები. რაც ომის ქარცეცხლს გადაურჩა (გგულისხმობს წვრილმან საყოფაცხოვრებო ნივთებს), ისიც მხედრიონელებმა წაგვართვეს. თითქოს „მავთულხლართების ქალაქი“, გამოვექვეცით, მაგრამ არანაკლები ბარიერები აღიმართა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სამაგიეროდ, ჭირიც მარგებელიაო რომ იტყვიან, გაძარცვულებმა და უსახლკაროებმა ერთი რამ მოვიპოვეთ, – დევნილის სტატუსი, (ისიც, თუ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა არ განმარტა, დღემდე ვერ გაემიჯნა ლტოლვილისას).

სტატუსზე გამახსენდა, იმ რთულ წლებში, ერთი ბუზღუნა ქალი გადაეკიდა დედას: – განა კმაყოფილი არ ხარო? ომმა ბაღებისა და სასტუმროების პრიატიზების შესაძლებლობა მოგცათო, რაზეც დედა აუღელვებლად პასუხობდა: – კმაყოფილება და უკმაყოფილება ცხოვრების მონაპოვარია. პირველს ხასიათი და მდგომარეობა განაპირობებს, უკანასკნელს – უქონლობა. ოცდაათი წლის ასაკში, ზღვა ადამიანური დანაკარგის ფონზე, ხელახლა ვიწყებთ ცხოვრებას, შენ კი ნუგეშის ნაცვლად... ბაბილონურ ენებზე მოსაუბრე ქალებს ვგავართ ჩვენ, არ გვესმის ერთმანეთის გაჭირვების და არც ღირს წყენამ მოწამლოს მეზობლური ურთიერთობა.

ასე დაიწყო მომთაბარეობა, ჩემოდნით წანწალი სოფ-



ლიდან – სოფელში, ქალაქიდან – ქალაქში. გაქცევა სახლებიდან, მერე საკუთარი თავებიდან, საბოლოო განაჩენი – უმისამართო მოგზაურობა. არ გვექონდა კომპასი, არც გეზი უსწავლებია ვინმეს. ავადსახსენებელ წლებში, განა ვინმეს შეეძლო მეგზურობა. მაინც რაღაცნაირად გადავრჩით!.. დაგვეფერფლეს და ისევ ფენიქსივით აღვსდექით. როგორც მოკვდავებს, უამრავი რამ დაგვეჭირდა, არა ფუფუნებისთვის, არამედ საარსებოდ, თავის გასატანად! ბავშვური ქვეცნობიერი ვერ იგებდა, რატომ ვიწვექით იატაკზე, რა იქნა სათამაშოები და რას ნიშნავდა ასე ყოველ წუთში ნათქვამი სიტყვა უსახლკარობა. არც ის მესმოდა, თაკარა სიცხეში ან წვიმაში რატომ ვიდექით პურის, ნავთის, ჰუმანიტარული დახმარების თუ ათასი რამის რიგებში. არც ის მესმოდა, სკოლაში შესვლის პირველივე დღეს რატომ მეუბნებოდა თანაკლასელი: – ომი იმიტომ მოხდა, ქართული ენა რომ დაივიწყეთ და სათანადო პატივი არ ეცითო!.. (კლასელის სიძულვილის ენაზე მხრებს ვიჩეჩავდი, რა პასუხი უნდა მქონოდა).

ოთხმოცდაათიანების საქართველოში უცებ გავიარე ბავშვობადაკარგულობა და ცეცხლს გადარჩენილი ფოტომატიანეთი შევეცადე აღმედგინა ენგურზე ცურვის (ნაადრევად) დაუფლება, თევზაობა, საპოვნელას, ნიშნანიშნას, კლასობანას, ომობანას და ორდროშობანას თამაში. გამახსენდა, დიდედას ვებერთელა ეხოში როგორ ვიკრიბებოდით ბიძაშვილები და მშვენიერ სოფიას გვირილებით ვუმტკიცებდით სიყვარულს. წლების მერე, გვირილის ყოველ შეხებაზე „მიყვარხარ, არმიყვარხარ“ ჩანაცვლდა – „დავბრუნდებით, არდავბრუნდებით“.

გადარჩენისთვის საჭირო იყო ერთმანეთის ხათრით და ჯიბრით ცხოვრება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ნახ-

ათრალ-ნაჯობრალმა სიცოცხლემ არ გაამართლა და მთავარი კომპონენტი – სიყვარული გამოგვრჩა. მივხვდი იმასაც, რომ ცხოვრება საოცრად ჰგავდა შავ-თეთრ გამოსახულებიან გაბლენდილ ტელევიზორში ნაჩვენებ მოკლემეტრაჟიან ფილმს და იგი სულაც არ იყო ველოსიპედის ტარებასავით მარტივი... რომ ქრისტიანის ოჯახში დაბადებული კაცი, ჯვარს იმისთვის არ ვატარებდი, რწმენა სა(ყოველ)თაოდ აღიარებული (მოდური) არ იყო. სააღდგომო კვერცხი, ასოციაციით, ნებისმიერი ფერი შეიძლება ყოფილიყო, გარდა წითლისა!.. რომ არ შეგვეძლო გვექონდა ჩვეულებრივი, ტრადიციული აღდგომა და მუდამ ვეძიებდით მისტიკურ ჯვარცმას.

ისეთი განცდა მაქვს, ლარნაკში გამხმარ ყვაილს რომ შეიძლება დაეუფლოს. ომისდროინდელ ჭრილობას ვერ ვშველი, თორემ უბრალო ქრისტესისხლათი იარა მრავალგზის მომიჩინია... ქვეჯაში დანაყულ ნიორივით ვარ! ვცდილობ ტკივილის მხატვრულად მოგერიება ვისწავლო და მას ყოველ ჯერზე ინდივიდუალური თერაპიით ვუბრუნდები!.. შემოდგომის სუსხში, უტანსაცმლოდ დარჩენილ მოზარდს, არაფრით მეჯერა, რომ ომის კადრების პარალელურად სხვა ცხოვრებაც არსებობდა... რომ ადამიანები იარაღის სასხლეტზე მხოლოდ თითის გამოკერით კი არ ერთობოდნენ, ან ხელოვნური საზღვრების დაკანონებით, არამედ – სხვა უფრო ზეადმატებულზე ფიქრითაც. რომ მიუხედავად პურის რიგებისა, ლამფის დაუვიწყარი სუნისა თუ მეზობლისგან ნასესხები ხახვის ან ღერღილის ფქვილისა, გაცილებით ერთმუშტად-შეკრულნი ვიყავით... ჭირიც საერთო იყო და ლხინიც საზიარო, ომისას დარღის მოკავშირენი გავხდით, შევიქმენით ხელოვნური იმედი და გათითოკაცებით ცხოვრებაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვით (სხვათა შორის, ეს ერთობაც ომმა გვასწავლა და იმაზე შიშმა, სახვალოდ ბევრად მეტი არ დაგვეკარგა. ბავშვობადა-კარგულობის მერე დიდი ალბათობით, – ცხოვრებადა-კარგულიც შეიძლება გავმხდარიყავი).

ომმა სამწუხარო ჭეშმარიტება დაგვანახა. ხელის ერთი მოსმით გაგვიქრო ქართულ-აფხაზური, ათასწლეულობით შესისხლხორცებული იდილია. გაუკაცრიელდა კარ-მიდამო, ხოლო მარანს, სადაც უწინ ვაზის ნაჟურს ვასხამდით, მორიელები შეესივნენ. ისლით დახურულ ოდას საბუხრე მოერღვა; დაცარიელდა ნალიაცა და ბეღელიც. თავლაში ნაკელი გახმა და არც მსხვილფეხა საქონლის აბდავლება ისმის, სადამო ხანს სახლის კართან მომდგართ რომ სჩვეოდათ. ჭამდე მისასვლელი ბილიკი ეკალ-ბარდებით დაიფარა. ქანდარაზე გადმომდგარი მოკუნტული ქათმების ადგილას ყვაევებმა იწყეს ბოინი და ყრანტალით აიკლეს იქაურობა. თურმე ისეთი ამაზრზენი სანახავია სოფელი, რომ ძველებურად შიში მიჰყვრობს, ზუსტად ისე, მეხის გავარღნისას რომ მეუფლებოდა და აფორიაქებული კარადა-

ში ვიფუხებოდი, ვიდრე გრუხუნის ხმა არ მინავლდებოდა. ასე გაიქცა წლები. ჩვენ, ბავშვობადა-კარგულები, გავიზარდეთ, ცხოვრების გზა გავისიგრძეგანეთ და აწ უკვე დიდ ბავშვებს შანელის ფერებით კი არ გვსურს სამყაროს აღქმა, არამედ სხვა უფრო მხიარული კოლეით. ფერი, სადაც არ არის შავი და თეთრი... ფერი, რომელშიც ყოველივე არ მეწამულისფერდება, არამედ მანათობელ მზესავით ხასხასაა!

ყველა ალიონზე ის განცდა მაქვს, ჰა და ჰა, საცაა აფხაზეთის მთებიდან ამოიწვევება მზე და ბოლოს თავს ისევ ზღვისპირეთში დაიხრჩობს. იქ, სადაც სამყარო ყველაზე იდუმალი და რომანტიკულია. „დაკარგული სამოთხის“ მადიებელი მარტო ჯონ მილტონი კი არა, ყველა ოთხმოცდაათიანელია!..

არ მინდა მახსოვდეს ომის სისასტიკე, მაგრამ არც დავიწყება მინდა. რადგან ომის პარალელურად, მახსენდება ჟამთააღმწერელი ნაძვის ხე, რომელიც სულ ერთი ციდა დაეტოვე და გიგანტურად გაზრდილი დამხვდა. მახსენდება მამის დაპირება, ერთად მოვრთოთ საახალწლოდ და შენ ყველაზე გასაოცარი ნაძვი გექნებო... მახსენდება მეზობლისგან გამოგზავნილი ფოტო, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ჩემს ბუნდოვან მეხსიერებაში შემორჩენილ სახლთან... მახსენდება აწგარდაცვლილი ბიძის აღტაცებული თხრობა: – საოცრად იწვოდა სოფელი და ათას ფერებში ინაცრებოდა იქაურობა, დამუხჯებული კაცი კი ვცდილობდი მიმელო ყოველივე ისე, როგორც ბედისწერის საჩუქარი... მახსოვს ენგურს გამოღმა დარჩენილი ბავშვი, ღამის სიზმრებში, როგორ ვმოგზაურობდი ენგურს გაღმით. ვეძებდი ბავშვობისდროინდელ სურნელს, რეკანისა და პიტნის მძაფრ სუნს, ყოველ ზაფხულს ბოსტნიდან რომ ამოდიოდა.

კიდევ ერთი ძალიან თბილი სუნი მახსოვს, ბებიანემის კალთის სურნელი, სულ პატარა რომ ჩაკვიდებდი ხელს და მთელი ძალით ვებლაუჭებოდი. ამ სურნელს მე ჩაჭიდების და განუყრელობის სურნელი დავარქვი... ეს სურნელი სამუდამოდ აფხაზეთში დარჩა, ომის დროსაც და მერეც, – როგორც წმინდა რელიკვია... ის სამუდამოდ იქ განისვენებს.

რაც ფრაგმენტულად მახსოვს და ბუნდოვნად, ნელ-ნელა ისიც ქრება. მე მინდა ისე ძლიერ მახსოვდეს, რომ ეს მეხსიერება გადავცე ჩემს შვილებს, მათ კიდევ თავიანთ შვილებს, კავშირი იყოს მარადიული და უწყვეტი... მანამ, სანამ განსხვავებული პულსაციით ამგვარებული გულეები კვლავ არ შეერთდება და ხელოვნური საზღვრები არ მოირღვევა.

მანამდე კი, ისღა დაგვრჩენია, ქრონიკული დევნილობით დაღლილებმა ერთმანეთისთვის ვილოცოთ, შევწყვიტოთ კონფლიქტი არაფრის გამო და ღმერთს შევთხოვოთ, – სამუდამოდ შეწყდეს მავთულხლართობანა...


მორიანი ხვარაცხელია

ფიქრები ფედაზე

სალამოს გვიან დავბრუნდი სამსახურიდან, მაშინვე დედას ოთახს მივაშურე. უკვე შვიდი თვეა საწოლიდან ვეღარ დგებოდა. როცა თვალებში სევდაჩამდგარს დამინახავდა, ღიმილით მეტყვოდა: არ იდარდო, რვა ათეულს უკვე გადავბიჯე, ეს კი საკმაოდ დიდი გზაა სიცოცხლისა. ვერ შეეგუა თბილისს, აქ იყო, მაგრამ ფიქრებით ისევ იქ სახლობდა, აფხაზეთის ულამაზეს სოფელ კოჩარას დასტრიალებდა, თავისი ხელებით ნაჯაფარ-ნაფერებ ოდაბადეს ეალერსებოდა. იქ ჰქონდა ამოქარგული ყველა ბედნიერი დღე. ენგურს აქეთ გატარებული რვა წელი უძღური აღმოჩენილიყო დაპირისპირებოდა საკუთარი კერიის მადლს. იმ დიდ სახლში ფუსფუსი ენატრებოდა, თავის განსაკუთრებულ მისიას იქ ხედავდა. აქ კი სტუმრად გრძნობდა თავს, მერე რა რომ თავისი შვილის სახლი იყო. მისი მოგონებები მხოლოდ აფხაზეთით იყო გაჟღენთილი. სარკმელს ობოლი ჩიტივით მიეფუჭებოდა ხოლმე, თავის სიჩუმეში გაირინდებოდა და ფიქრის გორგალს გაჰყვებოდა დედა-ღვენილი.

კარი შევადღე თუ არა, სახეზე თბილმა ღიმილმა გადაურბინა. საწოლთან ჩამოუჯექი, ცრემლი გაუბრწყინდა თვალებში. მოვეფერე, დავამშვიდე, ვანუგემე, რომ კარგად იქნებოდა. „სიკვდილის არ მეშინია, – და ხელზე მომეფერა. პირობა მომეცი, რომ იბრძოლებ აფხაზეთის დაბრუნებისთვის. იქიდან წამოსულებს არა გაქვთ უფლება, შეწვიტოთ ფიქრი იმ ღვთიურ მიწაზე. ვიცი, რომ ჩვენი სახლ-კარი განადგურებულია. ერთი პატარა ქოხი ააშენე და კერა მაინც არ ჩააქრო. შენს შვილებს არ დაავიწყო, რომ მათი ფესვი აქ კი არა იქაა. როცა შეილიშვილები გეყოლება, აფხაზეთის მადლით გაზარდე. ჩემი ძელები კი აქ არ დატოვო, მამაშენისა და შენი დის გვერდით მიმაბარე მიწას“.

მეორე დღეს დედამ აიმაწილა, მიაშურა მარადიული ნათლის ბილიკებს. თითქოს დაცარიელდა სახლი, მივხვდი, რომ ის სიცოცხლებდა აფხაზეთს, მის თვალებში იმ სილაყვარდეს ვხედავდი, მხოლოდ ჩვენს მხარეს რომ ჰქონდა. დედის წასვლასთან ერთად ოთახიდან გაიკრიფა ჩემი ბავშვობის ყველა ტკბილი მოგონება, თითქოს მას გაჰყვინენ, მისი თბილი კალთა ვერ მიატოვეს. სახლში მოსვლაც მიძნელებოდა უკვე, ობლობის სიცივე მიძხერდა ყველა კუთხიდან. ჩვენი დიდი ოდაბადის ხატებაც აღარსად იყო, თითქოს ჩარაზულიყო მისკენ მიმავალი ყველა ბილიკი. მივხვდი, რომ დედა მიპურებდა აფხაზეთის მონატრების შიშშილს, ახლა კი თითქოს ჰაერიც აღარ მყოფნიდა. გავიდა დღეები და ერთმა სიზმარმა დაიღო ჩემში ბინა. დავდივარ ჩემი ბავშვობის სახლში და დავეძებ დედას, ხმამაღლა ვუხმობ, ისევ ისეთი უღარდელი, მონატრებული ხმით, როგორც ადრე მქონდა, მაგრამ ის არსადაა. ცრემლიანს მეღვიძება, სულს მიფორიაქებს ეს ჩვენება. ვგრძნობ, რომ ჩემი სახლი მეძახის, თითქოს საშველად მიხმობდეს, უკვე დანგრეული, კერამოშლილი, ცრემლმდინარი, ყრუდ მგმინავი... ახლა უკვე დიდი დიასახლისის გარეშე.



სანამ სოხუმს დავკარგავდით, ერთი წლით ადრე, ჩემი სოფელი კოჩარა დაიკავეს. ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა ბრძოლებს. უამრავი ოჯახის კარი გამოიკეტა. საკუთარი სახლებიდან იძულებით აყრილი ადამიანები დევნილების როლში აღმოჩნდნენ. თბილისში ჩამოსვლისთანავე შევუდექი მასალების შეგროვებას, არ შემეძლო არ დამეწერა იმ დღეების შესახებ. მძიმე და ტკივილიანი წიგნი გამომივიდა, ომის სურნელით გაჟღენთილი, სათაურიც რომ გაფორიაქებს: „კოჩარის სისხლიანი ქრონიკები“. გავიდა წლები და კვლავ მივუბრუნდი აფხაზეთის თემას. ახლა უკვე სხვა თვალთ შევხედე ორ ვრს შორის ჩატეხილი ხიდის პრობლემას. ერთ დროს მეგობრულად, მეზობლურად, სიმშვიდით მცხოვრებნი ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩავეებით. უცნაური კი ისაა, რომ ამ ომს გამარჯვებული არ დარჩა, ორივე დაემარცხდით, სიკეთე არც ერთ მხარეს არ მოუტანა, ორივეს ტკივილიანი ზეცა დაგვეყრებეს. როგორც რიცხობრივად პატარა ერების ბედი, ისინი გვერდით უნდა დაუდგნენ ერთმანეთს, კეთილგონივრულად გადაწყვიტონ მომავლის პრობლემები. სწორედ ამ ფიქრებით დაიწერა ჩემი მეორე წიგნი „ო, აფხაზეთო...“ აქ მხოლოდ ერთი ადამიანის, ავტორის, სევდა არ სახლობს, მის ფურცლებზე აფხაზეთიდან წამოსული თითოეული ქართველის ტკივილი სუნთქავს.

თითქმის ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა დედაჩემის გარდაცვალებიდან. მისი სიტყვები კი მუდამ თან მდევს: „პირობა მომეცი, რომ იბრძოლებ აფხაზეთის დაბრუნებისთვის...“ ეს იყო სააქაოში დარჩენილი მისი ბოლო თხოვნა. სადაცაა შვიდი ათეული ჩამომარცვლება ჩემი სიცოცხლის კალენდარზე. ჩემი მუდმივი თანმდევი სული – აფხაზეთი არ მამღვეს იმის უფლებას, რომ ვლუმდე, კიდევ რაღაც დამრჩა სათქმელი. ბალავარში იმ პატარა აგურის ჩადება უნდა მოვახერხო, რომელიც წაადგება ქართველი და აფხაზი ხალხის შერიგების, ერთიანობის, თანაარსებობისთვის ბრძოლას.

ომი სისასტიკეა, ის სისხლით იკვებება, ფიტავს ეროვნულ ენერგიას, მხოლოდ აწმყოს არ აზარალებს,

მომავლის ბილიკებსაც ანგრევს. ჩვენ ომგადახდილი ქვეყანა გვქვია, სამი ათეული წელი გავიდა უკვე იმ მძიმე დღეებიდან. ეს არ არის მცირე დრო, ბუნებრივია, ბევრ რამეზე დაუფიქრდით, შევაფასეთ, დასკვნებიც გამოვიტანეთ. ამ ომმა ორივე ერი დაგვაზიანა, ორივეგან შვილმკვლარი დედების ტკივილი დააბიჯებს, ორივეგან თბილი ბავშვების სევდიანი თვალები იშინება, ორივეგან დაცალებული ოჯახები მიარღვევენ ცხოვრების ბილიკს. მომხდარს ვერ დავივიწყებთ, მაგრამ ხვალინდელი დღის სიკეთისთვის სიძულვილის ენა აღარ გამოგვადგება, უნდა შევცვალოთ ურთიერთგანწყობა, წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების დრო უკვე მოსულია. მსოფლიო ისტორიას უამრავი ომი ახსოვს, უფრო სასტიკიც, მრავალწლიანიც, მეტმსხვერპლიანიც, გასულა წლები და ეს სახელმწიფოები დღეს მეგობრულად განაგრძობენ თანაარსებობას. ჩვენ კარგად გვახსოვს დიდი სამამულო ომი, რომელმაც მარტო საქართველოდან 350 ათასი ვაჟკაცი შეიწირა. დღეს გერმანიასთან ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს ცივილური ურთიერთობა და იმ მსხვეპლზე აღარ ლაპარაკობენ.

ჩემი ახალი წიგნის მთავარ თემად გადავწყვიტე, რომ ომზე გამარჯვების ზნეობრივი მაგალითები მომეძებნა. ნებისმიერ დაპირისპირებას აქვს ისეთი მომენტები, როცა ადამიანები არ სცნობენ ომის სასტიკ კანონებს, არ ემორჩილებიან სისხლიან ქრონიკებს, ამ დროს სიყვარული იმარჯვებს ყოველგვარ ძალადობაზე. სწორედ ეს გვანარჩუნებინებს ადამიანებს სიამაყესა და ღირსებას. ამ ომშიც ბევრჯერ გაუწოდეს ერთმანეთს დახმარების

ხელი აფხაზებმა და ქართველებმა. ამიტომაც აღარ მინდა ფიქრი ომის სისხლზე, სიკვდილზე, სისასტიკეზე... ახლა უკვე ერთმანეთთან მისასვლელ გზებზე ვფიქრობ. ჩემი კეთილშობილი მამიდები მახსენდება, ორივე აფხაზზე რომ იყო გათხოვილი, არაჩვეულებრივი ოჯახები ჰქონდათ და დიდებულად გვმასპინძლობდნენ. დღემდე მომდევნ მათი მეუღლეების ბრძნული დარიგება. ეს ხაზი არ უნდა გაწყდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ ახალი, მშვიდობიანი რეალობის შექმნა.

კაცობრიობა უკვე დგას განსაცდელის წინაშე, უამრავი გამოწვევაა, რომელთა გამკლავებაც ძალზე რთულია. ჩვენს გასაკეთებელს სხვას ნუ ვთხოვთ, ეს ერთგვარად სათაკილოცაა. ორივე ერში არის იმდენი გონი, სიბრძნე, გამოცდილება, რომ საზიანო ნაბიჯები აღარ გადავდგათ. თორემ მომავალი თაობები აღარ გვაპატიებენ. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს ორივე მხარეს, მათაც დავუგლოთ ყური, გავითვალისწინოთ მათი ნააზრევი, ისინი ხვალინდელი საქართველოს სიძლიერენი არიან.

აფხაზეთი არა მხოლოდ საქართველოს სამოთხე მხარეა, არამედ სამყაროს პატარა მარგალიტია. ისიც ცოცხალი არსებაა, მასაც სტკივა, უხარია, გრძობს, ცრემლობს... ის უფლის საჩუქარია, არ იმსახურებდა ასეთ მოქცევას, მის მკერდზე მკრეხელობა იყო სისხლის დაღვრა, იარაღის გასროლა, ომის კვამლში გახვევა. გაუფრთხილდეთ მას, გაუფრთხილდეთ ერთმანეთს, არ დაგვავიწყდეს უნივერსალური ფორმულა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.



ბათუ ლანელია

უნდა გველოდო აფხაზეთო!

უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო, როგორც არ უნდა გაიწელოს უსამელოდრო! ო, უჩვენობით გულმოკლულო, მაინც დიდგულო, სიზმარში შენს წინ დაჩოქილი, ლოცვებს ვკითხულობ. მე მინდა, ღვთისგან მონიჭებულ წმინდა უფლებით, ანგელოზები დაირაზმონ ერთხელ უკლებლივ და დაგვაბრუნონ შენს ტკბილ მკერდში ჩასახუტებლად, რომ სხვამ ვერ შეძლოს შენი გულის დასაკუთრება... ცა ზაფხულისა რაზე დარობს, ზამთრის – რაზეთოვს, თუკი ჩვენ აღარ გველოდები, შენ, აფხაზეთო?! არ დაუღვია ღმერთს ჩვენს შორის საზღვარ-მიჯნადა – ქართველი – აფხაზს, აფხაზი კი ქართველს ნიშნავდა. სად გაგონილა ცა უშხეო, ზღვა – უხმელეთო და აფხაზეთი – უქართველო?! – უნდა გველოდო! ჩვენ უსიკვდილოდ დაგებრუნდებით სულის ფრთებისთვის, მოვალთ, მოგივალთ და მწუხარე იერს შეგიცვლით, ისე მოგივალთ, როგორც მწყურვალს წყალი კოკიდან და შენთვის დაღვრილ სისხლის ვარდებს უხვად მოგიტანთ... სხვებმა რაც უნდა მოგიტანონ ძვირფასეული – და რაც არ უნდა დაამშვენონ შენი სხეული, და რაც არ უნდა გაიწელოს უსამელოდრო, უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო!



მადონა ღვალი

გასაყბრენა, სოსხუმში დარჩენილ,
ჩემს დაუსრულებელ ნახატებთან

ეძღვნება შერვაშიძე-ჩაჩბას

*სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებლის დირექციას –
ვიტალი ლაკირბას და ზოია შარმატს.*

თქვენთან შეხვედრას ისე მოველი
და თუ სამყარომ თავად იხება,
იმ ნატურმორტში – ლაქა, ყვითელი,
უნდა ვაქციო მანდარინებად

და პეიზაჟში, იმ საზღვრის ზოლებს,
გადავაკეთებ, პორტის თვალებად
და ზედ ტალღების ლურჯ ჯირაზოლებს
დავსვამ წამწამთა ნორჩ სულთანებად.

იმ ჩანახატში, მრუმე ამინდებს
აქ გაგანათებ, ამ ასოებით
და შავი ჭურვის გრძელ პირამიდებს
დავტეხავ კალმის პიკასოებით;

მაგრამ რა ვუთხრა იმ მოდელს – ვოვას,
ჩემს ნახატში რომ იჯდა, ნებიერად,
საპოზიოროდ, რომ ვეღარ მოვა,
იმ ომის გამო დარჩა ხეიბრად.

მისი პორტრეტი სახლის ფარდებმა
ვერ იხსნეს, თურმე თავგაპობილი
აგდია, ტყვიის ლეოპარდებმა
ჩამოუკაწრეს, ნაზი პროფილი;

მისი სათვალის თეთრ სერვანტიდან
გადაცვნილა მთელი ცის ფონი,
მისი გიტარის შავი ბანტიდან
გადაფრენილა მტრედი შიფონი.

მას მერე ფუნჯით არ მეწერება,
ეს ჩემში მხატვრის დაღუპვას უდრის,
მოატყდათ ფანქრებს ფენისწვერები,
ვერ ვეღირსები ვან-გოგის მუნდირს

და პოეზიად წამოიღერა,
რაც მხატვრის ნიჭმა არ ღამაცალა,
მე შენატრება, ძველი სიმღერა,
„ხაშთო ბუბსარა“ და „შაჰმაცარა!“

მამღერეთ – „უგა, უშხა, ბაჰარა!“
მე ჩვენმა მტრობამ ვერ შემირიგა,
მამღერეთ, თორემ მთელ აჩადარას
გადმოვიხატავ მკერდზე სვირინგად!

დრო ამ სიყვარულს ვერაფრით დაფლავს,
საღებავების ზეთის მირონსმას,
ჩემი მოღბურტი არ მისცეთ საფლავს,
აჩუქეთ ვინმე აფხაზ ფიროსმანს!

* * *

ვიხატავდი ცის ამფორას, მზის მირონით სავსე ღოქებს,
მიმტვრევდნენ და მიღწეწავდნენ იმ ღოქსა და იმ ამფორას,
ჩემში ლექსის გალილეო მაინც ვეღარ დააჩოქეს,
ვერ გახადეს პოეზიის პლანეტების ანაფორა.

უკვე, გზები გავიკვლიე ლაბირინთში ამ უკუნის,
სტრიქონებშიც ამოვხსენი ყველა შიფრი ამ ფაილთა,
დედამიწას დავაჯახე პოეზია საუკუნის,
ბებერ ღოგმებს ვუღალატე რომანტიკის რაფაელთან!

უკვე, ისიც გაიშიფრა, ამოიხსნა ის კოდები,
რა ზღაპრებზეც მაწერინა წრფელი ცრემლის იმ მელანმა,
ჩემში ისე იდმოღნენ პოეზიის ჯოკონდები,
ენების ხატთან დააჩოქა თავად მუზის ტამერლანმა!

ის ევა ვარ, ადამისთვის თვით სიცოცხლე რომ გარისკა
(შევუძომწმე სიყვარულის ერთგულება ყველა ტესტზე),
მე მან გულზე დამახალა თვით ღალატის ბალავრის ქვა,
მაგრამ ის ქვაც ავიტანე პოეზიის ვეერესტზე!

ახლა, ლექსის დიდ ლოჟამდე, ეს სტრიქონი თუ ავიდა,
იმიტომ, რომ არ უვლია მედროვის და მონის გზებით,
ალიონი ამოიჭრა მისი ღამის პერანგიდან,
ღილის ლურჯი სკენილებით და ბალთის თეთრი მონაზვნებით.

ღამე - ლექსებზე ვადათარგმნილი

ღამე თარგმნილია - ჯაღო ავისხენი,
 მასზე, არაფერი იქნებ, არც ვწერო და
 იქნებ, მოვიშორო წერის ავი სენი,
 იქნებ ჩამოვიდე მთვარის კენწეროდან.
 ბელთან თამაშია ლექსის დაბადება,
 მაგრამ დავამარცხე ღამე, შხის კარტებით,
 მისი ჩამოკენეტა მე არ დამბრალდება,
 ლექსებს ვაკორტინენ ბასრი ნისკარტებით.
 მე ლექსს ავუშენე ღრუბლის მიზგიოთები,
 ხატად დავუკიდე ოცნების ტრიადა,
 ფრესკად მიუწერე ცრემლის იზიდები,
 მათი ოკეანის ტალღა დატრიალდა;
 ისე გადარეცხა რითმის ნაპირები,
 იყო პოეზიის „ზარზმის“ გლოვის ზარი,
 მე რომ მეგობართან - კრუიზს ვაპირებდი,
 თურმე, ის ყოფილა - ძველი ბალთაზარი!
 მალე გამჟღავნდება ყველა სივერაგე,

ვერვინ გაექცევა მართალ წუთისოფელს,
 მალე დაბრუნდება ყველა ბუმერანგი,
 ყველა გადაკონის თავის მეფისტოფელს!
 თავის სიბოროტეს ვერვინ იუარებს,
 უკვე, დადმართზეა მთელი ის ფერხული,
 მალე გადაშლიან ცოდვის მემუარებს,
 გადაიზომება ყველა ნაფეხური.
 წერას ეს სამყარო, ყველას არ ავალებს,
 ზოგს რომ ცხვარში უშვებს, ზოგსაც - სერვანტესში,
 მე მან განმარიდა მიწის კარნავალებს,
 რადგან გამომფინა ზეცის სერვანტებში.
 ფუჭად ამ ბუნებაში ვის რა დაურიგა?
 სხვა რომ თავს იკლავდა სწავლა - განათლებით,
 მე ამ სულ უბრალო კალმის „ბრაუნინგმა“,
 დროში მასროლინა სიტყვის კამათლები.
 ჩემთვის ამ სამყაროს სული მიუბია,
 ისეთი ხალასი, დრო ვერ გაახუნებს,
 ჩემში პოეზია სულის ტრიუმფია,
 თავის უკვდავების კარს რომ უბრაზუნებს.



მე მოვალ მაშინ,
 როცა ტყეები გადაიცვამენ
 შრიალა კაბას
 და როცა ბუნქებს გაზაფხულის
 ცვარ-ნამი დაბანს.
 როცა იები შეამკობენ
 გამარცვულ მთა-ბარს.
 და მეც ჩავიცვამ ფოთლებისგან
 შეკერილ კაბას.
 მე მოვალ მაშინ,
 ტყის მეუღროებას როს დაარღვევს
 ფოთლების ტაში...
 მე მოვალ მაშინ.

ფიქრები საქართველოზე

ეთერ სამხარაძე-
ჯღამაძე

მე მოვალ მაშინ...

მე მოვალ მაშინ,
 ნუში და ბალი კვირტებს რომ გაშლის,
 შმაგი მდინარე რომ აიყრის
 ზვირთების ფაფარს,
 მოვალ და ალალ სიყვარულზე
 გაიმბობ ზღაპარს.

სხვა არის ეშხი ჩემი მთა-ბარის,
 აქ სიყვარული ახლად იწყება...
 მას ნატერფალი შვენის თამარის,
 როგორც წარსულის არდავიწყება.
 თუმცა წყვდიადიც ვერ დამაფუჩებს
 ასე ურჩხა და ასე გამბედავს,
 მითხარი მაინც, ვით გადაურჩე
 შენი თვალების ცეცხლის ნღვერდალს...
 შემომამუქე, შემომამუქე
 შენი ბრღვეიალა შხე და ყაყჩო
 და ის სიცოცხლე, შენ რომ მაჩუქე,
 კვლავ შენს ზრუნვაში უნდა დავხარჯო...

ოქროს ფესვი

* * *

ნისლებს იშორებს მოცხარი მორცხვად
 და ტკარცალებენ ურჩი ვერხვები,
 მე შენი ზეცის სილურჯეს ვლოცავ
 და მიწას ცხელი ტუჩით ვეხები..
 მოჰქრის მდინარე, მონგრევს ბეჭობს,
 მარტის ცრემლებით აღიდებული
 და ლურჯ ტალღებში მოსულ სამსხვერპლოს
 ზეიმით ხვდება ზღვა დიდებული.
 სხივი კაშკაშა ოქროს ფესვია
 მამულის, გუშინ მხეს რომ დამპირდა...
 დღეს მზიან ვარდებს მიტომ მესვრიან
 ჩემი ოცნების ღია სარკმლიდან...

ველარ ვისვენებდი,
 ველარ ვისვენებდი,
 შავი კაბის კალთებს
 ცრემლით ვისველებდი.
 შენი ლურჯი ნისლი
 ზოგჯერ კაბად მცმია,
 ვიდექ დასეტყვილი
 თეთრი აკაცია.
 ზოგჯერ, კარგო, შენზე
 ფიქრიც არ დამცლია...
 დღეს კი კვლავ კეკლუცობ
 ტურფა პატარძალი.
 დგახარ ნაციხარი,
 დგახარ ნატაძრალი,
 ვარდით ამოგვსია
 ყველა გზა და ხნული,
 დგახარ უკვდავების
 დაფნით დადაფნული.
 ვხარობ, მზე რომ მზეობს;
 ვხარობ, ცა რომ ცაობს,
 ჩემო სახატევე და
 ჩემო სალოცავო!..

გულის ძახილი

მე შენი მთების ღვიძლი შვილი ვარ,
 სულით ჯანსაღი, არა სნეული,
 მე შენი ზეცის ერთი სხივი ვარ,
 ბერძენის ტოტზე გადამსხვერუელი...
 მე შენი ვაზის ნელლი ძირი ვარ,
 მხრებზე შენი მზის მადგას უღელი..
 შენი ლხინი ვარ, შენი სტეირი ვარ,
 საძმო სიმღერით გადაუღლეელი.
 ზღაპრულ სამოთხის ლერწმის ღერი ვარ,
 ცისფერ ლაქვარდებს შეხამებული,
 შენი ეკა ვარ, შენი მერი ვარ,
 შენს გმირ მოყმეზე შეყვარებული.
 მთებში ნუ მეძებ, ღრუბლებს მაღლა ვარ,
 აქ მესმის შენი ხმა დიდებული,
 შავი ყვირილას შმაგი ტალღა ვარ,
 მარტის ცრემლებით აღიდებული.
 ხან შხაპუნა ვარ, ხანაც მხეს ვგავარ,
 შენი მშვენებით გაოცებული.
 მე ღვთისმშობლის ნაზი ფრესკა ვარ,
 ზარზმის ტაძრიდან გამოქცეული...
 მე შენი ლექსის ერთი ბწკარი ვარ
 და შენი წიგნის ერთი ფურცელი,
 შენი ქსანი ვარ, შენი მტკვარი ვარ,
 დარმიც, ავღარშიც ნირმეუცვლეელი...
 შენი გელათის დიდი ზარი ვარ,
 ბალახი, მტრისგან ვერმოცვლეელი...
 თამარ დედოფლის ნატურფალი ვარ,
 ზედაზნის გზებზე შემორჩენილი.
 ჩემს საიდუმლოს ვერვინ მიხვდება,
 ვარ ხორბლით საესე ვრცელი ბელელი...
 გმირი წინაპრის ძველი ციხე ვარ,
 მტრისგან მარადის აუღებელი.
 თუმცა ქალი ვარ, განა მხდალი ვარ,
 სიცოცხლის მხსნელად სანამ მეგულები,
 დიდი ერეკლეს ბასრი ზმალი ვარ,
 დუშმანის მკერდზე აელვებული.
 პოდა, სანამ ვარ, დაფნის ტოტებით
 უნდა შეგამკო, უნდა გეფერო,
 შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის მოვკვდები,
 შენ, ჩემი ფიქრის დილო მეფეო...

ფხვანეთის გაზაფხული

შენი ზღვა და მზის ბრდღვიალი,
 ცაზე ვარსკვლავთ განაზება
 და ცის ცვარი ლორთქი ფოთლებს
 დაკიდული აღმასებად.
 ქარაფს მორცხვად ჩახვეული
 შენი ხავსი,
 შენი სურო,
 ლამის სულში გაიფოთლოს,
 რომ სურვილი შევეისრულო.
 შენს ყოველ ბუჩქს,
 ყვავილს,
 ბალახს,
 სატრფოს თვალთ ვაკვირდები.
 შენი მიწა ავგაროზად
 ყელზე ჩამოსაკიდები.
 ნეტამც გულზე დამაყარო
 და ცვრით კალთა დამისველო,
 რომ მეც ზამთრის თეთრ საბნის ქვეშ
 შენს ფესვებთან დავისვენო.
 ასე ხარბად მხეს რომ გუშხერ,
 მეც მოვხუჭო თვალი ვინძლო.
 მერე ადრე გაზაფხულზე
 შენს ფოთლებში გავიღვიძო.

ნანა ჯაჯია

იაფოს ხუნდები



ნაომარ აფხაზეთში წლების მერე ჩასულისათვის, ნაც-ნობთან შეხვედრის სიხარულით გამოწვეული ემოცია უცებვე ჩაუკლავს კითხვას: – მუჟამ მეურქ იშო? (როლის ბრუნდები უკან)? და აღფრთოვანების წუთისთვის გაგრძელების საშუალება აღარ მიუცია. ეს კითხვა იმ დამოძღვრას ჰგავს, ამერიკიდან საქართველოში სულმოუთქმელად ჩამოსულს რომ დამხვედრია: რა ბედნიერი ხარ, აქედან დროზე რომ წახვედიო... თმაგაწეწილმა, სიხარულისგან გადარეულმა იაფომ, რომელიც გალში ჩარჩენილიყო და ვერაფრით იხსენებდა, გაგიდიდან ჩამოვიდა თუ გაგრძიდან ამოყო აქ თავი, მკითხა: – ხომ ქუდოსკიდექ? ვედა იშო... (ხომ დარჩები? არსად წახვიდე)!..

დიდად არც წინათ აქცევდა ვინმე ყურადღებას. უიღბლოდ დაბადებულს არად აგდებდნენ და ჭკუანაკლული ეგონათ. ალაღბედზე, სასწაულს გადაეჩინა. ახლაც ხბოსავით კუნტრუშებს, გაურკვეველ სიტყვებს ლულულებს, ირგვლივ მივლის და ასე მგონია, აღსარების წრეებს ხაზავს. სიხარულს ვერ იტევს იმის გამო, რომ ვიცანი და ენაც ამიტომ ებმის. დანატრულია ადამიანურ მოპყრობას, გულჩვილია და ვეღარ უძლებს ჩემს მოფერებას. არასოდეს მოსათნობია ვინმე და, მით უმეტეს, ამ ნელთბილ დროში, იაფოს დასავყავებლად ვის ეცალა?!

ცოტა რომ დაწყნარდა, ენაც დაიმორჩილა. მისი უთავბოლო მეტყველებაც დალაგდა.

– გოლვაფირო, დორჩინექ, მარა იშენ ქოიდ სქანი სისქკამე! (დაბერებულხარ, მაგრამ შენი სილამაზე მაინც შემოგჩრჩინა!) – მიკეთებს თავისებურად გულს და არნახული სიკეთით იღრიჯება...

ხან გაგრამი აიწყვეტდა ხუნდებს, ხან გაგიდაში და სანამ ამ ორი მიმართულებიდან რომელიმეს ისევ დაუბრუნდებოდა, გალში დასაბმელი ხდებოდა.

– სო რე ზღვაპიჯი? – კითხულობდა და ნაპირზე ამოგდებული თევზივით თითქოს სულს დაფავდა. ჰაერი არ ყოფნიდა და, დაბნეული, აქეთ-იქით აცეცებდა ცრემლიან თვალებს.

– ისევ აგერია, ბიჭო გზები? – შეეცოდებოდა დედა-ბებიას და დარცხვენილი იაფოც თავს ჩაქინდრავდა. ვიდასთვის ეთხოვა, წაეყვანათ „შინ“, რომელიც ორი ჰქონდა და, დროდადრო, მესამეც, ჩემი ქალაქი, მისი ბრუნვის წერტილი ხდებოდა. აქ იკვრებოდა მისი სამება. თანდათან სიმშვიდე ემატებოდა, წყნარდებოდა და გარკვეული დროით რჩებოდა. მხოლოდ ის იყო, რომ დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე ვერ აღწევდა თავს იქაურობას და გულმოწყაღე გზამკვლევი სჭირდებოდა.

– კარგი, დედა, ნუ გეშინია, აგერ, მურმანია გამოიყვანს დილაზე ავტობუსს და შეეხვეწეწები. ერთ ადგილს რავა არ მიგიჩენს? ბევრი მგზავრი თუ ევოლება და გადაიჭყედება მანქანა, ფეხზე მდგომსაც რა გიჭირს, გეიხედ-გამოიხედე, ფანჯარა გამოაღებინე ვინმეს, ჰაერი გადაყლაპე, გული გადააყოლე და დროც სწრაფად გავა. ან მურთახია ჩაგსვამს „ელექტრიკაში“, ხომ გიყვარს შენ მატარებლის

ბორბლების ხმა და ჩიქიქი? – დაარიგებდა ბებიანემი ასე სწრაფად ზღვასა და ოლეანდრების შრიალს მონატრებულ იაფოს, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ მოგვძახოდა ხოლმე სადმე მიმავალთ, სანამ ტრანსპორტში ადგილს დავიკავებდით (ყველას სამყოფი სითბო, გულისყური და სიკეთე ჰქონდა დედა-ბებიას. საშველის პოვნას მარტო ჩვენთვის და ახლობლებისთვის არ ცდილობდა). აწყნარებდა კაცს, რომელსაც შფოთვა ემატებოდა იმ შიშის განცდით, თითქოს მოვიდოდა ვიღაც გადამთიელი, ზურგზე მოიგდებდა მის გაგრას, გაგიდას, ან სულაც დაეპატრონებოდა ამ წალკოტს და იაფოს განდევნიდა იქიდან. ეს შიშები, მგონი, სიხმარშიც აწყხებდა და დაფეთებული ამიტომ თუ ეძებდა ყველგან წყლის ნაპარს.

ასე მგონია, დარჩენილებიდან ყველაზე სუფთა და დიდი გული მან შეინარჩუნა, რადგანაც მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე არ უფიქრია და არც გამორჩენის ფარისევლური ამბების გაეგება რამე... ჯერ კიდევ არ განვლებია ჩემი ნახვით გამოწვეული სიხარული და უკვე მე ვეღარ ავუდივარ უბედურის სათნობით მოქარგულ კითხვას:

– გოლვაფირო, ხომ ქუდოსკიდექ? (შემოგველე, ხომ დარჩები?).

ბუხრებს წმენდდა და ბუხარსვე გადაეჩინა. იარაღიანი ხალხი რომ გამოჩნდებოდა, თუ მარტო იყო, გაიქცეოდა და საკვამურის ყელში ობობასავით გაიხლართებოდა. ამ ბნელ, ვერტიკალურ გვირაბებში თავისი „გზები“ ჰქონდა გაყვანილი, რომლის კიდეებზე ალაგ-ალაგ აგურები ჩამოეტეხა ფეხის მოსაკიდებლად. შენიღბაც არ სჭირდებოდა. ნახშირი და მური იყო მისი კამუფლაჟი. ხმელი, ძვალი და ტყავი, იმ სარებივით იღვა გრძელ ფეხებზე, ბებიანემის დათესილ ლობიოს რომ დაუსობდა. მანამდე კი ბოლოებს ფანქარივით კოხტად წაათლიდა და გვერდით დაიწყობდა ჭიგოებს. მიბობდაუდა მადლა, იქითკენ, საიდანაც ცის ნაგლეჯი მოცისფროდ მოსჩანდა და იმედით ცოცხლდებოდა. რამდენჯერ გასჭირვებია! სუნთქვა გაძნელებია, ხუთვა დამართნია და გარიჟრაჟზე

მაინც ამოუყვია საკვამურიდან თავი. ირგელივ, ყველა ბუხრიდან ამოსული ნისლისფერი ბოლი მოლანდებია და სიხარულისგან გადარეულს – ეპეჰეიიი მეზობლებოო! – უყვირია...

სახლები გადამწვარი იყო და ადამიანებიც კანტი-კუნტად, ცხვირპირაკრულნი დაიარებოდნენ, თითქოს შავი ჭირის ჟამი დასდგომოდა ქალაქს. მხოლოდ ბუხრები იდგნენ საყარაულოდ მდგარი ჯარისკაცებივით სმენაზე. ისინი იკედლებდნენ, მალავდნენ იაფოს, რომელიც მალევე უბრუნდებოდა რეალობას და გადარჩენისთვის მადლობას სწირავდა ღმერთს, ანთებული მუკუგზლით ხელში ლიტანიობდა.

ხანდაზმულია უკვე. ალაგ-ალაგ ამოგლეჯილი, გადამხმარი მინდურის მსგავსი ნაწვერალიდან, ჭვარტლჩაკირული კანი მოუჩანს. გრძელცხვირაა და აწოწილი. წონასწორობას ვერ იცავს, ტორტმანებს ფეხებზე, მაგრამ მაინც მომყვება მეგზურად ჩემსაკვე ქალაქში და მიჩვენებს აქა – იქ, შერჩევით გადამწვარ სახლებს.

– ო, გეწურაფილო ჭუნდესია, – მიხსნის და თითქოს პირველად დაინახაო ეს ნახანძრალეები, ხან მარჯვენა სახელის გაისმევს ცხვირზე და ხან მარცხენათი იწმენდს ცრემლს. ყველა სახლს ჭირისუფლობს. ბევრი რამის მოყოლა უნდა, ჩქარობს და ეშინია, თითქოს მღვეარი მოსდევს და, ვაი თუ, ვერ მოასწროს, ვერ ამოთქვას სხვასთან ვერთქმული, დაგროვილი წუხილი... იქნებ, მხარზე უნდა დამადოს თავი და ჩუმად მიაშბოს ყველა უბედურებაზე, რისი მოწმე და მხილველიც გახადეს ეზოებში ჯერ კიდევ ჩამოუნგრეველმა საკვამურებმა?

ვერ მიმეტებს და არ მეუბნება იმას, რომ ომი წაგებულა, ყველაფერი გაყოფილია და მითვისებული... ქანც-გაცლილი, მოშვებული ფენის წვერით ხან წრეებს ხაზავს და ხანაც მიწას ტკეპნის. ხშირად ეძებს სიტყვებს. ეკარგებიან. წვალობს, ყოყმანობს, ენა ებმის, ბორძიკობს და მაინც პოულობს მათ...

– იმ რკინის ბოძზე მიმაბეს, მოხუცი, გაუთხოვარი ქალის სახლის ქვედა სართულს გასამაგრებლად რომ ჰქონდა შებჯენილი, თვითონ კი ზევით აცვივდნენ. ბევრი ვიყვირე, ბოლოს ბღავილზე გადავედი, ლამის სახლი ჩამოვანგრევი მაგრამ არავინ მოგვეშველა. ვინ გაბედავდა მოსვლას? შიშის გამო ლამის ცოცხლად მიწაში ძვრებოდნენ, თავს იმარხავდნენ. ვერც მე გავწვივებულე ჯაკვები, ვერ ვუშველე ლოგინად ჩავარდნილს, რომლის საწოლის ირგელივ მხეცვებად ქცეული არსებები მოგროვილიყვნენ და ხარხარს ნაკვერცხლებად აყრიდნენ რამდენიმე წუთის წინ ჯერაც ქალწულ მასწავლებელს. დაგეშილები მოცვივდნენ, ვიფიქრე, დავიცავ, აბა, ბუხარში ხომ არ შეეძვრებოდი...

გავიკვირე და შევშოვთიდი, ჩავეკითხე, ამას ვინ იზამდა – მეთქი.

კიო, ვიღაცის ჩაწვეთებული იყო, თორემ რა იცოდა გადამთიელმა ქალის უმანკოების ამბავიო... – ზოგიერთებს თუ გადაადნობ და ხელახლა ჩამოასხამ, იქნებ მაშინ გამოვიდეს მაგათგან რამე, თორემ ისე ეგენი შეიცვალონ, მეტი არაა ჩემი მტერი. – ვარაუდობს თავისთვის ისეთ საკითხზე, რომელზედაც პასუხი, იაფომ კი არა, მგონი, მამაზეციერმაც დააყოვნოს...და მიყვება ისეთ ამ-

ბებს, რომლებიც, ვისურვებდი არასოდეს გამეგო...

– ძალიან რომ შემცივდებოდა და მშვიერიც ვიყავი, იალასთან მივიდიოდი, ის არ მამდლიდა ლუკმას. მეორე სართულზე ცხოვრობდა და, რადგანაც ბინას მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა შესასვლელი, უფრო დაცულად ვგრძობდით თავს, – მითითებს იმ ადგილისკენ, კორპუსი რომ იდგა. სხვა ამბის მოყოლაზე გადავიდა. ნაბიჯს მოუმატა, მეც ავუჩქარე ფეხს და ვიძაბები წინასწარ, ჩემდაუნებურად. – იმ საღამოს, უპულია და დადაიაც ჩაის დასალევედ იყვნენ თავმოყრილები. ის იყო, დასახლისმა აღუღებული ჩაიდან გადმოღვა ფეხიდან, კარებზე ბრახუნი გაისმა და სამივე ქალი კედელს მიეყინა. უპულია ხომ გახსოვს? – მეკითხება და ისე მიეყურებს, მგონია, ლიბრგადაკრული თვალთაც მხედავს და ამ მხერით ვხვდები, ჯერ არავისთან უთქვამს ამბავი, რის გამხელასაც აპირებს.

ვიგრძენი, ვეღარ გავუძლებდი ასე ერთბაშად (ცალ-ცალკე მოსასმენადაც შემზარავ ისტორიებს) და ვცდილობ, თავი ავარიდო: მოდი, კიდევ რომ ჩამოვალ, მაშინ მომიყევი უპულიაზე მეთქი. თუმცა, ისიც კარგად მესმის, ომი იყო, ჯერაც დაუმთავრებელი ომი და ტკბილ ზღაპრებს რატომ ველოდი ვითომ?!

ეტყობა, დიდხანს ინახავდა ამბებს, რისი უშუალო მოწმეც იყო და ეს უთქმელობა სტანჯავდა. ცდილობდა, ამოეთქვა და ასე მაინც განთავისუფლებულიყო სიმძიმისგან. მისი გულუბრველობა კი ჩემდამი სისასტიკეში რომ გადასდიოდა, ვერ ხვდებოდა, ვერ აღიქვამდა, როგორ მაძულებდა იმ წუთებში ადამის მოდგმას... სიხარულით, აბა, ვის მოუყოლია უბედურების ამსახველი ამბები?

– სამშვიდობოდ მოსულის კაკუნს არ ჰგავდა ის ბრახუნი და შიშისგან კინალამ ხელში ჩამაკვდნენ ქალები. მეც შემეშინდა, მაგრამ მართლ არ ვიყავი და ბუხარში ხომ არ შევძვრებოდიო? – რამდენჯერაც წამოსცდა ეს ფრაზა, იმდენჯერ გმირი იაფო იდგა ჩემ წინაშე და მისდამი მოწიწება მახრჩობდა. – სულ ტყუილად გვეგონა, ერთად ყოფნა გვიხსნიდა განსაცდელისგან. რომ არ გაგველო, ძალით მაინც შემოამტვრევდნენ და გავბედე სკამებით და სხვა სამაგრით ჩახერგილ, ჩახრახნილ კართან მისვლა. შემოვარდნილებმა ხელი ისე მკრეს, თავი კედლის ძვიდეს მივარტყი. აი, ხომ ხედავ? – მაჩვენებს ნაწიბურს, რომელიც მკვეთრად ეტყობა. – მომხდურთაგან ერთმა დაიბღავლა: **Плоскогубцы, быстро!** ასე სწრაფად როგორ მოძებნა, არ ვიცი და მაშინათვე მოარბენინა იალამ ბრტყელტუჩა. როცა პირის გაღება უბრძანეს და წამში ამოაგლიჯეს კბილები, მიხვდი, შიშისგან უაზროდ რომ გაიღიმა, მაშინ შენიშნა იმ ურჯულომ მის ზედა ყბაზე ორი ოქროს კბილი. კედელს აკრული და მოცანცახე უპულია ტუალეტში ძალით შეათრია მეორემ და, სანამ სამივე არაკაცი არ გამოვიდა იქიდან, დიდხანს ისმოდა, როგორ უძალიანდებოდა საწყალი და თან არწყევდა. დადაიას, რომელიც გიჟივით იმეორებდა, ჭირი და კიბო მჭირს, არ მომეკაროთო, მაინც მივარდნენ და გადაკრული მკერდიდან ამოაცალეს ცხვირსახოცის ყურში საწყლად გამოკრული კაპიკები.

იმ საღამოს, მათთან რომ მივიდიოდი, ცოტას ვინავდა, მოსარკულ ცაზე მთვარე ანათებდა და ვარსკვლავებიც კი

ჩანდა. ეს მხეცები გარეთ რომ გაეარდნენ, ისე შეიწოვა უკუნმა მათი სხეული, სიბნელისგან ვერ გაეარჩიე, საით, რომელ მხარეს წავიდნენ. იალას ისევ სდიოდა პირიდან სისხლი, უპულიას კვლავ აღებინებდა, დადაია კი თავის დაკაწრულ ძუძუებს გამტყერებელი დასცქეროდაო.

ვარსკვლავები ციმციმით ამხელენ სიხარულს. ისინი მაშინ უჩინარდებიან ცაზე, როცა ადამიანები სულით, ხორციით უნაკლოდ მახინჯნი ხდებიან...

შუალამე არ იყო გადასული, ქალის შეკვივლების ხმა გაისმა და საშინელი დაფვირება მოჰყვა, სანამ ქარი ამოვარდებოდა, ღამის სიჩუმეს ისე ცხადად მოჰქონდა ხმები, რომ გვესმოდა, სულის გამგმირავი კვიცილი ქვითინში, მუდარაში როგორ გადაიზარდა. ქარი ხმაურობდა, ხელს გვიშლიდა. ფანჯრის კუთხეებს მიწებებული, დაძაბულები ვაყურადებდით უცნაურად არეულ ხმებს. აკანკალებული ქალები გასროლის ხმამ პირქვე დაამხო. მერე „სახეიმოდ“ ავტომატის მჭიდიც დაახალეს ცას და, სანამ არ მიწყდა მათი „სიხარულის“ კაკაფონია, თავი არ აგვიწვივია ზევით. როგორც კი მიწყნარდა იქაურობა, შემინებული ქალები ძლივს წამოვყაყენე ფეხზე და უსიტყვოდ ვუთხარით ერთმანეთს, რომ უარესი უბედურება დატრიალდა იქვე, ახლოს. სიბნელეს სუსტი სინათლე რომ შეეპარა, გავბედეთ და გარეთ გავვედით. იმ სახლთან შეეჩერდით, რომლის თეთრად შეღებილი კარებისთვის თითქოს ვიღაცას წითელ საღებავში ამოვლებული ხელები შეეწმინდა. ქარ-ბორია ხან მიკეტავდა, ხან უკანვე გამოადებდა, კარი ჭრიალებდა, ქვითინებდა, სისხლის ჩქარა ჩამორეცხვას, მოშორებას ითხოვდა თითქოს. ავმაგვადგით. რისკზე წასვლა იყო ყოველი წუთი. იქნებ აქვე იყვნენ მხეცები და მაშინ ოთხივეს სიკვდილი გველოდა. მაინც გავბედეთ და შევედით. ქვედა სართულზე ცარიელი არყის ბოთლები და ღვინის ჭიქები ეყარა იატაკზე. ალბომებიდან გადმოყრილი სურათებით სავსე იყო იქაურობა (ალბომებში ფულს ეძებდნენ, თორემ სურათები ვის რაში აინტერესებდა). ზოგი ქარს გარეთ გამოეტანა და ეზოში წარსულის ამსახველ ფურცლებს აფრიალებდა. სადღაც ლეკვის წკმუტუნი გაისმა, ამან იმედი მოგვცა, რომ დამფრთხალი სახლის პატრონი აქვე, ახლოს იყო დამალული. ხმას მივეყვით და მეორე სართულზე ავედით, სადაც შიშველი, სკამზე დაბმული, ნაწამები გოგოსთვის ომი უკვე დამთავრებულიყო. თვალგახელილი, ცოცხალივით გვიყურებდა. მის დაღურჯებულ ფეხებთან კი ცუგა წრიალებდა... უპულიას ზღუქუნი ახლაც მაწამებს, ცხედრის დანახვისას რომ აუტყდა. უპულია ხომ გახსოვს? – მეკითხება ისევ. ვერ გაუძლო, ვერ აიტანა განსაცდელი. თავი შეიზინდა. ვერ დაეარწმუნეთ, რომ მისი ბრალით არ მომხდარა არაფერი. საჭმელს პირს არ აკარებდა, გახდა, გაილია, დაუძლურდა და ასე გატანჯული, სამი თვის თავზე დაკმარხეთ. თავსხმა წვიმა იყო იმ დღეს – მიყვება და ცრემლები დაბა-ღუპით ჩამოსდის. ასეთ წუთებზეა ალბათ ნათქვამი, რომ ბრძოლაში თუ მაინც განწირული ხარ, ტყვიით სიკვდილი ყველაზე კარგი გამოსავალია და ვინ მოიგონა, რომ ომი ყოველთვის ყველაფერს ჩამოწერს...

იაფო ბავშვივით მომენდო და თავი მხარზე დამადო. არ გაენძრეულვარ. იშვიათად შეხვდები ადამიანს, ვისი გულწრფელობა და სიალალე მისსავე ძალაში გარწმუნებს

და მართლაც, როგორც მთები არ წარმოიქმნებიან დიდი მიწისძვრების გარეშე, არც ადამიანი ყალიბდება ადამიანად მხოლოდ უბრალო, ყოფითი გასაჭირის დაძლევით.

კარგა ხანს ვიდექით ასე გზაგასაყართან. დრომ უკან დაიხია და ვხედავდი, სხვისი თვალისთვის მორიდებული, უბეში ჩატენილი და სათუთად შენახული ტკბილ-მწარე ამბებით, როგორ გადარბოდა ჩემი ბავშვობა ეზოდან ეზოში და სადღაც უკანმოუხედავად მიიჩქაროდა. ვინატრე, ფეხი არ წამოეკრა რაიმესთვის, არ დაცემულიყო და ეს ფურცლები არ დაეფანტა...

ხომ შეიძლებოდა, არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა?! ხომ შეიძლებოდა...

– მეტი არაფერი მომიყვე! – ვთხოვე და ბრძანებასავით კი გამომივიდა ნათქვამი. გული მიფანცქალებდა და არ მინდოდა, იაფოს ჩაკვდომოდი ხელებში. თავისი გაჭირვებაც ჰყოფნიდა...

მე ხშირად გავურბივარ იმ ნამდვილ მოვლენებს, ომმა რომ დაატრიალა, რადგანაც ობლობისთვის მწირავენ ეს ამბები. არ გაგიგიათ? ყველაზე მწარე სიობლეა ეს. ომი გვასაჩუქრებს ამ ძღვენით და ასე ვხდებით ადამიანით, ქვევნი, კუთხით, ქალაქით თუ სოფლით დაობლებულნი...

– წამოდი, აქაური ნაყინი გავსინჯოთ! – ვუთხარი იაფოს და ხელკავით გამოვუყვევით გზას. უხარია ეს ჟესტი და ამაყად მომყვება. აქეთ-იქით იყურება, თუ მხედავს ვინმეო. კაფეში, რომელსაც მივაღექით, სავარაუდოდ, ახალი საქონელი მოეტანათ და სხვებთან ერთად მეპატრონე შემოზიდვით იყო დაკავებული. ხვითქი გადასდიოდა ქალს სახეზე და დიდად არ ესიამოვნა ჩემი თანამგზავრის ნახვა მის სამფლობელოში. აიმრიხა: გარეთ შეგვამოს, თორემ მოეჩვენა აქაურობას და მერე ვერ მოვიშორებ, კლიენტებს დამიფრთხობს. თქვენ კი მობრძანდით, იცით, აქ რა ხალხი დადის?! – ისე ცხვირაწეული მეუბნება და იბღინძება, დიდი დაფიქრება არ სჭირდება, მიხვდე, რა კატეგორია მაინცა ამ ქალს დაფასების ღირსად. ისედაც დაწყვეტაზე მქონდა ნერვები და არ მინდოდა ვინმესთან შელაპარაკება მომსვლოდა. გასაგებია – ვთქვი და იაფო ცივად შემოვატრიალე. არა, საწყენად კი არ მითქვამს, – ოღნავ შეცვალა ტონი ორი ულუფა ნაყინის ფასის დაკარგვით შემინებულმა.

იაფოს რომ შევხვდე, მივხვდი, პირი გამძრალი ჰქონდა, თან ნაყინი ბავშვივით უხაროდა და წყენა გადავყლაპე. მაინტერესებდა, რას მოგვართმევდნენ ამ კაფეში ისეთს, სადაც, თურმე, ნუ იტყვი და, ნაღები ფენა დაიარება. ჩემთვის ამ კასტის „ბრწყინვალება“, კვენა, ტრაბახი, სამკაულების ასხმა და ძალად განახებული ხმებით საუბარი სასტიკი მიუღებლობის გაელვებაა და ისიც კი მყისვე ქრება.

– თენა რენო მაროჭინი? – კითხულობს იაფო და სკამზე ცქმუტავს. სწრაფად ურევს კოვზს პატარა ფიალაში.

– ჰო, არ არის ეს სოხუმის სანაპიროზე გასინჯული ნაყინი, ბურთულებად რომ იღო ვერცხლისფერ, ფეხიან ლამბაქზე და თავზე ბლომად აყრიდნენ მოხალულ თხილს... თვალს არიდებს ქალს, მაგრამ მაინც მის გასაგონად წუწუნებს. ასე უხდის სამაგიეროს გულცივობის, ათვალწუნების, არად მიჩნევის და სიხარბის გამო.

უყურებს მის ოინბაზობას: მთლად გადასაგდებადაც ვერ

იმეტებს ამდენი მორევით რქეს დამსგავსებულ პლომბირს და ნელ-ნელა ხერკვს. დალილია, უკვე დაბერებულიც, მაგრამ რომ შემომხედავს, ისეთი სიწრფელე კიაფობს მის თვალებში, იმ წუთსვე ეს მზერა აფხაზეთის კარიბჭედ მექცევა. მას შეუძლია, გაგამხნეოს, შენთვის თავი გადასდოს. საოცარია, რომ არასოდეს უყურებს ეჭვის თვალთა ადამიანებს. მხოლოდ იმას ამბობს, რაც ნახა, მოისმინა და რაშიც დარწმუნებულია. რადგანაც იცის, რომ უნდობლობა კლავს და ანადგურებს სიხარულს. მგონი, მე უფრო მჭირდებოდა იმ წუთას მის გვერდით ყოფნა, ვიდრე მას. ეს წუთები აუცილებლად უნდა გამეგვლო მარტოს, რომ ბევრ რამეს მივმხვდარიყავი...

მოდუნდა, თვალები ელულემა და... ხომ არ შემომესმა? დიდი ხნის წინ დამარხული რომ მეგონა, იმ მოტივს დიდინებს: „დედა, გომიტევე დიდი ნემისააა, ყოროფილი ვამიძირუ ჟირიმ მეტიშაა“... და თითქოს გუშინ იყო, ბებიას რომ ვეკითხებოდი, ვინ იყო ის, ვისი ნახვაც მხოლოდ ორჯერ მოასწრო იაფომ და მესამედ რატომ აღარ დაადგა საშველი, რომ სატროფოსკენ მიმავალ გზას დასდგომოდა? გაჩერდი, დედა, ვინ მისცა მაგ უბედურს ყოროფილიო, – მეტყოდა ჩემი იმერელი ბებია, რომელსაც ჩვევად ექცა მგერული სიტყვების გარევა წინადადებაში.

დიდინებდა იაფო და სანამ მურთაზია სოხუმისკენ მიმავალ „ელექტრიკაში“ ჩასვამდა, გულმოდგინედ, ფანქარით უთლიდა წვერებს ლობიოსთვის დასასობ სარებს. მე კი მჯეროდა, რომ მისი სატროფო, სადღაც იქ, დიდი ნემის მხარეს, ოდა სახლის ჩუქურთმებიანი აივნის მოაჯირზე, თეთრ, გათქვირულ მკლავებზე თავჩამოდებული გაპყურებდა შარაგზას, საიდანაც, ეს – ესაა, მიჯნური უნდა გამოჩენილიყო. ზოგჯერ ლოდინით მოწყენილს, იქნებ ჩამოეძინებოდა კიდევ და მერე, დამფრთხალი, ბურანიდან გამოერკვეოდა. იაფო კი ნახევარი საუკუნის მერეც ისევ ისე დიდინებს და თითქოს იმ ნაპირებზე დაბორილებს,

სადაც თავადის ქალმა მაიამ, სიყვარულის გამო, თავი დაიხრჩო...

მზიანი დღე იყო. მოულოდნელად, ამინდს წვიმის შხეფები გამოერია.

– უჯინ, ტურას ოსურ მოყუნს, – წამიერად დაასწრო მან ჩემი ბავშვობის აღტაცებას და გარეთ გაეარდა. თავგუნება და ახირებული, ცოტა ჭირვეული და ზოგჯერ მიზეზიანია ჩემი იაფო. არაფრად დაგიდევთ აუტანლად მოსაწყენი, ორდინარული ადამიანების დადგენილ, დაწესებულ და ჩარჩოში ჩასმულ, აკლიმატიზირებულ ქმედებებს. ბედნიერების გიჟია ის! გამაღა ხელები და თითქოს თავისი დღე და წუთისოფელი ქეიფსა და ლხინში ჰქონოდეს გატარებული, ისე ცეკვავს. ფანჯარას მოადგა, ცხვირი მოაჭვლიტა, იდრიჯება უკბილო პირით, ჩვილი ბავშვის კამკამა სიწმინდით და მიხმობს გარეთ, შენც იცეკვეო.

– ბოშებო, გამოდით გარეთ, ტურა ცოლს ირთავს, ქორწილია ტყეში! – ცხადად მესმის დედა-ბებიას ხმა და ჩვენი ჟრიაშილი წრეში, სადაც ვტრიალებთ, სახეს ვუშვერთ მზის სხივებში ჩამოცრილ წვიმას, ვსველდებით, მზე გვაშრობს და უუცინით ცაზე შვიდ ფერს – ამ უმიზეზო ბედნიერებად მორკალულ სალტეს, ასე მსუბუქად, რბილად რომ გადასვლია ფერები ერთმანეთში და ისე შეუქმნია ფერთა ულამაზესი სამეზობლო მომავლის სიხარულად, რომ არცერთი პიგმენტი არ არეულა ერთმანეთში.

იაფო კი ისევ მიკაკუნებს და გულმოდგინედ მითითებს ცისარტყელაზე. შლის ხელებს და როგორც ფილმში ნანახი ბერძენი ზორბა, ტრიალებს წრეზე. ვედარ ვითმენ, ვტოვებ კაფეში გაკვირებულ, ათვალწუნებით მოშხირალ პერსონალს და გავდივარ გარეთ. – გამახსენე, მასწავლე ცეკვა! – ვეძახი იაფოს.

ელენა ღვინჯილია

ლოხნის ცაძრის ეპიგრაფიკა



ეპიგრაფიკა – ისტორიის დამხმარე დისციპლინაა, რომელიც სწავლობს მაგარ მასალაზე შესრულებულ წარწერებს. მაგარი მასალები (ქვა, ხე, ლითონი, მინა, კერამიკა) კი ყველაზე კარგად უძლებს დროს, ჟამთა სიავეს. ამიტომაც, ყველა ძველი დამწერლობითი ძეგლი ეპიგრაფიკულია.

ეპიგრაფიკული მასალებით საქართველო მდიდარია. რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნისთვის თითოეული წარწერა მნიშვნელოვანია ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოგვეპოვება. ვინაიდან სწორედ ეს ეპიგრაფიკული წყაროები, სხვა დოკუმენტურ წყაროებთან ერთად, აჩვენებენ თუ ვინ იყო ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მაცხოვრებელი ეთნოსი. ვინ ქმნიდა, ვინ აგებდა და ვინ წერდა მოცემულ ტერიტორიაზე. სადავო არაა, რომ ქართულად დაწერდა ის, ვინც ქართულად აზროვნებდა და მაშასადამე,

ქართული ცნობიერებისა და თვითდენტიფიკაციისა იყო.

აფხაზეთის ტერიტორია უხსოვარი დროიდან, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, წარმოადგენდა საერთო კავკასიური კულტურული სივრცის ორგანულ ნაწილს. აფხაზეთში, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, უხვად მოიპოვება ქართული წერილობითი ძეგლები. განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი ეპიგრაფიკული ნიმუშები. აღრიცხულია ასზე მეტი ეპიგრაფიკული წარწერა. ესენია – ლაბიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერები. ეს ძეგლები უმნიშვნელოვანესი დასტურია აფხაზეთში ქართული კულტურისა და ცნობიერების განვითარების მაღალი დონისა. მაშინ როცა ამ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის კვალი.

აფხაზეთის წერილობითი ძეგლები კლასიფიცირდება, როგორც: 1. ეპიგრაფიკული 2. ხელნაწერები 3. წარწერები ნუმიზმატიკურ ძეგლებზე.

ეპიგრაფიკული ძეგლები მოიცავს ძირითადად არქიტექტორულ ძეგლებს, რომლებზეც შემორჩენილი წარწერები საერო ან საეკლესიო ხასიათისაა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი და ცნობილი წერილობითი ძეგლების ენობრივი კუთვნილება განსაკუთრებით საყურადღებოა. ენობრივი კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ შემორჩენილი წარწერები შესრულებულია ოთხ ენაზე: ქართულ, ბერძნულ, არაბულ და ლათინურ ენებზე. ამითგან ყველაზე მეტი – ქართულ ენაზეა შესრულებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – 100-ზე მეტი წარწერაა. ყველაზე ცოტა ლათინური წარწერებია, სულ სამი. ლათინური წარწერები მეორე-მესამე საუკუნით თარიღდება. თურქულ-არაბული 6 წარწერა შესრულებულია მათი ექსპანსიის დროს ანუ მე-18 მე-19-ე საუკუნეებში. თუმცა ამ ენაზევეა შესრულებული ადგილობრივთა რამდენიმე ნაწერი. მაგ. ბატალბეი მარშანისა და ჰასანბეი შერვაშიძის ნაწერები. ბერძნული წარწერები 50-მდეა და ისინი ძირითადად ფრესკებზე გვხვდება. თ. ყაუხჩიშვილის ცნობით, ეს წარწერები მე-9 საუკუნემდეა და სავარაუდოდ ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაწილი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის სამწყვსოს ეკუთვნოდა.

აფხაზი ავტორები, რომლებიც ოკუპაციის შემდეგ პერიოდში „მოღვაწეობენ“, მიიჩნევენ რომ ლეონ მეორის ინიციატივით წარმოიშვა აფხაზთა სახელმწიფო და რომ მას არ ჰქონდა არც სახელმწიფოებრივი და არც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით რამე საერთო ქართულ სამყაროსთან. საინტერესოა, რატომ არ შექმნეს აფხაზმა მეფეებმა თავისი დამწერლობა, რატომ არ შემორჩა მათი ისტორიის დამადასტურებელი არც ერთი ცნობა. იმიტომ ხომ არა, რომ საქმე სულ სხვაგვარად იყო და აფხაზთა მეფეებმა იწყეს საეკლესიო მშენებლობის გაფართოება, ახალი საეკლესიო ცენტრების დაარსება. ამ ძეგლებზე კი ქართულად ასრულებდნენ წარწერებს. სწორედ აფხაზი მეფეების ძალისხმევით გახდა ქართული ენა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ენა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ლიხნის ტაძარი.

სოფელი ლიხნი მდებარეობს გუდაუთის რაიონში. რაიონული ცენტრიდან 5 კმ-ის მოშორებით. ლიხნის შუაგულში აღმართულია მე-10 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრე-

ბის ძეგლი – ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობის ტიპს მიეკუთვნება. ტაძარს აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს. ხოლო ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით მოგვიანო პერიოდში მინაშენი ეგვტერები. ტაძრის შიდა კედლები მთლიანად მოხატული ყოფილა. შემორჩენილი მხატვრობა თარიღდება მეათე საუკუნით. მხატვრობა ხასიათდება ნაზი კოლორიზმით, სიფაქიზით წაგრძელებულ ფიგურათა. ლიხნის ტაძარში დაცულია 17-ზე მეტი ფრესკული წარწერა. შემორჩენილი წარწერები შესრულებულია ქართული ასომთავრულითა და მხედრულით. აქ მოხსენიებულნი არიან მაღალი საერო და სასულიერო მოღვაწეები: გაერთიანებული საქართველოს მეფეები ბაგრატ მეოთხე და გიორგი მეორე. სასულიერო პირები – ვახე პროტოისპათარი და იპატოსი, მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი. ლიხნის ტაძრის წარწერები პირველმა აღწერა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ, რომელმაც პირველმა გადმოიწერა ტაძრის კედლებიდან ქართული წარწერები.

ოკუპაციის პირობებში და სუპარატიზმის ზეობისას, ხდებოდა ქართული წარწერების წაშლა – ქართული ისტორიის კვალის წასაშლელად. მაგრამ ავმოსაქმეებს ავიწყდებოდათ, რომ მეცნიერების მიერ თავის დროზე გადმოწერილ და შესწავლილ წარწერებს უკვე დაემკვიდრებინათ თავი სამეცნიერო მიმოქცევაში და სწორედ ეს ჩანაწერები დღეს, როდესაც მოკლებულნი ვართ ამ ყველაფრის ხილვის ბედნიერებას, დადასტურებს იმას, რომ აქაური მკვიდრნი მთლიანი ქართული კულტურის თანაშემოქმედნი იყვნენ მეათე საუკუნეშიც.

მე-19 საუკუნის მეცნიერთაგან ლიხნის ტაძრის შესწავლაში წვლილი მიუძღვით მარი ბროსეს, პ. უვაროვას, დ.ბაქრაძეს, ე. თაფაიშვილს. ამ უკანასკნელის არქივი შეისწავლა და გამოაქვეყნა გ. ოთხმეზურმა. მეოცე საუკუნის მკვლევართაგან აღსანიშნავია ლეო შერვაშიძის ღვაწლი, რომელმაც შეისწავლა ლიხნის ტაძრის ფრესკული მხატვრობა. 1986 წელს რესტავრატორთა ჯგუფმა მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით გამოავლინა ახალი წარწერები. ლიხნის ტაძრის წარწერების შესწავლაში დიდაა პროფესორების ე. სილოგავასა და ლ.ახალაძის ღვაწლი. ლ. ახალაძე (აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, 2005) განიხილავს დაწვრილებით ლიხნის ტაძრის ექვს წარწერას. ესენია:

1. წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ

ასომთავრული წარწერა შესრულებული წითელი საღებავებითა და მსხვილი მონუმენტური ასოებით, მოთავსებული ტაძრის ქორედის კედლის მთელ სიგრძეზე. წარწერის მხოლოდ მესამედმა მოაწია ჩვენამდე. მაგრამ ბროსეს პუბლიკაციის გამოყენების შემდეგ ასეთი სახე მიიღო – „კურთხეულ ხარ ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ხქით, ქორონიკონსა სპი, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა, ინდიკტიონსა ლჰ(!) აპრილსა თუესა ვარსკულავი გამოჩნდა, რომელ მისსა წი-ალსა აღმოვიღდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი, მოკიდებით მასვეა. ეს იქმნა მზობითგან აღვსებამდე“.

წარწერა დათარიღებულია სამნაირად, თანაც დღისა და თვის მითითებით. დასაბამითგან, ქორონიკონით და ბაგრატ

მეფის ინდიკტიონით. აღნიშნული დათარიღება გვაძლევს 1065 წელს, ხოლო ქართული ქორონიკონით 1066წელს. აპრილის თვეს ბზობიდან აღდგომამდე.

2. წარწერა აბრაამის ფრესკასთან

სამხრეთ სარკმლის აფსიდთან ბიბლიური სიუჟეტი აბრაამსა და წმ. სამების ფრესკული გამოსახულება. ახლავს განმარტებითი, ორსტრიქონიანი წარწერა ასომთავრული, განკვეთილობის ნიშანი ორწერტილი, ქარაგმა-არა. „ოდეს აბრაჰამს ესტოვმრა სამებაი წმიდაი“.

ტაძრის საკურთხეველის გვერდით, მარცხენა მხარეს, ქველა რეგისტრში გამ. სამი წმინდანი: წმ კირილე, წმ. ბასილი და წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველის ფრესკები. სამივეს ხელთ სახარება უპყრია. მათზე ბერძნული წწები. უვაროვას გამოქვენ. ფოტოზე კარგად იკითხება გრიგოლისა და ბასილის წწები, ხოლო ძნელია კირილე.

3. წარწერა წმ. კირილეს ფრესკასთან

ასომთავრული წარწერა ორ სტრიქონად გამოსახულია თეთრი გრაფემებით წმ. კირილეს ფრესკასთან შარავანდედის (ნიმბის) მარჯვენა და მარცხენა მხარეს ქარაგმის ნიშანი კლაკნილი, განივი ხაზი. განკვეთილობის – ორწერტილი. ფრესკა დაზიანებულია და დაზიანებულია გრაფემებიც. იკითხება „წმიდაი კირილე“.

4. განმარტებითი წარწერა წმ. ბასილის ფრესკასთან

ასომთავრული წარწერა ერთ სტრიქონიანი, გამოსახული თეთრი გრაფემებით. წმ. ბასილის ფრესკასთან შარავანდედის (ნიმბის) ორივე მხარეს ქარაგმა – კლაკნილი, განივი ხაზი, განკვეთილობა-ორწერტილი. წარწერის თავში და ბოლოში დასმულია სამი წერტილი.

წარწერა კარგად იკითხება, თუმცა ფრესკა დაზიანებულია.

5. წარწერა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ფრესკასთან

ასომთავრული წარწერა ორ სტრიქონადაა გამოსახული წმ. გრიგოლის ფრესკასთან შარავანდედის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ქარაგმა – კლაკნილი, განივი, განკვე-

თილობა ორწერტილით. დაზიანება არ აღენიშნება „წმიდაი გრიგოლი ღვთისმეტყველი“.

უვაროვას დროს ეს ფრესკა კარგად ყოფილა დაცული. ხოლო გრაგნილის ბერძნული წარწერა საგანგებოდაა წაშლილი.

6. წარწერა წმ. გრიგოლ ნოსელის ფრესკასთან

სამხრეთ-აღმოსავლეთ სვეტის ჩრდილოეთ წახნაგის ფრესკაზე გამოსახულია გრიგოლ ნოსელი, განმარტებითი ორსტრიქონიანი წარწერით, ასომთავრულით შესრულებული „წმიდაი გრიგოლ ნოსელი“.

ესენია ლიხნის ტაძრის წარწერები, რომელთაც უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და ექნებათ ყოველთვის. თუმცა წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

ზოგადად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოპოვებული წერილობითი ძეგლები ინახავენ ქართული დამწერლობის სამივე ტიპს: ასომთავრულს, ნუსხახუცურს, მხედრულს. აფხაზეთში დასტურდება ყველა ის კალიგრაფიული მიმდინარეობა, რომელიც არსებობდა საქართველოს სხვა მხარეებში. ლიხნის ტაძრის წარწერები კიდევ ერთხელ დასტურყოფს იმ პერიოდის ეკლესიის საეკლესიო და საგანმანათლებლო ენის რაობას. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში ანუ აფხაზეთში დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო კიდევ უფრო იზრდება ქართული წარწერების, როგორც საისტორიო პირველწყაროს მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ლ.ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, 2005 წ.*
2. *ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, 2006წ.*
3. *ლ.ახალაძე, ქრისტიანობა და დამწერლობა აფხაზეთში, 2005წ.*
4. *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-აფხაზეთი, 2007წ.*



დალილა ცაბავა

საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტი
გასტრონომიული კულტურის მკვლევარი

აფხაზეთის გასტრონომიული სავანძური

ყოველი ერის ტრადიციები დაკავშირებულია საკვებთან და კვების კულტურასთან. ეროვნული სამზარეულო თვითმყოფადია, ის ერის ისტორიას, მის ნაციონალურ გემოს და ხასიათს ასახავს.

დიდი ხანია საკვები და მისი მიღების კულტურა კაცობრიობის ცივილიზებულობის, დახვეწილობის და აღზრდის საზომია. საკვების მიღება ეს არის პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების სოციო-კულტურულ ფენომენთან, მათ ქცევასთან, წეს-ჩვეულებებთან, რიტუალებთან, ცერემონიებთან და ა.შ. როგორც სადღესასწაულო ასევე სამკვლევარო, რელიგიური და სხვ.

საკვების ერთობლივი მიღება კი მხოლოდ დანაწერების მო-

მენტი არ არის, არამედ ეს არის ადამიანების ურთიერთობა, კომუნიკაცია – თვითონ საკვები კი ამ დროს ხდება სიმბოლო, ეროვნულობის, თავისებურებების ნიშანი. სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და გამყარებისათვის საჭმელ-სასმელის მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია, ამიტომაც თანამედროვე გლობალურ, ცივილიზებულ სამყაროში ძალიან აქტუალური გახდა გასტრონომიული კულტურის თემა.

სწორედ ეს თემა გვაერთიანებს საქართველოს უძველეს კუთხე აფხაზეთთან, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია. აფხაზეთი ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და ამჟამად, ოკუპირებულია. წეს-ჩვეულებები, ფოლკლორი, გასტრონომია თანაცხოვრების ისტორია ცხადყოფს, რომ ქართველებსა და აფხაზებს საერთო ფესვები გვაქვს და, ბუნებრივია, ეს გასტრონომიულ კულტურაზეც აისახა.

ეროვნული ტრადიციის კულტურა, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი ეკოსისტემის თავისებური გამოხატულებაა, რომელშიც ეთნოსის ფორმირება ხდება. ეკოლოგიური პირობების ზგავლენა არა მარტო ეთნოსის, კულტურული ტრადიციების, თუ კულინარიის ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას, არამედ ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრები ადამიანების ნივთიერებათა ცვლის პროცესშიც. კონკრეტული ბიოტოპების (სასიცოცხლო ადგილის) სპეციფიკაც ზემოქმედებას ახდენს ერების კვების ეროვნული ტრადიციების წარმოშობასა და ჩამოყალიბებაში.

ამის ხაზგასმა იმიტომაც ჩაეთვალება საჭიროდ, რომ კიდევ ერთხელ გამოჩინდეს, ქართველებისა და აფხაზების საერთო კულტურული გენეზისი. აფხაზეთი ქართველების უძველესი ქრისტიანული კუთხეა. აქ ქართული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერებია – მოქვის, ილორის, ბედიის, ბიჭვინთის, დრანდის ტაძრები და მონასტრები – ქართული არქიტექტურის ნაშენებით და შემკული ქართული ჩუქურთმებით, ფრესკებით, წარწერებით.

აფხაზეთი საქართველოს გამორჩეული რეგიონია, როგორც ბუნების სილამაზის მხრივ, ასევე გასტრონომიული კუთხით, თუმცა სახელწოდებები შეიძლება სხვანაირად ჟღერდეს.

ახალი ამბავი არაა, რომ ამიერკავკასიას ბევრი მეცნიერი ცივილიზაციის აკვნად მოიხრებს. არქეოლოგიური მასალითაა დადასტურებული ის ფაქტი, რომ ვაზის გაკულტურება პირველად, სწორედ, საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა და საუარაუდოდ პირველი ღვინოც აქვე დაიწურა. იგივე შეიძლება ითქვას პურეული კულტურების შესახებაც, ანუ საქართველოს ტერიტორია მარცვლეული კულტურების სრულიად დამოუკიდებელ, გენეტიკურ ცენტრადაა მიჩნეული.

ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველური ტომების გასტრონომიულ კულტურაში უმთავრეს როლს მემინდვრობა (ანუ მარცვლეული კულტურები) და მეღვინეობა თამაშობდა. თუმცა ყველაზე არქაული ალბათ შემგროვებლური მეურნეობაა და პირველ რიგში, ესაა ძალზე მრავალფეროვანი მცენარეული საკვები, რითაც უძველესი ადამიანი იკვებებოდა. არ უნდა დაგვაიწყდეს ნადირობის უდიდესი როლიც პირველყოფილი კულინარიის ჩამოყალიბებაში. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე ხორცისა და რძის ნაწარმი, რომელიც განვითარებულ მესაქონლეობას უკავშირდება. აი ეს არის ის ძირითადი

სპექტრი, რითაც შეგვიძლია დავახასიათოთ ქართული კულინარიის საწყისი ფორმები და რასაკვირველია ყველა რეგიონი საქართველოში, რომელიც იმით გამოირჩევა, რომ დამოუკიდებელი და საინტერესო გასტრონომიული კულტურა აქვს საოცარი გემოების თაიგულით, ტრადიციის კულტურით და ადათ-წესებით.

საქართველოში კვების სისტემის და კვების კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა და აყალიბებდა ეკოლოგიური გარემო, სამეურნეო პირობები, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, ეთნოსის რელიგიურ-საკრალური რწმენა-ჩვეულებები, სადაც ყოველთვის მოიაზრებოდა საკვები და სასმელი. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო რიტუალი იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური რიტუალი – ა ძიხაგარა, სადაც ხაჭაპურის წინაპარი არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, მას ძველ აფხაზეთში „კვიკვინებს“ ეძახდნენ. ეს იყო ფეტვის, ან ხორბლის ფქვილის ცომის მრგვალი გუნდა, რომელშიც იღო მოხარშული, კვერცხი, სელის ან კანაფის თესლი. ის აფხაზური რიტუალის – ა ძიხაგარას მთავარი სარიტუალო ხაჭაპურია – ეს არის პატარძლის საწესო გაყვანა წყალზე. ამ რიტუალს მხოლოდ გათხოვილი ქალები ესწრებოდნენ. საამდღესოდ მოწვობილი სპეციალური სადილის შემდეგ ოჯახის ახლობელ ქალებს ან დედამთილს, ახალ ტანსაცმელში მორთული პატარძალი გაჰყავდათ მდინარეზე ან წყაროზე. აქ ერთ-ერთი ასაკით უფროსი მონაწილეთაგანი იწყებდა ლოცვას და წყალთა უფალს „ძიძლანს“ შესთხოვდა მოწვალეობა არ მოეკლო ოჯახის ახალი წევრისათვის... ამასთან ახალი რძლის რომელიმე კაბას წყლით ასველებდნენ, შემდეგ „აკვაკვარი“-ს კვერცხს და აკვაკვარის მოტეხილ ნაწილებს წყალში აგდებდნენ, დანარჩენს კი ყველა მიირთმევდა, თუნდაც ერთ მცირე ნაწილს, მხოლოდ ამ წესის შესრულების შემდეგ შეიძლო პატარძალს წყალზე გასვლა.

ასე, რომ ყველა რიტუალს შეიძლება თაყვისი კულინარიული შედეგები ქონოდა ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად, როგორც ქართულ გასტრონომიულ კულტურაში არის რიტუალური კერძები.

აფხაზური გასტრონომიული კულტურის მთავარი მახასიათებლები შეიძლება ასე დავაღაგოთ: სანელებლები, მარილის ნაირსახეობები, აჯიკები, საწებლები-ასიძბალ-ტყემალი, პომიდვრის, აკაცახურ სიხბად – კონახურის საწებელი, ბროწეულის, მჭავე რძე და რძეზე მომზადებული საკვები, თაფლის გამოყენება და თაფლის პროდუქტები, თხის კულტი და თხის რძის ნაწარმი, ხილის, ჭაჭის, ფეხოს, ციტრუსის არაყი, აფხაზური ყურძნის ჯიშის ღვინოები, ყველეული.

აფხაზური სამხარეულოს ხსენებაზე, პირველ ყოვლისა, აფხაზური აჯიკა გაგონდება. ესაა ამ კუთხის ბრენდი, რომელიც ყველა ბაზარში იყიდებოდა. იყო დრო, აფხაზეთიდან არ მიდიოდა სტუმარი, ეს არომატული და გემრიელი საკმაზი რომ არ გაეყოლებინა. მთავარი მახასიათებელი შებოლილი წითელი ცხარე წიწაკა და აფხაზეთის მიწაზე მოყვანილი ხმელი სუნელებია. აფხაზური აჯიკა საუკეთესო მისაყოლებელია აბისტაზე. აბისტა აფხაზური ღომია, ოღონდ ყვითელი სიმინდის ფქვილისგან, რომელსაც ოდნავ მარილი აქვს დამატებული და ყველანაირი აფხაზური კერძის მეწვეილედ მოიაზრება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აფხაზური ელარჯი „ჩემქვა“, რომელიც მნიშვნელოვანია რომ ქათქათა იყოს, ეს არის მისი მთავარი მახასიათებელი, ის მეგრული ელარ-

ჯისგან განსხვავებით მხოლოდ მჭადის ფქვილით კეთდება, რომელიც რძეში იხარშება და მოხარშვის მერე ემატება თხლად, ფენა ფენად დაჭრილი მწიფე ჭყინტი ყველი. კარგად ჩაშუშვის შემდეგ კი თეფშზე გადმოდის, სველი ხელით, ხშირად როგორც ღვეხელს ისე ახვევენ. მიერთმევენ თაფლიან მაწონთან ან ცალკე.

მგერული და აფხაზური ტრადიციული კულინარიის მოყვარულები დღემდე დაეობენ ძრძს სადაურობაზე. ძრძ არის კერძი, რომელიც მწვანით, აჯიკით, ახალი ხახვით, ახალი ნივრით, მარილითა და ქორფა მწვანით კეთდება. მერე ამ სოუსში შუაზე გაჭრილ, მოხარშულ კვერცხს ჩაალაგებენ და გეახლებიან ცხელ ღომთან ერთად. როგორც ამბობენ, ძრძ აფხაზური კერძია და სამეგრელოში აქედან მოგვიანებით გავრცელდა. ძრძ შეიძლება წითელი აფხაზური აჯიკით შენელებული ან მწვანე პიტნიანი აჯიკით შენელებულიც ვიხილოთ აფხაზურ სუფრაზე.

აფხაზური გასტრონომიული კულტურა ოდითგან მესაქონლეობის ირგვლივ ვითარდებოდა. თუ გავითვალისწინებთ ადგილმდებარეობას, აფხაზეთის დიდი ნაწილი მთა-გორიანია და სოფლის მოსახლეობა მესაქონლეობას და მეჯოგეობას სულ მისდევდა. რძის გადამუშავება საძოვრებზე მწვემსების ქოხებში ხდებოდა და რძის პროდუქტებიც იქვე მზადდებოდა, რძეში იხარშებოდა ცომეულიც და ხშირად ხორციც, მოხარშული თიკანიც ასეთ გარემოში შეიქმნა, მერე წითელი შებოლილი წიწაკის აჯიკა დაემატა და გაჩნდა დაუკვივარი გემო.

ახული – ასე ეძახიან ბოსტნეულის ნიგვზიან კერძს, რომელიც ისტორიის წიაღიდანაა. ახული – კეჭერა ფხალია, ფოთლებს და თეთრ მკვრივ ძირებს ჯერ დაამწნილებენ, მარე კარგად დარეცხავენ, გაწურავენ და შუასუნელებენ გატარებული ნიგვზით, ნივრით, ქინძით, წიწაკითა და მარილით. თუ სიმწივე არასაკმარისია, ძმარსაც უმატებენ.

აკუტაგჩაბა-აკუტაგჯი კვერცხი აფხაზურად. ხშირად ნაბახუსევზე მიერთმევენენ ტყემლის ან ხილის არაყთან ერთად. მოხარშული კვერცხის გული მოვათავსოთ ერთ ჯამში, დაუვმატოთ აფხაზური აჯიკა ნიგვზით, რომელსაც გავახავებთ ბროწეულის წვენი ან წამოღულებული ძმრით. მიღებული ნაზავი ჩავაბრუნოთ კვერცხის ცილაში, რომელიც სიგრძეზე არის გაჭრილი. ორივე ნაწილი შევაწებოთ ერთმანეთს და გარედანაც წავუსვათ აჯიკა.

აქვტიჟ კი არის – მოხარშული ღედალი, რომელსაც როგორც მოხარშება ამოვიღებთ დაესერავთ და კარგად შევაზიდავთ აფხაზურ ნიგვზიან აჯიკას. ასეთი კერძი გურულებსაც აქვთ, ოღონდ გურული აჯიკით და „შეტუტულ ქათამს“ ეტყვიან, ეს კი იმაზე მიუთითებს რომ ჩვენი კულტურები თითქმის იდენტურია.

ხორცეულიდან ძრითადად გავრცელებული იყო თხის ხორცი, რძეში მოხარშული ან შემწვარი. აფხაზეთში, როგორც სამეგრელოს ბევრ რეგიონში, საქონლის ბეჭის კულტი და ქორწილებში საქონლის თავის ჩუქება ძალიან აქტუალური თემა იყო. ბოლო დროინდელ აფხაზეთში კი, როცა მუსულმანობა ნაკლებად იყო, ღორის ხორცი, შემწვარი გოჭი აჯიკით და ღორის შაშხი, ძალიან პოპულარული გახდა. გამოყვანილი საქონლის ხორცი აფხაზურად, იხვი შებოლილი და კუპატები ბროწეულით კი გემოების უნიკალური ნაზავია.

აფხაზები არასდროს ჭამდნენ ცხენს, კურდღელს, მიდიებს და ხამანწკებს. აი გამოყვანილი ან შებოლილი თევზი ყველა

ოჯაში იყო. ფრინველი ყოველთვის იწვებოდა შამფურზე. ყოველთვის პოპულარული იყო სუბპროდუქტები. მაგლით-ად, ამგუაჩაბა – მოხარშული ღვიძლი ქინძით და აფხაზური აჯიკით. მთელს საქართველოში გავრცელებული და ცნობილი ჭინჭრის ფხალი კი მათთვის ჩვეულებრივი ფხალეული იყო ოდითგანვე ახუაცჩაბა – ჭინჭრის ფხალი ნიგვზით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერძია აშვჩაპან – გადახელებული ყველი – ცხელ წაყალში იყრება მარილი და ჭყინტი მწიფე ყველი და შემდეგ იხილება ან იწვნება, მას ხშირად ატანენ არსმგაალს (ნიგვზიანი მჭადი ყვითელი სიმინდის ფქვილი და სოიოს ფქვილი). აყრდცა კი ლობიოს შეჭამანდია, რომელიც ისე მზადდება როგორც შიდა ქართლში.

აღნიშვნის ღირსია აკურჭაჭა – ტაფამწვარი ყველით და ნიგვზით. – წვრილად დაჭრილი ხახვი იბრაწება ნიგვზის ხეთში, ემატება აჯიკიანი დაფშენილი ყველი, და ათქვეფილი კვერცხი, გაცივების შემდეგ ტაფამწვარს ემატება პიტნასთან, ნიორთან და ქინძთან ერთად გატარებული ნიგოზი და ყველაფერი ერთამანეთს კარგად ერევა – გამოდის ცხელ ღომთან ერთად.

საინტერესო ფენომენია აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ყურძნის ჯიშები, რომელიც უკვე ნელ-ნელა ექვემდებარება აღდგენას. ამ ტერიტორიაზე არსებული ღვინო ანტიკურ წყაროებში მოიხსენიება, როგორც საამო და სურნელოვანი. ჰავა სუბტროპიკულია, ტენიანი, ზოგიერთ ადგილებში ჭარბტენიანიც და ამიტომ ვაზი ხასიათდებოდა ოდითგანვე ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდით (ნოემბრის ბოლომდე). მეღვინეობა როგორც საქართველოს ბევრ რეგიონში, აფხაზეთშიც განვითარდა რამოდენიმე ათასი წლის წინ. ამლახუ, ავასირხვა, აწნიჟ, ცნობილი ჯიშებია. აფხაზური ღვინოები, როგორცაა „აფხაზეთის თაიგული“, „ფსოუ“, „ლიხნი“, „აფსნი“ და „ანაკოფია“, დიდი პოპულარობით სარგებლობენ დღემდე.

უპრიანია არ დაგავიწყდეს აფხაზეთის ჩაროხები და ნუგბარები, ჩირეული, ჯანჯუხა და მურაბები – ციტრუსის მურაბა, ერთი ვერსიით, კანგაუცლელი მანდარინით კეთდება, მეორე ვერსიით კი შერეული აქვს ფორთოხალი, ლიმონი და გრეიფრუტი. ეს, ქილაში ჩამტკბარი, მთელი აფხაზეთის არომატების ნაკრები და აფხაზური სამხარეულოს შედევრია. ამ მურაბის მომზადებას განსაკუთრებული წესი სჭირდება – ციტრუსის კანმა სპეციფიკური გემო და სიმწარე რომ დაკარგოს, სამ-ოთხჯერ მღულარე წყალში უნდა დამუშავდეს, მერე, 10-12 საათით ვაჟინში ჩაიწყოს და ამის შემდეგ აღუდღეს სამჯერ, 5-5 წუთით.

გარდა ასეთი ნუგბარებისა აფხაზეთში როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში მზადდება აჯანჯიხა – ჯანჯუხა, თხილისგან და სიმინდის ფქვილის ფელაბუშისგან. ციტრუსის ცუკატები და ათასგვარი ჩირეული.

გასტრონომია ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი ელჩი, ჩვენი კულტურის, იდენტობის ნაწილი, ჩვენ ერთი გეოგრაფიული არეალის კულტურა ვართ და ამიტომაც გვაქვს ბევრი საერთო, როგორც ადათებში, ასევე რიტუალებში და გასტრონომიაში. თუმცა სტუმარი რომ ღვთისაა და სუფრა რომ ფილოსოფიაა, აფხაზური ზრდილობა რომ განსაკუთრებული ფენომენია დღემდე უცვლელად რჩება ქართველი ერის მენტალიტეტში.

ასე, რომ – გუჰნაჩარა – შეგარგოთ და გაამოთ.



მირანდა ერისთავი

სიყვარულის მათემატიკა

მინდა შენს თვალებთან გატოლება,
ვეძებ – რა ფორმულით აიხსნები,
მრავალცვლადიანო განტოლებაჲ –
პლიუს უსასრულო ხარისხებით...

შენი მზერის ყველა მახვილ კუთხე
მართი კუთხითა მაქვს გაკვეთილი,
უკვე მერამდენედ დაგიზუთხე –
როგორც საზეპირო გაკვეთილი...

ახლაც შენი გულის წერტილიდან
ერთი რადიუსის ვხატავ წირებს,
ეს წრფე(ლი)ც ისეთი წვევტილია
– უკვე მათ გადაბმებს შევეწირე...

ამდენ ხარისხებში აყვანილის
მიჭირს შენგან ფესვის ამოღება,
თავი ბევრჯერ ხელში აყვანილი
უშენოდ აღარსად არ მომყვება...

ჩვენი კათეტები რომ შეჯამდეს
გიწერ პითაგორის თეორემას,
შენ რომ მიმატოვო, ან შეგჯავრდე –
მე თავს შეგაყვარებ მეორედაც...

ტანგენს-კოტანგენსში ახლართული
ტანგოს ვიცეკვებთ და გავაბოლებთ...
ვეძებ შენს თვალებში კვადრატული
ყველა განტოლების პარაბოლებს...

მოდი, უსასრულოდ გაქციო, ან
ამოგ ხსნა! მეტი არ გაგრიტმო!
ჩემო სიყვარულის აქსიომაჲ,
ჩემო ერთადერთო ალგორითმო...

მამაო ჩვენო

მამაო ჩვენო,
რომელიც ხარ შენ ცათა შინა,
ცაში რა გინდა, –
ბრუნდებიან თვითონ ჩიტებიც...
გეძებ, გლოცულობ, ისე როგორც დიდი ხნის წინათ! –
მჭირდები!

მომეცი პური, ან რა პური –
სულაც არ მშია;
ისე ვანგრიე აღარც დარჩა ჩვენს შორის ხიდი;
მამაო ჩვენო, რომელიც ხარ შენ ცათა შინა –
გყიდი!

თანანადებნი მომიტევენ –
არ ვიმჩნევ თუმც კი –
(ვადულებ ცრემლებს, ისე როგორც დამშრალ ჩაიდანს);
მითხარი ჩემგან ცოდვასა, თუ სასწაულს უცდი –
ჩავიღენ!

გთხოვ, დამიხსენი ბოროტისგან, მამაო, ამინ!
ან რა ბოროტი, ბოროტება თვითონ ჩვენშია.
წუთისოფელი გააჩერე ორიოდ წამით. –
სანამ შევშლივარ...

დაგეძებ ცაში, ხან ტაძარში, ხანაც რუკაზე;
სუნთქვა მეკერის და ველარავინ ველარა მშველის!
მამაო ჩვენო, თან გიხმობ, და თანაც ზურგს გაქცევ –
რაც უნდა იყოს, – წმინდა იყოს სახელი შენი!

ფარაონს

გარეთ ცივა, მზეებს ფარავს თოვლი,
მე კი სულს კვლავ შენით ვიამინდებ,
ჩემი ფიქრების ხარ ფარაონი –
ჩვენთვის ვაშენებდი პირამიდებს.

ჩვენთვის ვაშენებდი პირამიდას,
(ახლა იმ ადგილას თუთა ხარობს),
გვეარობდი ვნებით, მიამიტად
ვეტრფოდი შენში ტუტანხამონს...

მერე ქვიშებში თუ წითელ ზღვასთან –
ვხატავდი სხეულით ლაბირინთებს,
მერე გამეჭეცი ვიდაც სხვასთან, –
ცივი უარივით ამირიდე...

მერე იყო სფინქსთან კავშირები,
ვეძებდი საპარის ოაზისებს –

კოცნები, სუნთქვის გახშირება –
ნეტავ, ის ვნება თუ მოვა ისევ...

მაგრამ დრომ წაიღო ნეტარება, –
ქვიშის საათები გამოცალა,
ველარ მოვდიოდი შენს თვალებთან,
როგორც ჩემს ერთადერთ
სალოცავთან...

...ხომ გავცდით რამდენ ათასწლეულს
(ჩვენი აჩრდილები ჰკვანან ცოცხლებს),
ახლაც მე მუშიად გადაქცეულს –
შენი სიყვარული გამაცოცხლებს...

კოსმოსში

თან მეძებ, თანაც მერიდები, –
ჰოდა, მასე იყოს, არ დაგიდევი,
მიყვებით სხვადასხვა მერიდიანს –
ვაშენებთ ჩვენს შორის
ანტარქტიდებს;

გიყვარს ჩემზე წყნარი ოკეანე,
მე კი მიზიდავენ ჩანჩქერები.
რას არ ვაკეთებდი, რომ გენახე, –
შენ კი დამორებას მაჩქარებდი...

ეს გზები მაინც ფერადია
(აღარ დავიფარე ზღვით კერტები),
მიყვებით სხვადასხვა მერიდიანს,
მერე პოლუსებში ვიკვეთებით...

მერე შხის სისტემის მაკეტებით
წავალთ, რომ შევხვდეთ ავატარებს,
აქ რომ სულ არაფერს ვაკეთებდით, –
იქ დროს ერთმანეთში გავატარებთ...

ვოლოტი თუ ამპერი

დღეები უშენოდ მოდიან,
ველარ ვგრძნობ ცა არის რა ფერის,
დამძაბავ რამდენი ვოლტით, ან
დენს მარტყამ რამდენი ამპერით...

სიმძლავრის რამდენი ვატებით,
მყავხარ, რომ გულში ვერ მიგჩქმალე,
ადრე რომ სიხარულს მმატებდი –
დღეს უსწრებ
სინათლის სიჩქარეს!...

გავცვალოთ ჩვენ ჩვენი მუხტები
და რთული ვაქციოთ მარტივად,
ერთმანეთს ხომ ასე ვუხდებით
და მაინც ცალ-ცალკე დავდივართ...

მირაბელი

მირაბელ,
თვალები მინახეს
მტრედებმა, მზეებს რომ აყრიდი.
მირაბელ,
ოღონდაც მინატრე, –
შენს გამო სულსაც კი გაყვიდი...

მირაბელ, შენს თვალებს მზიანებს
დავეძებ ყველგან ვით საკურას,
რადგანაც მე დავიგვიანე,
მოვიდა სხვამ დაგისაკუთრა...

მირაბელ, შენდა თუ მიშველი, –
მიყვები ცარიელ ვაგონებს,
შენით შშიერი, თუ შიშველი
სხვას დავდევი, ვინც შენს თავს მაგონებს...

მირაბელ, შენც იცი, რომ გნატრობ, –
„რა მიყავ, სიმშვილე წამართვი“,
მზადა ვარ ტაძრებში მოგხატო,
ან გავხლე შენს გამო წარმართი...

მირაბელ, ცხოვრებამ გამრიყა,
არ ჩანხარ მჭირდები მე როცა,
გაქციე ღმერთად და რა მიყავ?! –
დამტოვე, – რომ უნდა მელოცა...

აღსარება

რა ათი მცნება? – ათჯერ ათს გცოდავი
ყველა სიტყვაში, ყველა ნაბიჯზე,
სინანულიც კი არა მიპყრობს ცოტა, –
ღმერთო, იმდენჯერ გადაგაბიჯე...

საკუთარ თავზე აღარც ვბრაზდები, –
ვღებულობ მძიმეს და ცოდვებიანს,
და გეკითხები: – ღმერთო, რას მღევნი, –
კუზიანები არ სწორდებიან...

მღვდლებმაც თავისი ღმერთი გიწოდეს, –
მოდიან ჩემთან და აღსარებებს
მთხოვენ, თუმცა კი სულ არ გიცნობენ –
ქრისტიანებად თავს ასაღებენ...

ვანთებ სანთელს და ვბუტბუტებ ლოცვებს,
ვუყურებ ჩამქრალ კანდელს მტრედიანს
და გევაჭრები, დღეებს თუ მომცემ –
კვლავ შენსავით რომ გათენდებიან...

აღარ გადმოგხსნეს აღარც ჯვარიდან,
არც კვერცხებს წითლად აღარ ღებავენ,
მეც ვითვლი რამდენ ცოდვას ჩავიღენ
აღსარებიდან აღსარებამდე...

შვილის გამო

წლები ბავშვობასთან გაცილებს და,
ცდილობ დედა შენშიც მიიმგვანო,
ადრე დედა ძალით გაძინებდა, –
ახლა ვერ იძინებ შვილის გამო.

საჭმელს ტოვებდი, რომ ბევრი იყო, –
(დედის ნახელავი სხვა ყოფილა);
საჭმელს ახლაც ტოვებ – ცოტაა და
გინდა, ხვალ რომ შვილებს ამყოფინო.

დედა რომ საბანს გიკეცავდა –
გვიან მოსულს, დაღლილს ღრიანცელით,
ახლა შენ თვითონვე იქვე სახლად
და შვილის მოსვლამდე ღია რჩები.

ადრე გლლიდა დედის ერთგულება:
დედის ზრუნვა, დედის სიკარგე და
ახლა ბრაზობ თუ სხვა ეგულება
შვილს და სხვასთან ერთად იკარგება.

დელობა დედას გაცილებს და, –
გინდა შვილი მაინც მიიმგვანო,
ადრე დედის კოცნა გაღვიძებდა –
ახლა შენ იღვიძებ შვილის გამო...

რა გინდა

რა გინდა, თქვი, ასე უბრალოს
ჩემთან, ან გიყვარვარ რის მერე?
ჩემთვის რომ სულ ჭირისუფალობ, –
მე რომ შენს თვალებთან ვისვენებ.

რა გინდა, რა გხიბლავს
რას ეძებ?!
(მე შენში ვპოულობ იმედებს);
მიყოფ სულს, ლუკმას თუ სარეცელს,
სხვა კი ტალახსაც ვერ იმეტებს.

რა გინდა,– ასე რომ მპატიობ
(გფლანგავ და კარტივით გარიგებ),
წავაგე ცხოვრების პარტიაც
და დედოფალში ვცვლი პაიკებს.

ვიღლები, სულ ქაოსურია
ცხოვრება ჩემთვის და მატია.
შენ იცი ცოდვილი სული ვარ, –
იცი და ღმერთივით მპატიობ.

ხაფი

ხელი ხალებისკენ გაგიბობს და
გხიბლავს ჩემი ხალთა – „ბოლი არტი“
მინდა შენი ხმის გაგება და
შენს დაძახილზე რომ მოვტრიალდე.

თითებზე თითებს გატოლებ და
(თითქოს საქმე არ მაქვს ამის მეტი);
შენ ხარ ისეთი განტოლება –
ამოუხსნელად რომ გამისხლტები.

ხელებს ხალებისკენ აპარებ და
მეც კოცნას გიტოვებ მძევალივით,
შენთან ლაპარაკი ზღაპარი და
შენთან სიახლოვე – მწვერვალია.

ვცდლობ, თვალი მაინც აგარიდო.
გულში ვიძახისოვრებ ამ დიქციებს;
სხვების შხერა როგორც აპარატი –
ერთად სურათივით გვაფიქსირებს...

ლუციფერი

მე ვარ დაცემული ანგელოზი,
ვცოდავ, თვალები მაქვს ლუწი ფერის,
ღმერთი, მე კი არა, –
აგერ რომ ზის –
ისაა,
მე კიდევ – ლუციფერი.

ასჯერ ასი ცოდვა ჩავიდინე,
მამლის ყვივლამდეც ვერ მოგყვები.
ჩემთვის მოთუხთუხე ჩაიდანი –
აორთქლდა! – შენ მაინც მელოდები.

გული ტყვიასავით გამივარდა,
გზები მეძახიან გამრუდების,
შენგან წამოსული კრავი ვარ და –
ვიცი, ბოლოს შენთან დავრუნდები.

ზღაპრის სასაფლაოზე

გუშინ დიღებს, ახლა ნერვებს,
ხვალ თქვი რაღას დამაწყვეტ,
შენზე ფიქრი კომბლესავით
ვთალე, ჭერში დავაწყვე.

იყავ, არა, არც ყოფილხარ
ზღაპარი თუ არაკი,
როგორც ქოში კონკიასი –
ღამით საღდაც დაგკარგე...

უშენობის ნაცარს ვქექავ,
ვებრძვი დევს ცხათავიანს.
სხვა მიყვარდი, ახლა ვხედავ
შენში სხვა ადამიანს...

იყავ, არა, არც ყოფილხარ
(თუმცა დღემდე მაოცებ),
ცხადში არ ხარ და დაგეძებ
ზღაპრის სასაფლაოზე.

ოჯახური პირამიდა

როცა სიბუღევილი ინსტიქტად გაქვს
უკვე ქცეული და ძლივსლა მიტან,
როცა მუმიების გროვად იქცა
ჩვენი ოჯახური პირამიდა...

როცა ბევრი გარეთ ჩვენს ბელს ნატრობს
და ჩვენს „სხვისთვის შექმნილ იდილიას“,
და ჩვენმა სახლმა იცის მართლ
შენს გამო რამდენჯერ მიტირია.

როცა ჩვენ ჩვენი გზით გავუბერეთ
და სხვა სურვილები გვინდებიან,
როცა ჩვენი ყველა საუბარი
ჩხუბი, ან კი ბეწვის ხილებია...

როცა ვგრძნობ როგორ გკიდვიარ და
შენი ზიზღისაგან ვედარ მიცავ,
როცა უკან-უკან მივდივართ და
უკუღმა ტრიალებს დედამიწა –

მაშინ, მაშინ მინდა, რომ გავიქცე –
სადმე გადაფურინდე ქარაფებზე,
რომ აღარ ვიფიქრო აღარც შენზე,
არც ჩვენზე და აღარც არაფერზე...

შენ იცი ჩემი თვალების ფასი

შენ იცი ჩემი თვალების ფასი,
მე შენს ხელებში ვეძებ დასაყრდენს,
უშენო ყველა წუთია ფარსი,
მინდა რომ ჩემთან, ჩემში ჩასახლდე...

მინდა, რომ ჩემთან ჩემში ჩასახლდე,
მკოცნი მხარზე და სხეულით მეკერი –
ყველა დღე შენთან უდრის ახალ წელს –
მე ვარ თოვლი და შენა ხარ მეკველე...

მე ვარ თოვლი და გადნები სულზე –
ვდნები შენს კანთან ოდნავ შეხებით
და თუ გავქრები ამ გაზაფხულზე –
მარტში მარტივით ისევ შევხვდებით...

შენ იცი ჩემი თვალების ფასი
(ვირეკლავ ზღვებს და ზეცის კამარას);
თვალებს დავხუჭავ და ვივლი ასე –
შენი ხელების სითბოს ამარა...

* * *

ყველანი მტოვებენ თავისით, –
ვისაც კი საკმეველს ვუკმევ;
წერტილი იმდენჯერ დამისვი, –
ძრავალწერტილი ვარ უკვე...



ქეთიკან ნათელაძე

ნანგრევები

არ გიფიქია? ნანგრევების იღუმალ ხიბლზე...
რა ნამდვილია მათი ყოფა, როგორი მტკიცე,
რამდენი უნდა აიტანო, რამდენი შეძლო,
რამდენი უნდა იტვირთო, რომ ნანგრევად იქცე...
დადგება დღე და ძველებურად ვერაფერს იგრძნობ,
უყურებ ცას და თვალს უკუნეთ სიბნელეს აჩვევ,
რამდენჯერ უნდა გატკინონ, რომ დაიწყო დაშლა,
რამდენად უნდა გიყვარდეს, რომ ნანგრევი დარჩე.
და აღარასდროს არ აშენდე, არასდროს აღარ,
რადგან იცოდე ნგრევის ფასი და არა მხოლოდ...
იღვე საკუთარ ნანგრევების დიდებულ ჩრდილში
და იმ ჩრდილშივე შხის შუქივით კვდებოდე ბოლოს.
ვიდრე წაგვეკეკავს მარადმყოფი დინება ჭამის,
ვიდრე დაგვკარგავს საკუთარი სიმცირის კვალი,
სულ ერთი წამით, მხოლოდ ერთი წუთით თუ წამით,
რა ლამაზია ნანგრევები, შეავლე თვალი.

კუდიანების სიმღერა

კუდიანები რომ ვიყავით, ხომ გახსოვს, გოგო?
ვლოდებოდნენ სავსე მთვარეს ჩვენი ბაღები,
ჩვენ ცეცხლს ვუნთებდით ტყის ბნელ სულს და ბნელ სიყვარულს,
გვესმოდა ენა ხეებისა და ბალახების.

გახსოვს? ცა როგორ გაიმჭვარტლა, როგორ გაშავდა,
ტყეც, ვარსკვლავებიც უცხო შიმის გახდა საფარი,
მდინარის პირას სიყვარულის წამალს ვხარშავდით
და ღრმად მიწაში გულის სწორთა ბედი დავფალით.

იმ ფორიაქის ვრუ ყიჟინა წარსულს მიბარდა,
ცხოვრება ახლა უსიცოცხლო წყლებში გვაგუბებს,
გახსოვს? ვინცობდით ბედისწერას და ვინც გვიყვარდა,
ისე ძლიერად შევიყვარეთ, კიდევ დავღუპეთ...

და ზოგჯერ ახლაც დამის ბანგით როცა ვბრუვდებით,
მოგონებები გვედებიან ტანზე ალებად...
ვერც ჩვენს მაგიურ სამყაროში ვეღარ ვბრუნდებით,
ვერც არსებობა ვერ გამოგვლის მოკვდავ ქალებად.

მიგვაქროლებენ ჩვენი სიზმრის ლურჯი რაშები,
იმ დროში, სადაც ენა გვესმის მთების, ლოდების,
სიცოცხლის ცეკვას სადაც ვცეკვავთ ცეცხლის გარშემო
და ველოდებით, ველოდებით, ჰო ველოდებით

მათ, ვინც ტკივილად დაკრისტალდა, ვეღარ მოვიდა
და ვეღარც მოვა... დრო სიზმარ-ცხადს ერთად ამიწებს,
ჩვენი სიმღერა გადაუვლის მძინარ სამყაროს,
ჩვენგან ნამღერი და მკვდარ გულებს გამოაღვიძებს.

ზოგჯერ ხომ ხდება, როცა წუთს აქვს ფასი სიცოცხლის,
მისი ნათება სიკვდილამდე უნდა ატარო,
კუდიანები რომ ვიყავით, ხომ გახსოვს, გოგო?!
ის დრო არაფერს არ შეადარო...

მზეო, ამოდი!

ამოდი მზეო, მოაცილე ჩემს გულს შიმები,
შენ იცი, როგორ მალეღებდა შენი შორეთი,
როგორ ვრისკავდი ზოგჯერ, როცა ჩემში გიშვებდი,
როცა შენს ქვემოთ ვწვებოდი და თვალს გისწორებდი.

ზღვის ფსკერმა შთანთქა დამეები შენით მწყურვალი,
შენ მზე იყავი და თაფლისფერ სახლში მაცხოვრე,
შენი ნათებით, დაბნელებით და სიმხურვალით,
მე მხოლოდ ერთი სიყვარული დავიმახსოვრე.

ქვიშით გავავესე მარტობის შავი ღრმულები
მთელი ცხოვრება გაივლიდა ამგვარ ლოდინში,
მე ვიწვოდი და ვბრმავედებოდი შენი ყურებით,
თვალები მაინც არ დავხუჭე და შემოგიშვი.

ვსუნთქავდი ჰაერს შენი ცხელი სუნთქვით ალესილს,
ჩემს სიახლოვეს შენ ჩნდებოდი ზოგჯერ სხვა სახით,
მე ვიცოდი, რომ დამფერფლავდა შენი ალერსი,
შენი უნარი დავიწვევის და გარდასახვის.

შენ აკრძალული სიყვარულის ყველა სამხილი
იყავი... ჩემთვის ბოლოს წყევლაც და ეშაფოტიც,
მაინც მინდოდა გაგვეგონა ჩემი ძახილი
ნელსაცხებლებად გაბნეული – მზეო, ამოდი!

რადგან შენ ჰგავდი დაჟანგული ფრთების აწევას,
მიყვარდა დიდხანს შენი მთები, შენი მიწები,
ამოდი, მზეო, უსურვილო ჩემგან გაქცევა
დაგაგვიანდა, მე შენ ვეღარ დამავიწყდები.

კაფოლები

მე მეშინია კედლების,
რომელსაც დიდხანს აშენებდნენ,
რომელიც ისე ააშენეს,
ფანჯრებზე არც კი უფიქრიათ.
დიდი, მაღალი კედლები,
დიდი, წითელი კედლები,
მზეში შემხმარი სისხლით და
ტვინის ცხელი ნარჩენებით.
ხავსმოდებული კედლები,
აქა-იქ ბზარებშეპარული,
რომელთა უხსოვარობას
გარდაცვლილებიც გაურბიან.
მე მეშინია კედლების,
მოლაპარაკე კედლების,
სმენადქცეული კედლების,
ყველაზე უფრო მეშინია.
მე მეშინია კედლების,
ჩვეულებრივი კედლების,
რომელთაც უნდა შემოსახლვრონ,
ვინმეს სევდა ან იდილია.
კედლები – მჭრელი საცეცებით,
კედლები, როცა არ გიშვებენ,
მათგან გაქცეულს გაბრუნებენ,
რათა ძილივით შეგებრუნონ
თავიანთ დამპალ სინესტეში.
მე მეშინია კედლების,

მე მეზიზღება კედლები!
მე დამანგრია კედლებმა,
რომელიც მე ვერ დავანგრე.

მეზობელ სახლში

მეზობელ სახლში, სადაც უკვე ცხოვრობს არავინ,
ცხოვრობს აჩრდილი და ქუჩებში როცა ბინდდება,
ის დგას სარკმელთან უთვალეზო და შემზარავი,
ჩემი ფანჯრისკენ იყურება და მაკვირდება...
ყველა ქუჩაზე, ყველა ხეზე თოვლი მოვიდა,
მეზობელ სახლში მარტოობის ცხოვრობს ქმნილება,
ის შესაძლოა ყოფილიყო ვინმეს იმედი,
ან სიყვარული, ან ღოდინი, ან მოთმინება...
თოვლის სიმშვიდით სველდება ან გარეთ აბრები,
მეზობელ სახლში თოვლის სუსხი შუქად იღვრება
და იქ აჩრდილი ფანჯარასთან ზოგჯერ საბრალოდ,
პატარავდება და მწუხარედ მხრებში იხრება.
აჩრდილად იქცა, ტრაგიკულად ყველა ვინც მოკვდა,
ყველა ვინც მოკვდა, ან სიკვდილის წყევლით გათვალეს,
ის მე მიყურებს ისე, თითქოს ერთდროს მიცნობდა,
კი არ მიყურებს, დგას სარკმელთან და მითვალთვალებს.
ვერხვის ხეები იმ სარკმელთან ტოტებს იწვდიან,
ჩემს ამოუცნობ მეზობელთან შესვლის ფინი აქვთ,
მეც მას ვუყურებ ისე, თითქოს ერთდროს ვიცნობდი,
თან ახლოს მინდა მივიდე და თან მეშინია.
გავლილ მანძილებს დღეს ჩვენს შორის მანძილს ვატოლებთ,
თოვს მღუმარედ და მღუმარებას ვარღვევთ არცერთი,
არის რაღაცა მის ყოფნაში ადრე განცდილი,
არის რაღაცა ამ მხერაში გულდასაწყვეტი.
მეზობელ სახლში, სადაც უკვე ცხოვრობს არავინ,
ცხოვრობს აჩრდილი და ქუჩებში როცა ბინდდება,
ის დგას სარკმელთან უთვალეზო და შემზარავი,
ჩემი ფანჯრისკენ იყურება და მაკვირდება.

ქვეშ მოუყევი

ჰგავს მოჩვენებას ახლა ის წლები,
ბედი არასდროს იყო ურყევი,
წყალს არ მოუყევი შენი სიზმრები,
წყალი საუბრობს – ქვეშ მოუყევი.

მდინარეების ზოგჯერ ქარებთან
ისმის ჩურჩული, ნაზი ალერსი,
იბზარებიან ქვეშ ღრო-და-ღრო,
მაგრამ მათი ხმა არვის არ ესმის.


ღროის უსაზღვროდ მძიმე დინებას,
და მწუხარების თმენას ირჩევენ,
ქვეშ მოუყევი, ქვეშ ეტკინებათ,
მაგრამ არაფერს არ შეიმჩნევენ.

განაცრისფრდება როცა ცისკარი,
წამის სისწრაფით გავა ცხოვრება,
ვერაზღენილი ჩვენი სიზმარი
ქვეშ საშუალოდ ემახსოვრებათ.

ცა რომ მოიბამს წვიმებს ეყენებად,
ღრუბლებს გაივლის ელვა ტივივით,
ქვეშ ყვაილებად ამოეშლებათ,
გაუმხელელი ჩვენი ტკივილი.

ვიდრე ეს ქარი...

ღიაა მისთვის ჩარაზული აქამდე კარი,
ადარ ისურვებ, მისგან თავის დაღწევა შეძლო,
ის მუდამ ქროდა – შენი ქარი, სხვაგვარი ქარი,
ისე ძლიერად, მისი ქროლვა რომ სხვებსაც ეგრძნოთ
და ამის შემდეგ წასულიყვნენ ქარივით სულაც,
რომ გააქცეოდნენ შენს სიყვარულს, შენდამი სურვილს,
რადგანაც ამ ქარს შემოჰქონდა ხიფათის სუნი,
რადგანაც ამ ქარს შემოჰქონდა სიკვდილის სუნი...
ხოლო ერთ დღესაც, სხვა ცხელი მზე აღუდდა თავში,
რადაც დიდი და უწონადო მოვიდა განცდა,
რომ შენ სიკვდილთან მეტად გრძობდი ინტიმურ კავშირს,
მთელი ზაფხული რომ გიყვარდა, ვიდრე იმ კაცთან.
და შენი ქარი შენს უსიზმრო ღამეებს ჰგავდა,
ქროდა ხეებში უხსოვარი და როგორც ზარებს
რეკავდა ღრუბლებს და ფერადი ჩიტების გარდა,
მან მოიტანა მარტოობა – მზის ბნელი მხარე.
ქრის შენი ქარი, სხვა ქართათვის უცნობი რისხვით,
თან დაატარებს უკუნისფერ სიკვდილის აჩრდილს,
(საბაზანო არ გაივსო არც ერთხელ სისხლით,) მხოლოდ თვალებში სევდის თეთრი ლაქები გაჩნდა.
მხოლოდ ნისლები ჩამოაღნა ჰორიზონტს მხრებზე,
ამოიჩემე სიყვარული, ფილმივით უხმო,
ცა მიატოვეს ღმერთებმა და ქრის შენი ქარი,
ორპირი ქარი ტყეებიდან ურჩხულებს უხმობს!
უსმინე, ეს ხმა საშიშია, საფლავებს ბზარავს,
ძნელია მიხედვ, იქ სიცოცხლის მარცვალი თუ ჩანს,
ვიდრე ეს ქარი, შენი ქარი, შეცვლილი ქარი,
სამარადისო ფოთოლცვენას წააყრის ქუჩას.



ჯემალ მახრიშვილი

მოულოდნელი შეჯახება პოეზიის მეტეოროთან

დედოფლისწყაროში გამომავალმა ლიტერატურულ-მა ალმანახმა „ხორნაბუჯი“ (რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ნატროშვილი) 2021 წლის სექტემბერს, თავის მე-11 ნომერში რუბრიკით „ახალი სახელები“ ახალბედა პოეტის, სალომეა ლომინაძის ცხრა ლექსი გამოაქვეყნა.

ავტორის ფოტოს თვალი ჩამოვაკვლე და პირველივე ლექსის სათაურს მონუსხულივით ჩაჩერებულს, ელვისებურად შემომახურა, რადგან გონებამ მაშინვე მიაზრა – შორეული ქაოსებიდან ჩემკენ მომქროლავ პოეზიის გავარვარებულ მეტეოროთან შეჯახება წამიერ მელოდია და მას მომზადებული უნდა დაეხვედროდი, თორემ... მაგრამ...

მაგრამ განცდათა გაორებამ რვა თვით გამტანჯა! ეს ორი მიზეზით მოხდა. სწორედ იმ ხანად ახალდაწყებულ წიგნს თავგადადებით ვწერდი და გული არ მიშვრებოდა, სხვა თემასთან შებმით ბუნებრივად მოგვრილი ის შემართება ჩამწელებოდა! არადა, პირველივე ლექსი თითქოს გასაქანს ადარ მაძღვედა – სხვა ყველაფრის გადაღებას და მიძხიდველ სამყაროში გადასაჭრელად

მაგულიანებდა!

მეორე მიზეზი უფრო პიროვნულ მერყეობას უკავშირდება. სინდისი ნებას არ მაძღვედა, ქართულ პოეზიაში ახალგამოჩენილი მანდილოსნის თუგინდ პირველივე ლექსს დაუდგომელი ოკუპანტივით მაშინვე თავს დაესხმოდი და მისი „ანექსია“ პირველს – თანაც პროზაიკოსს – მომეხდინა! ამიტომ თავს უმოწყალო მოლოდინით ვიწამებდი – აბა, ერთი ვის შეძრავს სალომეა ლომინაძის ლექს(ებ)ი ან რანაირ შეფასებას მისცემენ – მეთქი!..

ამგვარი მარჩიელობის შემდეგ მეც რა ჩარა დამრჩენოდა – ისევ იმ დაწყებულ წიგნს მივუტრიალდი და ყველაფერი მოუსყიდველ ბედისწერას მივანდე!

აი, ამგვარი მოლოდინით გაიწვლა რვა თვე! წელან ნახსენები ის წიგნი მაისის დასაწყისში დავასრულე და საგანგებოდ გადანახული „ხორნაბუჯის“ ნომერი გულატოკებულმა ამოვიღე! ამასთან აზრზე არა ვარ, სალომეა ლომინაძის პირველ ლექს(ებ)ს მთელი ამ ხნის მანძილზე ვინმე შეეხო თუ არა?! ან ეს შეხება სად და როგორ მოხდებოდა – ლიტერატურულ პრესაში თუ უკიდევანო ინტერნეტსივრცეში?! ასე, რომ...

ყველას ვთხოვ, მხედველობაში იქონიონ: ამ შემთხვევაში გამოვდივარ როგორც ერთი რიგითი მკითხველი! ამიტომ, ცხადია, ჩემს მსჯელობას არ ექნება არამცთუ კანონის ძალა, არამედ ამის თუგინდ მკრთალი პრეტენზია!...

პირველი ლექსის – ამ წერილში კი მხოლოდ მასზე იქნება მსჯელობა! – სათაურის „შენ, მამაჩემო!“ კილო-კატეგორიულობას ჩაუკვირდით: მშობლიური პროვინციული ბუდიდან კარგა ხნის წინათ რომელიღაც დიდ ქალაქში სასწავლებლად თუ სულაც მუდმივ საცხოვრებლად გაფრენილი სალომეა ლომინაძის პერსონაჟი ქალიშვილი ღვიძლ მამას შორიდან მონატრებით, მოფერებით, ნაღვლიანად, გაბუტვით ანდა განებევრებით კი არ მიმართავს, მაგალითად: ჩემო საყვარელო მამა!... ჩემო ტკბილო მამიკო!... ჩემო სანატრელო მამიკონა!... შენ, ყველაზე გულთბილო მამილო და სხვა. არა! აქ მშობელი მამის მიმართ შორიდან ნახმარი მხოლობითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელი, შენ, თავგადადებული დუელიანტის ისეთი უკანდაუხველობითაა გადმოსროლილი, რომ ელდანაკრავი მკითხველი მაშინვე ხედება: მამა-შვილის დისტანციური გასაუბრება, უფრო ზუსტად კი მისი ქალიშვილის მოულოდნელი აღსარება-მონოლოგი იქნება არა ძველებურ სკივრში ნახმარი ზეწარივით ჩასაკეცი ჩვეულებრივი ოჯახური კეკეპალულობა, არამედ შექამ-რწუნებელი სინამდვილე!

გიტარის ყველაზე წერილი სიმივით გაწვევტამდე დაჭიმული მოკლე სათაური და მისი ჭირხლიანი კილო დაძაბულ მკითხველს ვარაუდს არ უცრუებს! აი, როგორია ლექსის პირველივე სტრიქონი.

შენ, მამაჩემო, ჩემზე რა იცი?

როგორ აუხუნა მკითხველს ეს ერთადერთი სტრიქონი ჩემს წარმოსახვაში რას დაემსგავსა?! ცამოწმენდილზე მეხის გაუარდნას?!... მიწისძვრას?!... ჩემი საცხოვრებლის სიანსლოვეს მოულოდნელად ვულკანის ამოფრქვევას?! კაშხლის გადმოხეთქას?! არა და არა! ამ სტრიქონმა ასეთი სცენა თუ პროცესი წარმომადგენინა: ერთ მხარეს შეჯარებული მთელი მსოფლიოს ყველა ეროვნების მამა, მოპირდაპირე მხარეს კი მათი ანუ ამ მამების ქალიშვილები, რომელთაც შუაზე ჰყოფდა... რა ჰყოფდა, რკინის ფარდა?! არა, არა, ეს სერ უინსტონ ჩერჩილის (1874-1965) მიერ დამკვიდრებული, თანაც უკვე დრომოჭმული პოლიტიკური ტერმინია!... ჩემს წარმოდგენაში პირისპირ მდგომი მთელი მსოფლიოს მამებსა და მათ ქალიშვილებს შუაზე ჰყოფდა... ალპინისტის გამძლე თოკზე გაბმული უხეში ბრეზენტის ფარდა! ამიტომ მამები და მათი ქალიშვილები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, ურთიერთს ვერაფერს აგებინებდნენ!...

და აი, ერთად შეჯგუფულ მთელი მსოფლიოს აღელვებულ ქალიშვილებს ამორძალისებური თავგადადებით გამოეყო ქ. ოზურგეთში 1993 წელს დაბადებული (ეს მონაცემები ლექსებს წამძღვარებული ავტორისეული მოკლე ავტობიოგრაფიიდანაა ამოკრეფილი) ახალბედა პოეტი სალომეა ლომინაძე, წვერბასრ დაშნად ქცეული ამ სტრიქონით გაკვეთა ალპინისტური თოკი, ძირს ბარტყუნით დაეცა პოლუსიდან პოლუსამდე გადაჭიმული ბრეზენტის მძიმე ფარდა და მოსახდენი მოხდა: გაოგნებული მამები და მათი ქალიშვილები ახლა კი ერთმანეთს გაოგნებით შეაშტერდნენ!.

და აქ სალომეა ლომინაძის კალმის წვერიდან მეტეორივით გამოსხლტება, ჩემი აზრით, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი უკვდავი სტრიქონი.

შენ, მამაჩემო, ჩემზე რა იცი?

მე პოეტი კი არა, ერთი რიგითი პროზაიკოსი ვარ და ადვილი შესაძლებელია, ჩემი მსჯელობა მცდარი გამოდგეს! ამიტომ უხიფათო პოლემიკაში ნებაყოფლობით ჩაბმის მსურველ პოეტებს დასახმარებლად თხოვნით მივმართავ: მოცემული ვითრებისათვის რაიმე ისეთი ფრაზა შეთხზან, რომელიც სალომეას ამ სტრიქონზე უფრო ავის მომასწავებელი... ტევადი... „ურცხვი“ და უფრო პროვოკაციული იქნება!

გაგონილა და ნახულა ასეთ რამ?! მამას თავის ქალიშვილზე რაღაც სააუგო ყურმოკვრითაც რომ ჰქონდეს განაგონი და მისგან მკაცრად ითხოვდეს გულახდილ პასუხს, დავთრებდაფანტული ქალიშვილი, როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერს თავგადაკვლით უარყოფს! სალომეა ლომინაძის პერსონაჟი ქალიშვილი კი პირიქით იქცევა – აზრზე მოსაყვანად მამას თვითონ ეუბნება არსათქმელს: ჩემზე რა იციო?!

ჰმ! „წესიერი“ ქალიშვილი მამას განა ასეთი კითხვის მიცემას უნდა ჰკადრებდეს ან უბედავდეს?! ამიტომ...

მოდით, შევეშვათ ბორბოშელა სიტყვების ტრიალს, ვინაიდან სალომეას პოეტური მეტეორის სისწრაფე და სივარვარე პროვინციული თავკატუნისათვის დროსა და ადგილს აღარ გვიტოვებს! მით უმეტეს, რომ დიდი ქალაქის ჯუნგლებიდან მარტოხელა ქალიშვილის მიერ პროვინციაში მცხოვრები მამისადმი მიწვდენილ ამ კითხვას ლექსის მეორე სტრიქონში უფრო გამაშეშებელი ორსიტყვიანი პასუხი მოსდევს – არც არაფერიო!. მაშ, მოლიანობაში მოვისმინოთ!

შენ, მამაჩემო, ჩემზე რა იცი?

არც არაფერი – ობოლი მქვია.

ოღონდ აქ ბიოლოგიურ ობლობაზე კი არა, სულიერ სიობლზევა ვალალი!

დროა დაგსვით ქუდი და გაგაჩინოთ სამართალი: ქართველი პოეტი მანდილოსნის მიერ ნათქვამი ეს ფრაზები თანამედროვე გაუკუღმართებული მსოფლიოს რომელი ქვეყნისა და ეროვნების მამა-ქალიშვილს არ მიესადაგებოდა?!... ოღონდ ამ ეპოქალური კითხვა-პასუხის სწორად განსაჭვრეტად უმთავრესია ორი რამის გათვალისწინება: მამა – შვილის უწყვეტი ურთიერთობის დროის პერიოდები და ქალიშვილის ასაკი!

ეჰ, წარსულს ჩაჰბარებია ის ტკბილმოსაგონარი დრო, მამიკო თავის პაწიას ჩხრიალათი რომ იყოლიებდა!... აკვნის ჩასველებულ ჩალახეშს უცვლიდა... კაბა-შურს უშხუერებდა... ქოთანზე სვამდა... გაბანის შემდეგ მეუღლესთან ერთად ბანჯგვლიან პირსახოცში ტოლმასავით სიცილ-სიცილით ახვევდნენ... ფეხის ადგმას ასწავლიდა... მალე კიკინები, ბანტი... ბაგა-ბალი... წერა-კითხვის სწავლება... ზღაპრები... დაწყებითი სკოლა... მამიკოს მხრებზე დასკუპებული გოგონას თვალით დამახსოვრებული მოქანავე მიდამო... სკოლის პატარა სცენაზე საახალწლო ლექსის ჩაბუღებულება და აღტაცებული თანასოფლელების გამაბრუებელი ტაში!... ზედა კლასები... „შეგვარებული“ მეზობლის ბიჭუკელასაგან ატირებული გოგონას შინ დაბრუნება, მამიკოს დაყვავება და ქალის ბედ-იბლის გარდაუვალობის მიმანიშნებელი ფრთხილი ახსნა-განმარტება... მერე სიმწიფის ატესტატი... სკოლასთან გამოსათხოვარი ბალ-მასკარადი და... და ვარდის ახალგადაშლილი კოკობივით ქალიშვილი, თანაც შემოქმედი, სწავლის გასაგრძელებლად თუ მუდმივ საცხოვრებლად თანამედროვე დიდი ქალაქის შუაგულში აღმოჩნდება!

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, იქაურ ცხოვრებას წვნიული თავისი ლექსით უშობელი ფურიერმისეზურად სწორედ იქიდან გამოპბლავის მონატრებულ მამას – ჩემზე რა იციო?! მაგრამ სავარაუდებელია, რომ ქალიშვილმა წინდაწინვე იცის, მამა ვერასოდეს მიუხვდება,

რა ცოდვის ღული ტრიალებს მისი ქალიშვილის თავს! ან თუნდაც იცოდეს, ამის სათქმელად ენას როგორ მოიტრიალებს! ამიტომ ლექსად შემოთვლილი შეკითხვა – ჩემზე რა იციო, მხოლოდ მხატვრული ხერხია, ქალიშვილმა თავისი თავგადასავლი გადაუსხვაფერებლად თვითონვე რომ ჩაუკაკლოს!

მაშ, მოუსმინეთ! თან მხედველობაში იქონიეთ, მთლიანი ლექსიდან მხოლოდ ნაწევრები მომეყავს, რის გამოც დაირღვეოდა მისი შინაგანი რიტმი.

აქ ყველა ჭორი შენს შვილზე დადის,
აქ ყველა ქალი მე მწვეველის, მამა,
რომ გვაძლიერებს ერთიც იმ დარდის,
შენ რა გითხარი, დალაი ლამა...
როცა ქალაქში მხაბუნებს წვიმა,
შავი ფარდებით ვაბნელებ ოთახს...
ვინიმნავ ყველა „უზომო“ წვრილმანს,
რომ მერე ასე, ლექსებად მოვთქვა...
ხან ცისარტყელას ვხატავ, ორზოლას,
ის ხუთი ფერი ზღვაში წვეთია,
არ შემიძლია იმის მოზომვა,
რაც საარსებოდ გადამწვევტია!!!
ზოგჯერ სასმელი გამატიალებს
და შენი გოგოც ხიდიდან ხტება...
მინდა შემოვკრა, ავაფაფხურო
ფრთები ჩემს მხრებზე, ჯერ დაუცდელი,
მამა, სუდარა არ დამახურონ,
არ მინდა, რომ თქვან – ვერ გაუშველი!...
მაგრამ როდესაც შიშით ღმერთებზე
საუბრობენ და ჯვარცმას უცდიან,
ძნელია იყო მათთან მეტყუზე,
ბადეში ყოფნა რომ განუცდია!...

როგორც ვხედავთ, სალომეა ლომინაძის შემოქმედ პერსონაჟს, მით უმეტეს, უდანაშაულო კალმახივით „ბადეში ყოფნა რომ განუცდია“, უკიდურესად უჭირს თანამედროვე საზოგადოებაში თავისი საკადრისი ადგილის დამკვიდრება! ამის მიზეზს პოეტი მოსხლეტით გვისახელებს.

ასეა, როცა მოყვარედ გზრდიან,
„მტრადგამოზრდილებს“ ვერ ეგუები!

მაგრამ სულ ეს არ არის! უმთავრესი, ლექსის დასაწყისი, განზრახ ბოლოსთვის შემოვინახე. მაშ, მოუსმინეთ და გაუძელით!

მა, შევიყვარე უშაქრო ყავა,
გაძლებას ვსწავლობ თითქოს მე ასე,
პირველად კაცმა რომ დამიყვავა,
გავბრაზდი, დღეს კი უკვე მეასე
კაცი მამშვიდებს...ჰო, მიაღერეს...
ეგეც შენ! ჰმ!... წარმოგიდგენიათ?! დიდი ქალაქის
ჯუნგლებიდან ქალიშვილი მამის მისამართით აი, თურმე
რისთვის ითვლევინებოდა – ჩემზე რა იციო?! კაი საცოდ-

ნელიც ესა ყოფილა, თქენ ნუ მომიკვდებით – ამის შეტყობამ თავლაფდასხმულ მამას შეიძლება უცებ ტვინში სისხლი ჩაუქციოს ან თავი ჩამოახრჩობინოს!... ქალიშვილი კი, რაკი დარწმუნებულია, მამიკომ მასზე „არც არაფერი“ არ იცის, ვითომც აქ არაფერიაო, როგორც დაეინახეთ, ყველაფერს დაწვრილებით თავად ჩამოუკენჭავს!!!

აქ თავისთავად იბადება ბუნებრივი კითხვა – კი მაგრამ, რისთვის?! ქვეყნის გასაგონად ასე ვინ გაიძახის საკუთარ აუგს – ჩემი დო მჭავეაო! ლექსის პერსონაჟს ნუთუ არ ანაღვლებს თავისი ან საოჯახო მუნდირის ღირსება?!

სალომეა ლომინაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეპოქალურ დიაგნოზს შეუყოყმანებლად ამსხვერპლა ერთი რიგითი, თუნდაც შემოქმედი ქალიშვილისა და მათი ოჯახური მუნდირის ღირსება! თუმცა, ვინ იცის, მის პერსონაჟ ქალიშვილს ას კაცთან კი არა, იქნებ ჯერ ერთთანაც არ ჰქონია ახლო ურთიერთობა და ეს ყველაფერი მხოლოდ მამასა და მკითხველებზე სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად ანდა სულაც მათ შესაძრწუნებლად გამოყენებული მხატვრული ხერხია, რათა თავისებურად ეჩვენებინა ჩვენი გაუკუღმართებული დღევანდელი არეული მაჯისცემა!

ასეა თუ ისეა, ერთი რიგითი მწერლის კვალობაზე თავს უფლებას ვერ მივცემ, ახალბედა პოეტი მანდილოსნის მხატვრულ უფლებასა და თავისუფლებაში ჩავერიო! ამიტომ ავტორი აქ ორიოდეს, ასს ანდა ასზე გაცილებით მეტ კაცსაც რომ გვისახელებდეს, მაშინაც კი არ ვიქნებოდი სიტყვის შემბრუნებელი თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ უკვე შედეგთანა გვაქვს საქმე, საბოლოო შედეგზე ნაგვიანევი დავა-კამათი კი უაზრობაა!

სამაგიეროდ პოეტი – მანდილოსნის ერთი ფრაზა მალე ენას ამიცრის და მის მიერ მხატვრული ეფექტის მისაღწევად განზრახ გამოგონილი თუ მართლა ასი კაცის ხელში გამოვლილი თავისი პერსონაჟი ქალიშვილის თავაშვებულობის მიზეზზე მაშინ ავლაპარაკები!.. ოღონდ ჩემით ვერ მიმხვდარვარ: სალომეა ლომინაძე იმ ფრაზას მხოლოდ თვითონ (თავისით) წერდა თუ იმ დროს მის ჯერ გაუწაფავ ხელზე ღმერთსაც ევლო თავისი უხილავი მარჯვენა და ის აწერინებდა!...

ო, მაღლიანი მკითხველო, რაკი აქამდე მომეგებოდით, ხვთის გულისათვის, ამ შუაგზაზე ნუღარ მიმატოვებთ, ვინაიდან მალე მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურში შესატანი უკვდავი ფრაზის დაბადების მოწმე გახდებით!.. ხოლო ამგვარმა დაპირებამ თუ იმედი გაგიცრუათ, მაშინ რა გაეწეობა – ეს ყველაფერი ჩემს ლიტერატურულ უგემოვნებასა და უმიზეზო გულაჩუყებას მიაწერეთ!

მაშ, დავიწყით!
* * *

როგორც წედან დაეინახეთ, სალომეა ლომინაძის პერსონაჟი ქალიშვილი ლექსის პირველივე სტრიქონიდან

გასაკვირი თავგადადებით მიმართავს თავის მამას – ჩემზე რა იციო?! და რაკი დარწმუნებულია, მამამ „არც არაფერი“ არ იცის, თავის ავანჩაუნობას დაუფარავად თვითონვე ჩამოუყაჭავს, ოღონდ მიზეზის დაუსახელებლად! არადა, ამ შემთხვევაში უმთავრესია მიზეზი და არა გაქვეავებული შედეგი, რაოდენ საზარელი მოსასმენი და ასატანიც უნდა იყოს!

პოდა, როგორც ლექსის დასაწყისში, ისე ლექსის დასასრულს პერსონაჟი ისევ უბრუნდება ამ თემას და თავის მამას. ოღონდ აქ უკვე დედასაც ახსენებს!

„მამა, შენს შვილზე რა იცი შენ და, რა იცის დედამ?... რატომ?... ან... როდის?..“

ჩემში საყდარი ისე აშენდა, რომ სალოცავად არავინ მოდის!“

გესმით?! გაიგონეთ?! გაიაზრეთ?!

„ჩემში საყდარი ისე აშენდა, რომ სალოცავად არავინ მოდის!“

ახლა, აღსრულდა: თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობა თითქოს მოუთმენელი მოთმინებით ელოდა რაღაც ამდაგვარ ან ზუსტად ამავე ფრაზას და აი, 2021 წლის სექტემბერში ქართულ ენაზე იელვა კიდევ!.

ჩემში საყდარი ისე აშენდა, რომ სალოცავად არავინ მოდის!

კალმის ერთი მოსმით დაწერილ ამ ორად ორ სალექსო სტრიქონში გენიალურად არის გამოძერწილი ყველა ეპოქის შეუმჩნეველი, ყურმიუგდებელი, უმიზეზოდ ათვალწუნებული და უშინაარსოდ ჩამობერებული თითოეული სპეტაკი ქალიშვილის პიროვნული ტრაგედიის მიზეზი და დიაგნოზი!

სალომეა ლომინაძის კალმის წვერიდან ანასხლეტი ეს ფრაზა-აღმოჩენა თვით შექსპირის ბევრ აფორიზმს ეთანაბრება და ზოგიერთ მათგანს აღემატება კიდევც!.

ამგვარი მსჯელობისთვის ვისაც როგორ სურს, ნება დამირთავს – იმდენი და ისე დამცინონ, ოღონდ ნუ გაღიზიანდებიან, ვინაიდან მსოფლიო ლიტერატურის ნებისმიერი ტიტანის შემოქმედებას თუ სამუზეუმო ექსპონატივით ხელშეუხებელ სამარადისო მიუღწეველ ნიმუშად გამოვაცხადებთ, ამით დათვური სამსახური გაეწევა როგორც გარდასულ ეპოქებიდან სამაგალითოდ გამოხმობილ შემოქმედებს, ისე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ცოცხალ პროცესსაც, ვინაიდან არავის შეუძლია განჭვრიტოს, მომავალ დროთა პერიოდები თავ-თავიანთი წიაღიდან რანაირ შემოქმედებს ამოაქანებენ! ოღონდ ეგ არი... თვით შექსპირი თავის სიცოცხლეში, თუგინდ მართო ინგლისელებს, განა ისეთ შემოქმედად ჰყავდათ წარმოდგენილი, როგორიც დღეს მთელ მსოფლიოს წარმოუდგენია?! ჰმ!..

2013 წელს ქართულად გამოიცა ინგლისელი ავტორის, პიტერ აკროიდის ბიოგრაფიული წიგნი „შექსპირი“. ავტორი აი, რას ამბობს 173-ე გვერდის პირველ აბზაცში.



„მართალია, ძალიან უნდოდა, ასე ყოფილიყო, მაგრამ სიცოცხლეში ლონდონის გამოჩენილ დრამატურგად არ უღიარებიათ“.

ეს რომელიმე რიგითი დრამატურგი არავის ეგონოს – აქ თვით უილიამ შექსპირზეა (1564-1616) ლაპარაკი!!!

შექსპირი თავისი გენიალობის მწვერვალზეა. 1603 წელს 70 წლის დედოფალი ელისაბედი გარდაიცვალა. მეფე ჯეიმსი (1566-1625) თავისი დიდი ამალით შოტლანდიიდან ლონდონში ჩავიდა. მას ტრიუმფალური დახვედრა მოუწევს. პომპეზურ პროცესიას დრამატურგები თომას დეკერი (1572-1632) და ბენ ჯონსონი (1575-1637) ხელმძღვანელობდნენ. ახლა ხსენებული წიგნის 239-ე გვერდზე ზევიდან მეშვიდე სტრიქონს ჩავყვით.

„თომას მილდტონს (1580-1627) შესთავაზეს, ამ დღისათვის შესაფერისი ლექსი დაეწერა. უცნაურია, შექსპირი რომ არ არის მოხსენიებული სასახლის პანეგირისტებს შორის. ამ პატივზე უარის თქმა ნამდვილად გაუჭირდებოდა“.

დიახ, მაგრამ ასპარეზზე ახალგამოსული, შექსპირზე 10-15 წლით უმცროსი დრამატურგები ყველგან და ყველაფერში თვითონ ველყელობდნენ, ყველაზე დიდ კალმოსნებად საკუთარი თავი მიაჩნდათ! რატომ?

პ. აკროიდის ამომწურავ პასუხს 168-ე გვერდის ბოლო აბზაცში ვიპოვით.

„შექსპირი პოეტებითა და გრაფომანებით გადაჭყდილ არენაზე გამოდიოდა“.

ნეტავი დღეს საქართველოშიც იგივე ხდება თუ უფრო უარესია?!

შექსპირის ამხანაგსა და თანამოკალმეს, დრამატურგ ბენ ჯონსონს წიგნის ავტორი 150-ე გვერდის პირველივე

სტრიქონში მწარედ კენწლავს.

„ჯონსონი პიესებს წასაკითხად წერდა, შექსპირი – სცენაზე დასადგმელად“.

ერთი სიტყვით, ეს ჯონსონი შექსპირთან ახლოსაც ვერ მოვიდოდა! მაგრამ... ახლა მე-300 გვერდის ბოლოდან მესამე აბზაცის ჯერი დგება.

„შექსპირი ისე მოკვდა, როგორც იცხოვრა – დიდი ყურადღება არავისგან მოუთხოვია. ბენ ჯონსონის დამკრძალავ პროცესიას მთელი ლონდონის დიდებულები და კეთილშობილები მიაცილებდნენ, შექსპირს – მხოლოდ უახლესი მეგობრები და ოჯახის წევრები“.

პოეტი მაიკლ დრეიტონი და შექსპირი ერთი კუთხის შვილები და თანატოლები ყოფილან. რაკი მისი ვინაობა ამ წიგნიდან პირველად გავიგე, შექსპირის ხათრით დრეიტონის შემოქმედების გაცნობის სურვილიც დამებადა. მაგრამ ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ქართულ-რუსულ კატალოგებში მაიკლ დრეიტონის არაფერი აღმოჩნდა. იგი ვერც 1989 წელს ქართულად გამოცემულ „უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ აღმოვაჩინე. ისღა დაგვრჩენია, პ. აკროიდის წიგნის 290-ე გვერდის ბოლო აბზაცს მივინდოთ.

„შექსპირმა და დრეიტონმა განსხვავებული გზები აირჩიეს. დრეიტონმაც დიდ აღიარებას მიაღწია – ის ინგლისელი „ლაურეატი“ გახდა და ვესტმინსტერის სააბატოშია დაკრძალული, როცა შექსპირი – სხვა რა გზა ჰქონდა – სტრეთფორდის პატარა ეკლესიას დასჯერდა“.

ბოლოს და ბოლოს მაინც რა ხდებოდა – დრამატურგის უბადლო ტიტანს მოშურნეები ჩაგრავენენ?! ეექპ!.. სოცოცხლემი თუ სიკვდილის შემდეგ შექსპირს მართლაც არასოდეს მოჰკლებია მოშურნეები, მაგრამ შურს კიდევ გაუძკლავდები, მაგრამ შურზე უფრო უარესი თურმე სულ სხვა რამ ყოფილა!.

წიგნის 279-ე გვერდის პირველ აბზაცში ნახმარი პიტერ აკროიდის ეს უკვდავი ფრაზა უჟანგავი ფოლადის აღლიანი ასოებით უნდა ჩამოსისხას და ჩვენეი პლანეტის ყველა ხალხმრავალ ადგილას ბილბორდებად აღმართონ, როგორც მარადიული გაფრთხილება.

„თანამედროვეებს ხომ მომავლის იერარქიის შეგრძნება აკლიათ!!!“

განა მომავალ ეპოქებშიც ასე არ იქნება?! ამიტომ ქვეყნის სასაცილოდაც რომ გავიხადო თავი, ჩემს მოსაზრებას მაინც გამოვაძხეურებ! სალომეა ლომინაძის ეს უკვდავი ფრაზა სამომავლოდ კი არა, დღესვე თავისუფლად გადასწონის მავნის მთელ შემოქმედებას, მისი ავტორი პოეზიის ავ(გზა)სავალზე თავდაჯერებით რომ მიიფხორება და მარიფათიანად მოხვეჭილი ლიტერემიებით მიკონკილ-მოკონკილი მღღერით შლეიფით სქლად ამტვერებს მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად!

ჩემში საყდარი ისე აშენდა,

რომ სალოცავად არავინ მოდის!

ამ ორ მოკლე-მოკლე სტრიქონში რა გამაოგნებელი საკაცობრიო სევდა – დაკვირვება და მხატვრული ოსტატობაა ჩაკუმშული!... მართლაც, ვინ იცის, კაცობრიობის არსებობის მანძილზე რამდენი ღირსეული ქალიშვილის პიროვნებაში აშენებულა, დღესაც შენდება და მომავალშიც აშენდება უხილავი საყდარ-ტაძარი, მაგრამ იქ „რაინდთა“ გარკვეული ნაწილი „სალოცავად“ მაინც არ შევა – მოთმინებით მომლოდინე ქალიშვილებს ხელი რომ სთხოვონ და აზრიანი ცხოვრების მეგზურობა შესთავაზონ! კი მაგრამ, რატომ? სხვა ვინც უნდა იყოს, ახალგაზრდა მამაკაცს როგორ უნდა ეცხოვრებოდეს „ქალწულ-საყდართან“ დაოჯახების გარეშე?!

მოგცლიათ! დაქმარშვილებაზე მეოცნებე „ქალწულ-საყდრების“ მაგივრობას დღეს რაღა არ ეწვევა: ოფიციალური თუ ფარული საროსკიპოები და ნარკომანთა ბუნაგები... კაზინოები... იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა... ყაჩაღური ბანდები... მასივის მასშტაბის ბაცაცების მარაქა... სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი, მაღალანაზღაურებადი ტერორისტული დაჯგუფებები... უცხოეთში გადაცენილი თანამოძმეთა მიერ იქ თათარიახნად ჩამოყალიბებული მძარცველთა კლანები... ო, კინაღამ მაგიწყდებოდა! კუჭით მოაზროვნეთა შეუცვლელი „საყდარ-ტაძრები“ – სახინკლეები!... სამწვაღეები!... საქაბაბეები!... სახაშეები!... რესტორნები!...

დაუკვირვებლობაში ჩამომერთმევა, აქვე არ დავასახელო ყველაზე მრავალრიცხოვანი „საყდარ – ტაძრებიც“! თბილისის თითოეულ ეზოსა და კორპუსის წინ სახელმწიფოს მიერ კაპიტალურად ნაგები, საიმედოდ თავგადახურული ტალავრები. რაკი მსურველებს ყველა მათგანი ვერ იტევს, ბევრგან ორი-სამი სხვადასხვა სტილის ტალავერია ჩადგმული!

ჰოდა, მთელი წლის მანძილზე – გაუსადღისი ყიამეთისა და თოშიანი ქარბორბალას გარდა! – მოწვენილობისაგან ერთმანეთთან შეკავშირებული მეზობლის კაცები დახშირბინდებიდან ლამის ნარიფრაჟევაძედ ამ ტალავრებში შეფიცულებივით უსხედან და თავს ლულ-არყით იზრჩობენ ან ღომინოს უჭახუნებენ, არადა ერთმანეთს, ვინ იცის, მერამდენედ უამბობენ მთისას, ბარისას!... ამ დროს რომელიმე მათგანის ოჯახის წევრი მანდილოსანი ცას ცხვირით რომ ეკიდოს და დახმარებას საჭიროებდეს ან შეეღას ითხოვდეს, ყასიდად წარბსაც არ შეიხრიან – მათთვის უმთავრესია ტალავერქვეშ შენროვებულ მამრთა ჯოგური ერთსულოვნება და ერთად ყოფნა!!!

ანდა, ვისიმე ოჯახში ღვინი გაიმართება და მტრისას! სუფრა იშლება არა წლის დროის, კლიმატის, ამინდის, მონადიმეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მათი სახვალეო საქმიანობის გათვალისწინებით, არამედ ერთადერთი დასაგმობი მიზნით – სტუმრებმა არ იფიქრონ, მასპინძელს უძუნწიოა!!!. ამიტომ სუფრაზე მოდი და მო-

დის, რაც კი... თუმც რაღა საჭიროა ჩამოთვლა – ეს თქვენ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ!

პოდა, როგორ იქნება, სალომეა ლომინაძის შემოქმედლი პერსონაჟი ქალიშვილის გამჭრიახ მხერას ვერ შეენიშნა ამაზრზენი სანახაობა – ამ დროს „ქალწულსაყდრების“ სავარაუდო მრევლის უმრავლესობა ხორაგის გადაძამუშავებელ რახრახა დანადგარს ემსგავსება ხოლმე! თითქოს ჯოჯოხეთური სამწვევდეგებიდან დიდი ხნის ნამშვევი ტუსაღები მიუშვიათ სავსე სუფრაზე მთელის წლის მარაგის შესავსებად, თანაც ძილის წინო! აღარც მანდილოსნების მორიდება, აღარც მამრული ღირსება!... მათ მაცქერალ მიაძიო ქალწულს შეიძლება გულყრამ მოუაროს – ამდენი სასმელ-საჭმელი სად ჩასდითო! ამის გააზრება მით უფრო სასოწარმკვეთია, თუ მან ესეც იცის – ადამიანის კუჭის სიგრძე 15-18 სმ-ია, სიგანე 12-14 სმ. მისი კედლების სისქე 3-4 მმ... ნუთუ ასეთი უნდა იყოს მისი ცხოვრების მოძავალი თანამგზავრი „რაინდი?“ არა! არა და არა!... ღმერთო, შენ დამიფარე!...

აგერ, როგორც იქნა, თამადამ ლხინი დაამთავრა!... სუფრა აიშალა!... გადაღლილი მანდილოსნები შინ წასავლელად იმუდარებიან! მაგრამ მათ თხოვნა-ხვეწნასა თუ მავერებელ მხერას ჩალადაც არ აგდებენ – აშლილ სუფრასთან თავდაჯერებული „რაინდები“ მძიმეწონიანი ოლიმპიელი შტანგისტებივით ხელახლა მჭიდროვდებიან, რათა ბოლოს და ბოლოს გაარკვიონ – ყველაზე ტევადი და გამძლე კუჭის მფლობელის ვინაობა!!! მერე, ამის დაზუსტება ვის რა სარგებელს მოუტანს?!

ო, საქართველოს უახლეს ისტორიაში ეს ერთ-ერთი პასუხგაუცემელი კითხვაა!

შედეგი? შინ შეყვანილ თუ შეტანილ რომელიმე ან რამდენიმე ამ „ოლიმპიელი შტანგისტის“ ლოქოსებური ხახიდან მოულოდნელად ნავთობის შადრევისებური ამორწყვა! ნარწყვის მყრალი, ლორწოვანი ლავით ვიდა და რაღა არ იგანგლება: უხომოდ გაღვმილის შემაკავებლები... შემფოთებული დამხვდურები... შემთხვევით ახლოს მდგომი ბავშვები... წინკარი... სამხარეულო... მისაღები... ქვეშაგები!... ცელოფნის საფენებით შებუმბულულ „ოლიმპიელს“ სადმე მკვდარივით მისვენებენ, ქალები კი წყლიანი ტაშტებითა და სველი ტილოებით ნარწყვის ასაწმენდად ფაციფუცობენ!...

ახლა გულზე ხელდადებით განვსაჯოთ: განა ასეთი უნდა იყოს ჩვენი ავტორის ინტელექტუალური პერსონაჟი ქალიშვილის წმინდა საყდარში შესული თუ შემვებული ძამაკაცის „ლოცვა“?!

კეთილი, შევეშვათ სალომეა ლომინაძის პერსონაჟი ქალიშვილის პიროვნებაში განგების ჩანაფიქრით აშენებულ წმინდა საყდარში „სალოცავად“ შესასვლელ სასიძოთა სავარაუდო კანდილატებს ანდა თავყანისმცემელ „რაინდთა“ გრძელ რიგს, პირდაპირ საკვირველია – მის ანუ პერსონაჟი ქალიშვილის საახლობლოს, ძველ დაქალებს,

საერთო ნაცნობებს რაღა დაემართად – გაგონილა ასეთი ტოტალური ბოიკოტი?! მაშ, ისინი მაინც რატო არ შედიან ჩვენი შემოქმედის „საყდარში“, რის გამოც ეს უკანასკნელი მთელ ქვეყანას ბაირონ – ბარათაშვილისებურად შესტირის თუ შესწივის.

ჩემში საყდარი ისე აშენდა რომ სალოცავად არვინ მოდის!

რა შეიძლება იყოს ნებისმიერი ეპოქის ახალგაზრდა მანდილოსნის და მით უმეტეს, შემოქმედი ქალიშვილისთვის ამაზე უფრო უდიდესი პიროვნული ტრაგედია! მაშ, რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს ასეთი „საყდრის“ არსებობას, თუკი მასში „სალოცავად“ არავინ შევა – ამგვარად გამოყრუებული „საყდარ-ქალიშვილი“ გინდ ყოფილა, გინდ – არა!

და მაინც რით აიხსნება შემოქმედებითად მოაზროვნე ქალიშვილის „საყდარში“ ჭრელ თანამოძმეთა ხელიერთპირად შეუსვლელობის უმთავრესი მიზეზი?

აქ კი გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი (1788-1860) უნდა დავიხმარო. მაშ, მოუსმინეთ!

„თუ კაცმა შენიშნა და იგრძნო თანამოსაუბრის გონებრივი უპირატესობა, ის ვარაუდობს, რომ თანამოსაუბრემაც შენიშნა და იგრძნო მისი შეზღუდულობა. აი, ეს ვარაუდი იწვევს მის მწარე გაბოროტებასა და სიძულვილს“.

თავის შემდეგ გამონათქვამში ა. შოპენჰაუერი უფრო მოკლე და პირდაპირია.

„გამოიჩინო საკუთარი ჭკუა-გონება – ეს ნიშნავს მიუთითო სხვის უნიჭობასა და სიჩლუნგეზე“.

სალომეა ლომინაძის პერსონაჟი თუ საერთოდ, მისი მსგავსი მოაზროვნე პიროვნებები თავ-თავიანთ რომელიმე წრეში შეგნებულად როდი ირჯებიან საკუთარი ჭკუა-გონების გამოსახენად. არა! ეს მათგან დამოუკიდებლად – თუმც მათივე ინტელექტის მეშვეობით! – ბუნებრივად ხდება და ხაზი თავისთავად ესმება მსმენელების უნიჭობასა და გონებაჩლუნგობას!

ამას კი ვინ მოგითმენს ან როგორ გაპატიებენ?!

აი, ის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ინტელექტუალური პერსონაჟის „საყდარში“ „სალოცავად“ რომ არავინ შედის!... სამაგიეროდ ისინი ერთმანეთთან თავს ისე გრძნობენ ხოლმე, როგორც თევზი წყალში – რა თემაზე და რანაირი ლექსიკითაც გინდა იბაზრე, შებოჭილობას, გაუცხოებას და მით უმეტეს, გაბოროტებას არავინ იგრძნობს!

ჩვენი სანიმუშო პერსონაჟ-მანდილოსნის საყდრის წინააღმდეგ თანამოძმეთა ამგვარი პირმეკრულობა სავალალოა, მაგრამ გასაგები – ის ყველასაგან განსხვავებულად მოაზროვნე პიროვნებაა. მოუსმინეთ!

ჩემს თავს გაუზხდი მემატთანედ, რაც კი დავწერე, ნელ-ნელა ხდება!

როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში დაბადებულ-

სა და გაზრდილს, ამ ამონარიდმა მთელ საბჭოთა წესწყო-ბილებას, განსაკუთრებით კი მის პირველ ნახევარს სე-ვლიანად გადამახელა და გულში მწარედ ჩამკბინა!

მაშინ რომელიმე შემოქმედს აზრად რომ მოსვლოდა და თან გაეხედა კიდევ ასეთი რამის დაწერა – ჩემს თავს გაეუხედი მემატიანედო, ამას ბურჟუაზიულ გადმონაშთად ან სხვა რამ მანვე გაველენად ჩაუთვლიდნენ და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდნენ! მათი თვალსაწიერიდან ეს სწორიც იქნებოდა: ერთ მთლიან კოლექტიურ ფაფად გადახელილ – გადმოხელილ საბჭოთა მასას ანუ ხალხს ხომ კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია ადგა მემა-ტიანედ და როგორ იქნებოდა, რომელიღაც „მეტიანრა“ შემოქმედი თავის თავს დამატებით თვითონაც გახდომოდა მემატიანედ?! აბა, მშობლიური ლენინური პარტია რაღას აკეთებდა?!

მოკლედ, მაშინდელ ეპოქათა თითოეული საბჭოთა შემოქმედი თავის თავს კი არ უნდა გახდომოდა მემა-ტიანედ, არამედ ლენინსა და მის მოღვაწეობას... ოქტომ-ბრის სოციალისტურ რევოლუციას... სამოქალაქო ომს... ბუდიონის ცხენოსან არმიას... ყამირის გატეხას... ჩა-პაევს... ქვეყნის ელექტროფიკაციას... ინდუსტრიალ-იზაციას... კოლექტივიზაციას... კულაკობის განადგურე-ბას... დიდი სამამულო ომის ჰეროიკას... პარტიზანულ მოძრაობას... ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისებას... კოსმოსის დაპყრობას... ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მა-გისტრალის მშენებლობას და ა.შ.!

მართალია, დროთა ვითარებაში ამ კუთხით ხელისუ-ფლების წნეხი შესუსტდა, ბოლოს კი ბოროტების იმპერია სულ დაინგრა, მაგრამ ინერციის ძალით თნამედროვე ქა-რთველ შემოქმედთა გარკვეულ ნაწილშიც ამგვარი თემ-ატიკა მაინც მომგებიანად და ყოველ მხრივ წარმატების საწინდრად ითვლება!

ცხადია, არც სალომეა ლომინაძეს გაუჭირდებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილიდან რომე-ლიმე „მომგებიან“ თემას გახდომოდა მემატიანედ, მა-გრამ მას სულ სხვა, ახლებური გზა აურჩევია – საკუთარ თავს გახდომია მემატიანედ, რადგან, ეტყობა, შეგნებული აქვს: გაუბედურებულ სამშობლოს უფრო მეტი წინსვ-ლა დაეხედება, თუ თითოეული მისი მოქალაქე საკუთარ თავს გაუხდება პირუთვნელ მემატიანედ!... თან როგორი ცხოვრებისეული დაკვირვება გამოსჭვივის ახალგაზრდა პოეტის ამ მეორე სტრიქონში.

რაც კი დავწერე, ნელ-ნელა ხდება!

მეპატიოს ამგვარი გადახვევა, მაგრამ სრულიად არად-ამაჯერებელი იქნებოდა აქ ასე რომ თქმულიყო – რაც კი დავწერე, მაშინვე (უეცრად, უეჭველად, უცვლელად, ხანდაუხმელად, მეესეულად, უკვდავად..) ხდებაო! არა, ნელ-ნელა ხდებაო! მოვლენების ახდენის ასეთი ნელნე-ლაობა კი უფრო დამაჯერებელს ხდის პოეტის ცხოვრე-ბისეულ ფილოსოფიას და სამშობლოს წინაშე თავისი

პიროვნული მოვალეობის შეგნებას!

სამწუხაროდ, ჩვენი ახალთაობელი მანდილოსნების გარკვეული ნაწილი თავიანთ თავს და მსოფლშეგრძნებას კი არ უხდებიან მემატიანედ, არამედ საკუთარ მოსარ-თავ – მოსაკაზმავ კოლექციას – როდის რა შეიძინეს და სამომავლოდ კიდევ რის შექმნა აქეთ უზურში!

ნულარ იკითხავთ ერთფეროვან საძმაცაცო მარაქაში გაწვერიანებულ (სწორედ რომ გაწვერიანებულ!) ჩვენს მგელკაცა ჯეილებს, უერთმანეთოდ გაძლება ერთი წუ-თითაც რომ აღარ შეუძლიათ და თუ არ იქეიფეს, იმ დღეს უქმად ჩავლილად მიიჩნევენ! ისინი სალომეა ლომინაძის პერსონაჟივით საკუთარ თავს კი არა, საკუთარ კუჭებს გახდომიან მემატიანედ და მათი გაუთავებელი კვეხნა-ბაქ-ისაგან ყურები გვეჭვადება: აქ ვიქეიფეთ!... იქ ვიქეიფ-ეთ!... მავანმა ნიძლავზე სამოცი ხინკალი შეჭამა! წლეულს შეიდი ბატკანი და ოთხი ციკანი ჩამოვატყავეთ!... ეგე, ექვსმა ძმაცაცმა ოცდაათი ლიტრი რქაწითელი ერთ საღ-ამოს დავლიეთ და ის რო არ გვეყო, მემრე... მუხიანელმა ძმაცაცებმა სამწვადეში დაგვპატიჟეს!... ამ შამადგომიან ხოსროს საცნობში სამი გოჭი შევაწვევინეთ!... ნააღგომ-ევს ავლაბრელი ძმაცაცები წყნეთის საქაბაბეში ავიპატი-ჟეთ! იქ საერთო ნაცნობები გამოგვიჩნდნენ და იმათ კიდე მანგლისში გადაგვიპატიჟეს! მემრე იქიდან ასურეთში გადაგვიყვანეს და ღამითაც იქ დაგვტოვეს! კაროჩე, სამი დღე-ღამე გადაბმით ვქეიფობდით, რაღა!...

ყოჩაღ თქვენ! ნამდვილი მამულიშვილებიც თქვენა ყოფილხართ – უფალმა ქართველები ამქვეყნად ხომ მხ-ოლოდ ქეიფისთვის მოგვაველინა და მეტი არაფერი!... ოლონდ გასაკვირი თუ დასანანია: ერთ სეზონზე შეიდი ბატკანი და ოთხი თიკანი რა არი ბარემ მთელი ფარისა და არვესთვის გაგვევლოთ მუსრი! ვერ მოერეოდით თუ რა?! თქვე ოჯახაშენებულეობო, ასე მგლურად რას ერჩოდით ბატკნებს, თიკნებსა და... იმ გოჭებს – დაე, ისინიც დაზ-რდილიყვენ, წონაში მოემატათ და თითო-თითო ნაჭერი იქნებ უპოვრებსაც შეხვედროდათ?!... ჰაი, გიდი, რა დღეს მოვესწართ!...

მამ, რაღა გასაკვირი ან დასაძრახი უნდა იყოს – ეს ჯეილები თავის დროზე საკუთარ კუჭებს რომ გახდომიან მემატიანედ! ჰოდა, ამ კუჭების ჩანადენ „საგმირო“ ამბებს ძვირფასი საისტორიო წყაროებივით გამოუტოვებლად გადმოგვცემენ ქართული ქეიფის ანალებში შესატანად!

მოკლედ, სულ ქეიფი!... სულ გადაპატიჟებ-გადმო-პატიჟება!... სულ ჭამა-ყლაპა! ცხოვრება კი ღვინო-არყის ბოთლებს, ყანწებს, ხაშლამის ხონჩებს, ლუდის კათხებ-სა და ცვრიანი მწვადით შემძიმებულ შამფურებს შორის დამცინავად მიიპარება!...

მერე რაღა ხდება? ო, მერე ხდება, რაც ხდება! სულ ქეიფს გადაგებული ყველა საძმო ადრე თუ გვიან იშლება! მის ყოფილ წევრებს ენით ამპარტავნობის, ყველაფერზე უაზრო ლაპარაკის, ღრმა ძილისა და სასმელ-საჭმლის

მონელების მეტი არაფერი შეუძლიათ, ვინაიდან ყველა უხელობო ვაჟბატონი ბრძანდება! ბევრი მათგანი დაუცოლშვილებელია, ხოლო ვინმეს თუ ჰყავს, მათი რჩენა არ შეუძლია და ყველანი ოჯახს აწვანან კისერზე!...

ერთი სიტყვით, ასეთი მუქთახორა – ყოფილი სუფრის ყონი – აქ ცოცხლებს აკლია, იქ მკვდრებს!

ჰოდა, რომელიმე მათგანის დედა, თავის ხელგამოუვალ შვილს როგორმე ნამუსი რომ მოსწმინდოს, აი, როგორ გამართლებას უძებნის ხოლმე! ო, ამგვარი განმარტება კაცობრიობის ისტორიაში, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარია.

ამხანაგებს გადაჰყავა!

ჯერ ერთი, მისი შვილი ამხანაგებს კი არ „გადაჰყავა“, არამედ ყველანი ერთად საკუთარ მუცლებს გადაჰყვენ!!! ან დავუშვათ და ჩვენთვის უცნობი ქალბატონი ცამდე მართალია – მისი ვაჟიშვილი მართლაც „ამხანაგებს გადაჰყავა!“ კი მაგრამ, შე... (ველარ გადამიწვევტია, აქ რომელი მისაღები სიტყვა ვიხმარო!) დასაფიქრებელს არ უნდა დაუფიქრდე – ვიღაც ტიკსუსუნე, სამსუნაგო ამქრის უსტაბაშს ასე ბრძანდებოდა უნდა ჩაეთრევიო კუჭით მოაზროვნეთა წრეში, სადაც ყველა ერთ ზომაზე და ერთნაირად უნდა იყოს თავგადაქლებული, სადაც დანაშაულად ითვლება საკუთარი ნიჭის აღმოჩენა, განვითარება და მოქეიფეთა სამძოდან ხანდახან მაინც თავის შორს დაჭერა?!..

პატივცემულო მკითხველებო, მთელ მსოფლიოსა და გარდასულ საუკუნეებს ნუ შევეხებით, ვინაიდან ეს შორს გადაგვიტყუებს და თანაც ძალიან გაგვაწამებს! ამიტომ შეძლებისდაგვარად გავიხსენოთ მხოლოდ XX საუკუნის საქართველოს სახელგანთქმული შემოქმედნი, მეცნიერები, ხელოვანნი, სპორტსმენები... ახლა გავიზაროთ: რას დამსგავსებოდა საქართველოს ისტორია და ჩვენი ეროვნული ღირსება, ყველა მათგანი საკუთარი ნიჭით მითითებულ გზას ტანჯვა-წამებით რომ არ გაჰყოლოდა და... „ამხანაგებს გადაჰყოლოდნენ?!“

ეჰ, ვინ იცის, რამდენი „ამხანაგებს გადაჰყოლილი“ დამღზენი ახალგაზრდა ქართველი კაცი ისე ჩაკვდა და ჩაიკარგა დაუსრულებელი ღზინ-ქეიფების მორევში, აზრადაც კი არ გავლებია, საკუთარ თავს ერთხელ მაინც „გაზღომოდა მემატთანედ“ და გარკვეულიყო – ქეიფის გარდა ამქვეყნად სხვა რისთვის იყო მოვლინებული ან ღვთისგან რის ნიჭი ჰქონდა დანათლებული!!!

ჰოდა, თუკი სალომეა ლომინაძის ეპოქალური პერსონაჟი ქალიშვილი საქვეყნოდ აცხადებს – ჩემს თავს გაუხდი მემატთანედო, მაშ, ნუთუ ყველა შეგნებული ჩვენი ახალგაზრდაც თავის თავს დროებით მაინც როგორ ვერ უნდა „გაუხდეს მემატთანედ“, რათა ჭკვაგარკვევით გააცნობიეროს თავისი ვინაობა, შესაძლებლობა და ამქვეყნიური დანიშნულება?!

* * *

რამ უნდა მომათმენინოს, ანდა მკითხველებს ჩემზე რა-ნაირი შთაბეჭდილება დარჩებათ, დამსახურებისამებრ თუ ვერ გავარჩევ, არ აღვნიშნო მაინც სალომეა ლომინაძის ეს ეპოქალური შექსპირული ფრაზაც, თვითონ ავტორს სამი ძახილის ნიშნით რომ დაუგვირგვინებია!

არ შემიძლია იმის მოზომვა, რაც საარსებოდ გადამწვევტია!!!

გასაკვირია, ნებისმიერ პიროვნებას თუკი საიმისო „მოზომვის“ უნარი და სურვილიც არ ექნება, რომ „საარსებოდ გადამწვევტი“ საკითხები, პროცესები, საბუთები თუ მოთხოვნები აჭურში მოიყვანოს, აბა, ვის იმედად ვოფნას აპირებს, ოქროცურვილი ლამბაქით ვინ რას მიართმევს – რაღამ უნდა დაარჩინოს და აბოგინოს?! მით უმეტეს, ამ ჩვენს გაძაღლებულ დროებაში, როცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი – ღმერთო, შემინდე და – რაღა-ნაირ ხერხს არ მიმართავენ, ოღონდაც ლტოლვილის... სოციალურად დაუცველის... იძულებით გადაადგილებულის... ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძალდაძალ მაცხოვრებლის... უსახლკაროს... მარჩენალმოკლებულის და ვინ მოსთვლის, რამდენი საშეღავათო სტატუსიდან რომელიმე მათგანი მაინც რომ დაისაბლუჯონ!

ასეთ ვითარებაში სალომეას პერსონაჟი კი... ახალბედა პოეტი მანდილოსნის სიმაღლევ სწორედ აქ გამოჩნდა! მას არა და არ ძალუძს თავის მხატვრულ ხილვებს თუგინდ დროებით მოსწყდეს და „საარსებოდ გადამწვევტი“ ყოფითი წვრილმანების გამოძფიფტავი მოკვარახჭინების ორომტრიალში თვითონაც ჩაებას!

აქ თავისთავად კიდევ ერთხელ იბადება წელანდელი კითხვა – აბა, როგორღა უნდა ისულდგმულოს?!

ჩემი ჭკუის, სალომეა ლომინაძის აქ თავისი გატანჯული, მაგრამ სამართლიანი თანამომქეების ეიმედება – სწორედ ისინი ხელუხლებლად დაუტოვებენ თავის კუთვნილ სააზროვნო და „საარსებოდ გადამწვევტი“ სასიცოცხლო სივრცეს! არადა... პოეზია გადაარჩენს!

* * *

რაოდენ გულსატკენია, რომ სალომეა ლომინაძის ინტელექტუალური პერსონაჟის საყდარში „სალოცავად“ ანდა თავისი ბედ-იღბლის გასარკვევად არავინ მიდის! ამიტომ გზამოჭრილმა პერსონაჟმა ჩვენი გაგულგრილებული საზოგადოების გონზე მოსაყვანად, შესაძრწუნებლად, მისამხრობად თუ რამე ქმედითი ღონისძიების გასატარებლად ლექსის დასაწვისში რაღა არ იღონა!

ზოგჯერ სასმელი გამატალიებს და შენი გოგოც ხიდიდან ხტება!

ყოველივე ამას სინამდვილესთან არანაირი კავშირი რომ არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან მხოლოდ საზოგადოების გამოსაფხიზლებელი მხატვრული ხერხია, ეს თვით ამ სტრიქონებიდანვე მტკიცდება! ზმნისარ-

თი „ზოგჯერ“ და ზმნა „ხტება“ გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას!

ჰოდა, ვინმე, თანაც „სასმელით გატიალებული“, ხიდიდან მდინარეში თუ მით უმეტეს აეტოსტრადაზე რომ გადახტეს, ღმერთმა ყველას აშოროს და სული აღარ შერჩება! ანდა, ისე დაიმტკრევა, ხიდიდან კიდევ და კიდევ გადახტეს კი არა, სიცოცხლის ბოლომდე საწოლს მიეჯაჭვება! ასე რომ...

ასევე გაზვიადებულ მხატვრულ ხერხად მიმაჩნია ლექსის პერსონაჟის „გულახდილი“ ფიცილი – დღეს უკვე მესამე კაცი მამშვიდებსო! თუმცა აქ მთავარი ის კი არ არის, ეს გაზვიადება თუ არა, არამედ სულ სხვა რამ – ჩვენი მუნიანი ცხოვრება რომ არ გამორიცხავს მსგავსი ქმედების შესაძლებლობას!.. რა ვქნა, ჩემი ღრმა რწმენით კი (და, ალბათ, ბევრი მკითხველის რწმენითაც!) ეს არის არა დამაღონებელი სინამდვილე, არამედ ჩვენი გაუკუღმართებული ყოფნა-ცხოვრებისადმი გამოხატული მხატვრული პროტესტი!

„პროტესტიო?! – შეიძლება გამომეკაპასოს ზოგიერთი აღშფოთებული მანდილოსანი, – ავტორი თვითონ გვისახელებს – ასი კაციო!... ეს რაღაც პროტესტი კი არა, გარყვნილებაა!“

კეთილი, აქ არავის შევეკამათები, ოღონდ ერთ კითხვაზე მიპასუხო! ამა თუ იმ ტელეარხიდან ზოგჯერ ამგვარი ინფორმაციაც მოგვისმენია: აქა და აქ რომელიღაც კამიკაძე ქალმა ხალხმრავალ ადგილას თავი აიფეთქა და ამდენი კოლაბორაციონისტის თუ უცხოელი ოკუპანტი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირაო!

ნუთუ ამგვარი სასიკვდილო თავგადადებაც გარყვნილებაა?!

აბა, ახლა მიუდგომლად განვსაჯოთ: ნებისმიერი ტერორისტი ქალის საყდარში თავის დროზე რომელიმე ღირსეული მამაკაცი „სალოცავად“ რომ შესულიყო ანდა ამ ქალის პატარა, ყოვლად უდანაშაულო სამშობლოს „სიამაყით გულზედ მოსული“ (შექსპირი) ცხრამთსიქითელი ზესახელმწიფოები წლების მანძილზე უღმობლად არ აჩანაგებდნენ, როგორ ფიქრობთ, მაშინ რომელიმე ქალი თავის სათაყვანებელ ქმარ-შვილს ან საკუთარ სიცოცხლეს ასე გაწირავდა და მწვავე პროტესტის გამოხატვის ნიშნად სადმე თავს აიფეთქებდა?!

თუკინდ ჩვენი ტანჯული ერის ერთ-ერთი ამგვარი ეპიზოდის გასახსენებლად ქართული ენციკლოპედიის მე-ნ ტომი 360-ე გვერდზე გადავფურცლოთ.

ვინ იყო მაია წყნეთელი? XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი სახალხო გმირი, მათე ყაჩაღად წოდებული, გვარი ცნობილი არ არის. მაია წყნეთელისთვის ბატონს შეურაცხყოფა მიუყენებია. ამის გამო მამამისს თავი ჩამოუხრჩვია, დედა კი შიმშილით მოკვდა. შურისძიებით გამსჭვალულ, კაცურად გადაცმულ მაია წყნეთელს ერეკლე მეორის კარზე დაუწვია სამსახური. მას ბევრჯერ გაუთავისუფლებია მებატონეებისაგან გაყიდული ქალ-ვაჟი. მებატონეთა დაბეზღებამ აიძულა, ყაჩაღად

გავარდნილიყო. დაღუპულა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში...

ერთი სიტყვით, სამხედრო-პოლიტიკური ძალმომრეობით, საზოგადოების გულქვაობით თუ პირადად შეურაცხყოფილ ქალთაგან, ღმერთმა უწყის, პროტესტის ვინ რანაირ გზასა და ფორმას აირჩევს! აქ ყველას ვერ მოვთხოვთ ერთნაირობას!

* * *

ამ ლექსით „შენ, მამაჩემო!“ სალომეა ლომინაძე მივამსგავსე ოლიმპიურ ფინალში ერთ-ერთ გამარჯვებულ, გულამოვარდნილ სტაიერს, ქვეშეცნეულად გრძნობს რა საკუთარ ნიჭიერებას, მხოლოდ ერთი მიზანი და მისწრაფება ასულდგმულებს – მკითხველებამდე რაც შეიძლება სწრაფად, ყველაზე მოკლე და დამაჯერებელი მხატვრული გზით მიიტანოს თავისი სათქმელ-საწუხარი!!!

არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ თანამედროვე ქართულ პოეზიაში ამგვარი ღირსება თანდათან იშვიათობა ხდება. რა მამლევს ამგვარი განცხადების საფუძველს? ჩვენი ზოგიერთი პოეტის სახელითა თუ ლიტერატურით ნაიმედვე, გულმოდგინედ კითხულობ მათ ლექსებს და იმედგაცრუებული რჩები: მხოლოდ ტექნიკური დახვეწილობა... ეფექტური რითმებით ჟონგლირობა... ფარატინა აზრების იკლიკანტური შეტრიალ-შემოტრიალება... წელიწადის დროთა და ბუნების სურათების დამაჯერებელი გაელვება... მხატვრული სახეების ვირტუოზული ფლობა... მოკლედ, პოეტური ფინტების და დრიბლინგების კასკადი!... მაგრამ ეს ყველაფერი რისთვის, რას ემსახურებოდა – პოეტს თურმე არ ჰქონია მთავარი სათქმელი ან ვერ შესძლება მისი გამოკვეთა ანდა მხატვრული „ფოკუსებით“ გატაცებულს, უბრალო „დავიწყება!“

მამ, ნუთუ ეს მხოლოდ მისი თვითმიზნური პოეტური ფართიფურთი იყო, რათა ჩვენ წინაშე როგორმე თავი მოეწონებინა და დღევანდელი ქართული პოეზიის სივრცეში საკუთარი პოეტური არსებობა მკითხველებისათვის წინდახედულად კიდევ ერთხელ შეეხსენებინა?!

* * *

სალომეა ლომინაძის ამ ორმოცდაექვსსტრიქონიანი ლექსის, „შენ, მამაჩემო!“ ოცდამეთექვსმეტე სტრიქონი შეგნებულად ბოლოსთვის შემოვიტოვე.

მკითხველებმა კარგად იციან, 1860 წლის 23 ივლისით დათარიღებულ ლექსში „პოეტი“ ილია რომ წერდა.

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა.

1890 წელს ვაჟა-ფშაველას მიერ დაწერილი ლექსიც „მთას ვიყავ“ იგივეს გვამცნობს.

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდევ, თვალწინ მეფინა ქვეყანა, გულზედ მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

თურმე ნუ იტყვი, სალომეა ლომინაძესაც ულაპარაკია ღმერთთან და არა მხოლოდ ულაპარაკია, არამედ მისი

სურვილებიც შეუტყვია და ახლა თავის მკითხველებსაც უმხელს!

ჩემს ღმერთს არ უყვარს შუამავლები!

და აპა: ქართველი პოეტი ქალბატონი თავის მაგალითზე ყოველნაირად ჯვარცმულ მსოფლიოს ახლებური ყოფიერების კოდექსს სთავაზობს – ამიერიდან ვიცხოვროთ უშუამავლებოდ, ყველგან და ყველაფერში შუამავლების ანგარებიანი ჩარევის გარეშე!

მაგრამ ვაი, რომ თავისი გაჩენის დღიდანვე კაცობრიობას ისე არაფერი ბოჭავს და ხუთავს, როგორც საყოველთაო შუამავლობის საცეცები! მაგრამ ამის მოთხოვნილება და აუცილებლობაც სისხლ-ხორცში უკვე ისე გვაქვს გამჯდარი, უშუამავლებოდ მთელი მსოფლიოს კი არა, თითოეული ჩვენთაგანის ყოფნა-ცხოვრებაც არამცთუ შეუძლებლად, არამედ წარმოუდგენლადაც მიგვაჩნია!

შეგნებულად აღარ ვეხები ჩვეულებრივი თუ ზესახელმწიფოთა მეთაურების... დიპლომატების... მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების... სხვადასხვა დონის პოლიტიკურ მოღვაწეთა... ოლიგარქების... ფინანსისტების... საჯარო მოხელეთა და სხვათა „უანგარო“ შუამავლურ საქმიანობას! ოღონდ ერთს დააკვირდით: ჩვენი დღევანდელი და რიგითი ადამიანების ურთიერთობა უკვე იშვით არის გაცუდლუტებული და ერთმანეთის „კანონიერ“ მოტყუებაზე აგებული, როგორც ალაღბედად, აქამდე უცნობ სპეციალისტთან კბილის დაპლომბვა... თმის შეჭრა, შეღებვა და დახვევა... უბნის კუთხეში მოკალათებული მოვაჭრე დედაკაცისაგან ნაქები ორიოდ ბოთლი ტყემლის საწებლის ან ერთი პატარა ქილა აჯიკის ყიდვა... კარდაკარ მოსიარულისაგან თაფლის შექმნა... საღარბაზოში მონდომებით გაწვებული განცხადების მიხედვით გამოძახებული ხელოსნის მიერ საპირფარეშოში ოციოდე კაფელის ფილის აკვრა... მოცუცქნულ ლოჯიაში პარკეტის დაგება... სამზარეულოს მწვეთავი ონკანების, სარეცხი მანქანისა თუ კომპიუტერის შეკეთება... მოკლე ჩართვისას გადამწვარი ელექტროწრედის მოწესრიგება და სხვა ამისთანა ათასი ყოფითი წვრილმან-მსხვილმანი ძალე (მერე, შემდეგ...) უჭვევლად თავსაცეპი გაგიხდება, თუ აქაც კი ვინმე საიმედო შუამავალს არ გამოძებნი!...

ის კი არა, სრულიად გაუცნობიერებლად და უანგაროდ, ვინ იცის, თითოეულ თქვენგანსაც რამდენი ვინმესთვის უშუაკაცნია!... თანამომეტა სასიკეთოდ ღმერთმა მომავალშიც ასე უქრთამოდ მრავალჯერ გაშუაკაცოდ და თქვენც სუფთა სინდისით იშუაკაცეთ! მაგრამ აი, აქ რა არის საკვალალო – ნუთუ ნაბიჯსაც ვეღარსაით უნდა ვდგამდეთ სანდო თუ უნდო შუამავალ-შუაკაცების აუცილებელი ჩარევის გარეშე?! როდემდე და სადამდე – ბოლოს და ბოლოს ცივილიზებული ადამიანები ვართ თუ უცხოპლანეტელების მიერ ამ ცოდვილ დედამიწაზე საიდანლაც ჩამოყვანილი ტვინდაკონსერვებული საექსპერიმენტო არსებანი?!

სალომეა ლომინაძის ამგვარმა პოეტურმა პირდაპ-

ირობამ სევდა შემომყარა, ვინაიდან შეუძლებლად მიმაჩნია შუამავლებისგან ასე ხელის ერთი მოსმით თავის დაღწევა! უბრალოდ, ჩვენი ცხოვრება არ გვიქმნის საამისო პირობებსა და საშუალებას! თუმც ერთი აუხდენელი თუ ასახდენი ოცნება კი გამიჩინა!

დღესდღეობით რანაირი ფერის, ფორმისა და დანიშნულების, თანაც რომელ ენაზე შესრულებული, რა ზომის შრიფტითა და იეროგლიფებით აჭრელებული, მრავალფეროვანი შინაარსის მქონე წარწერებითა თუ პორტრეტ-ფოტოსურათებით დამშვენებულ სპორტულ და სხვა ყველა სახეობის ტანსაცმელს არ შეხედებით, რომლებსაც სადღა არ მოუხანთ ეს ფოტო-წარწერები: ბეჭებზე... გულმკერდზე... მხრებზე... სახელოებზე... მუხლებზე... ტოტებზე... კალთებზე... იდაყვებზე... საყელოზე... კაპიუმონზე თუ... თუმც აქ შეჩერება აჯობებს!

პოდა, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მთელი მსოფლიოს სამკერვალო ფირმებს საგანგებოდ გამოვაშვებინებდი უკლებლივ ყველა სახეობის ტანსაცმელზეც მსხვილი, ნაირგვარი შრიფტითა და იეროგლიფებით შესრულებულ, ოღონდ მხოლოდ გულმკერდზე წაწერილ და სალომეა ლომინაძის პორტრეტით დამშვენებულ ამ გონების გამხსნელ გამონათქვამს.

ჩემს ღმერთს არ უყვარს შუამავლები!!!

ქართველი პოეტი სალომეა ლომინაძე (1993).

ასე და ამრიგად, ქართული პოეზიის დებიუტანტმა პირველივე ლექსით გაგვარკვია თავისი ღმერთისა და ყველგან მოფუსფუსე შუამავლების ურთიერთობაში!..

მაშ, ეს კარგად დაჭდიონ გულზე ქართულ მწერლობაში მოწრიალე შულერ-შუამავლებმა და თან მხედველობაში ესეც იქონიონ: ახალგაზრდანილი შემოქმედის ტალანტსა და პიროვნულ ღირსებას მის სახელსა და გვარში დაბუნაგებული ლომები სდარაჯობენ – სალომეა ლომინაძე.

ბოლოთქმა

დასასრულ, თავს ვერ ვიკავებ, მკითხველებს ჩემი ბოლო ორი მოსაზრებაც არ გაეუზიარო.

პირველი. ნებისმიერ მსურველს თავისი შეფასება წერილობით რომ ჩამოეყალიბებინა სალომეა ლომინაძის ამ პირველ ლექსზე, „შენ, მამაჩემო!“ მერე ეს წერილები თვითონ ავტორს ანდა რომელიმე გამომცემლობას შეეკრება და ცალკე წიგნად გამოეცა!

დარწმუნებული ვარ, ასეთი უნიკალური წიგნი და შემთხვევა ძვირფასი საკვლევი მასალა იქნებოდა ქართული პოეზიის უახლეს ისტორიაში.

მეორე. სხვადასხვა კონტინენტებისა და ქვეყნების ლიტერატორთა შორის გაიოლებული ურთიერთობებისა და კომპიუტერის სასწაულებრივი შესაძლებლობების პირობებში იგივე ლექსი თანამედროვე მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ენაზე რომ თარგმნილიყო, საინტერესოა, სად როგორი შეფასება და გამოხმაურება მოჰყვებოდა?



ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური ფუცი–ზარათები ლექსებზე
რიკლიდან: „ფშაური ფსალმუნები...“

(ვაჟა–ფშაველასა და კეკელ იფუძალი
სიყვარულის ისტორია)

1

„დაჰჟანგებულხარ გორდაო“...

დავეციო უკვე სადამდე,
შევბილწეთ არაგველები...
ხმალი დაჟანგდა ვადამდე,
დასისინებენ გველები...
გული რამ გადაგიგვართ?
აზრი რამ დაგიავადათ,
რომ ქრისტეს დედა იმგვარად
მოიხსენიეთ ავადა...
დიდ ვაჟას ვერვინ დატორავს,
ჟამმაც ვერ დაასამარა...
უფალო, არ მიგვატოვო
ნაქართველართა ამარა!

2

მარტია... ამწვანდა ხეობა,
ბუხართან მინავლდა დარღები...
ჩარგალშიც ჩამოდგა დღეობა
იების და ყოჩივარდების...
სევდა თვალს ცრემლებით მოხატავს,
ბაგეზე შერჩება სიმლაშე
და მკერდზე ასკდება ოხვრა ტანს,

კვლავ შიშველ სარკეთა წინაშე...
შენ გხატავ, მოგელის ჩარგალი...
მარტის ქარს ეს ლექსიც მიება...
და ღამე ვარსკვლავთა ცარგვალი,
შენს თმებში ჩაიწნა იებად...

3

მშვიდადა გძინავს... შენი ფანჯრიდან
მოსჩანს ღრუბლების თეთრი ქულები...
ვაჟა ფშაველა მოგწერ ჩარგლიდან,
აღარ პასუხობ ბარათს სრულებით...
იძინე.. ეხლა მე შენ გიყურებ,
ვეამბორები ტუჩებს, წამწამებს...
იძინე ტკბილად, შენი საყურე
ოდნავ მეხება... სიხმრად მაწამებს...
ნეტავ არაგვზე ჩემს მკლავზე იწვე
და შენი სუნთქვის ვთვლიდე აკორდებს
და მაგ თვალების წამწამთა წიწვებს
ჩემი ტუჩები კვლავ მოაგონდეს...

4

ამილახურიანთ ვიძინებ კარგო,
შენს აივანთან, ნაძვების ძირში...
მანდა ვარ კეკე... აღარ იდარღო
და ნულარაფრის გექნება შიში...
და ნაზი სუნთქვის დაბალი ტონი
მელამუნება და ვნებით მავსებს...
ღია სარკმელთან მოხვედი მგონი,
მიღიმი, ვარსკვლავს გამსგავსე ცაზე...
შენ ახლა გძინავს... მე კი მანდა ვარ,
მე კი მანდა ვარ, სულ ახლოს შენთან...
ამაღამ კარგო არსად არ წავალ,
ჩემს მკერდზე ისმის მაგ გულის ფეთქვა...

5

შენი ცრემლის სურნელი
მონატრებად მოვიდა...
ჩვენ ერთმანეთს სულ ველით,
როგორც გრგვინვას კორიდა,
მტკერის შესართავს არაგვი
შმაგად ელამუნება...
დიდოსტატის არაკი,
შურის ცოდვის ბუნება...
ხეკორძულას ხეობას
შენი თრთოლვა აკლია,
სიყვარულის დღეობას
ლექსები ჰყავთ ნათლიად...

6

ლაზარე – საქართველო
 იქნება მალე დალბეს ლაზარე!
 იქნებ ლაზარე მალე გაიხრწნას...
 მისი აღდგომა შეაზანზარებს –
 ცოდვებით სავსე ამ დედამიწას...
 ბეთანიაში სხეულ ლაზარეს
 დები იესოს მოსვლას ელიან...
 უძღურება კი ცრემლს შეაზანავებს
 და სასთუმალი სხეულს სველი აქვს...
 „დიდება უფალს!“ – თრთის მომაკვდავი...
 ძმას დასტირიან მართა-მარიამ...
 გადის ოთხი დღეც... ლოდი... საფლავი...
 კი არა სძინავს, მართლა მკვდარია...
 მოდის იესო და თავის რჩეულს –
 (ანუ „რომელი გიყვარს“, უფალო...)
 ამ ქვეყანაზე მართალს და ეულს
 მოლადადე ხმით ტკბილად უგალობს:
 „აღსდგე, ლაზარე, გამოკვდე გარე!“
 ხელფენშეკრული დგება ლაზარე...
 და გაცოცხლების დეთიური წამი
 მთელს დედამიწას შეაზანზარებს...

7

უცებ ისე მომენატრე... ისე...
 რომ შენს ხმაზე შემითრთოლდა ლექსი...
 თითქოს აქ ხარ, ყურთან ჩამკისკისებ,
 ისე ცხადლივ, რომ შენი ხმა მესმის...
 შენ კი გძინავს და სიზმარში გხედავ –
 თუთის ხესთან რომ თამაშობ ბავშვი...
 რა წრფელია მონატრების სევდა,
 დამე ცრემლებს გაყოლილი ქარში...

8

აქ უშენობის დარდები ქრიან,
 არაგვს აღმასის მოსავს ხალიჩა...
 ამ მონატრებას სახელი ჰქვია,
 ლიხის მთის იქით რომ გადამირჩა...
 კეკეკე, ტკბილო და ჩემო ჭკვიანო,
 ნუ მებუტები... ნუ ეჭვიანობ...
 და უშენობის ქრიან დარდები...
 დროვ, სად იწეები და სად მთავრდები...

9

ბნობა

„ვიცანი, ღმერთო, სამყარო...“
 ვაჟა-ფშაველა

ზურგით სხეული ატარე უფლის
 ნაღვლისთვალება პირტუეყო ჩვენო...
 ნეტა თუ გრძნობდა ჯვრიანი შებლი,
 მაცხოვრის ნათლის უნაზეს ჩეროს...
 ო, ბედნიერო ცხოველთა შორის,
 ბედმა გარგუნა წმინდა მისია,
 რომ ქრისტეს ფერხთქვეშ ვვავილთა მოლი,
 შენს ჩლიქთა შორის ფენის ღირსია...

10

არსუკიძის მონოლოგი

„მცხეთას ატირდა არაგვი...“
 ვაჟა-ფშაველა

სვეტიცხოველი ავაშენე, მოვაჩუქურთმე...
 უფალს მაღლობა! შენ გიპოვე ჩემდა ნუგეშად...
 შენს თავს ვერავის ვერ დაუთმობ,
 აქ ხარ უბეში...
 ბინდის ბორანი ჩამოივლის მტკვართან ტაატით
 და წმინდანების ლოცვებს ისმენს ყოველდამ ქართლი...
 დგას მცხეთა, ივერთ ისტორიის დიდი ბარათი,
 ავსებულები და ანთებულები მაცხოვრის კვართით...
 შორით შენ გეტრფი...მენატრები და ვიტანჯები...
 არმაზისხევთან განსოვს ცეკვით პეპლებს რომ კლიეთ?
 მაზვილს ელიან დიდოსტატის მუდამ მაჯები,
 მკლავმოკვეთილიც შემიფარე და მაპატიე!...

11

ყაყაჩო და ყოჩივარდით მოგრთავ,
 მოგატარებ ბაზალეთს და ჩარგალს...
 არაგვისპირს ჩავიმუხლებთ ორთავ,
 ჩენი ტრფობა არავისას არ ჰგავს...
 გიგონებ და ჟრუანტელი მივლის,
 შენი სახე მელანდება როცა...
 ზურგს უკან ვგრძნობ შენს ჯადოსნურ ღიმილს,
 გელათში ვართ და მოძღვარი გვლოცას...

ეხა ხვანტალიანი

პოეტური ფუტე-ზარათები ლექსებად
რეკლიდან: „ფშაური ფსალმუნები...“

(ვაჟა-ფშაველასა და კაკეს იფუძალი
სიყვარულის ისტორია)

1

რითმებშიც გული დარდისგან ოხრავს
და მონატრება კრთება ლექსებად...
ხან გავიხსენებთ ცრემლებით თოხათს
და სააკაძის ხმლის გაკვესებას...
ტრფობის და ბრძოლის ალი გადამდე,
სულმა უფლისთვის ლოცვად ინება:
ნიკოფსიდან დარუბანდამდე
კვლავ ივერიის აღორძინება!...

2

ირმების ჯოგი ჯაგებს აწყდება,
მზე თეთრ მყინვარებს გააცისკარებს
და ვარდისფერი ღრუბლის ღაწვები,
ისევ ლოცვისთვის აღებს ცის კარებს...
ვერ მოგვიხელთოს ბოროტის ეშვმა,
გვიცავს წმინდანთა ნათლის სულები...
შენ რომ ამ გზაზე ხელი გაგეშვა,
გადამიტანდა ეს უფსკრულები...
იცი შენამდე როგორ ვეწამე,
ახლა კი ტრფობის მასმე შარბათებს...
ჩვენს შეხვედრამდე ვითვლი მე წამებს,
მალე ჩვენთვისაც გაიშაბათებს...

3

ააღდებიან ვარდის კვირტები,
ყლორტებს დანამავს დარდი ეკლებად...
ნატურის სარკეში დაგაკვირდები,
ლიმილი ჩუმიად აირეკლება...
ჩარგალის თავზე ვარსკვლავებს კრეფენ...
მარტის დილაა... ცოტა სუსხია...
გვიანლოვდება დღე ფეხაკრებით,
თითქოს მთის თასში მზე ჩაუსხიათ...

4

დამესიზმრა მივიღოდი ჩარგალს,
შორს ხარ, თუმცა შენი ტრფობით მხნე ვარ...
ჩაიმღერა ლექსი ჩუმიად ჩანგმა,



მონატრებით გულში შეირხევა...
ქარმა ისე დაუბერა მძაფრად,
რომ კლდე-ღრეში კვალში უდგას ნადირს...
ოცნებებმა კვლავ აუშვეს აფრა,
ნისლებივით მწვერვალთან რომ აღის...

5

გამოკრთებოდა შუქი ნისლიდან
მილეულ მთვარის ანარეკლითა
და როგორც ისარს გადაისვრიდა
ექოს – მონასტრის ზარი რეკვითა...
გადაჰყურებდა მტკვარსა და არაგვს,
ბებრის ციხიდან გალავნის ზღუდე...
ამ მიჯნურობას საზღვარი არ აქვს,
რადგან საზომად სიწმინდე უღევს...

6

ლაზარეს შაბათი...

სანამ უფალი ჯვარცმისთვის მიჰყავთ
და ცოდვებს კაცთა დაჰფარავს მკერდით...
ბზობამდე აღრე... მაცხოვრის სიტყვა
უხმობს ლაზარეს... ალაღგენს მკვდრეთით!...
მერე კი წავა იერუსალიმს,
ეკლის გვირგვინით უტიფრად რთავენ...
განა ჯვარზე რომ მიაღურსმნავენ,
დმერთს არ შეეძლო დაესხნა თავი?
ქრისტემ ბრძანა და ცოდვები შეჰკრა
მთლიანად... განა გაანახევრა...
ლაზარეს ერგო სიკვდილის შემდეგ,
ქვეყნად მეორედ თვალის გახელა..

7

ცაზე გაშლილა როგორც ხალიჩა,
 ღამე ვარსკვლავთა ნაზი მძივებით...
 თვალეში ტფილი ტრფობის ალი სჩანს
 და შენს მხერაში ჩავიძირები...
 მოვარე ღრუბლების ქიმზე ასულა,
 შენამდე ისევ ლიხის ხევიან...
 შენი ლექსები მოვლენ სასთუმლად
 და სიყვარულით მომეხვევიან...

8

საოცარია თოვლში ტიტები,
 თუმცა გაუძლებს ღლეებს ყინვიანს?...
 ო, ღმერთო ჩემო, გთხოვ მომიტევე,
 რომ ვერ ვივიწყებ არაგვის ნიაგს...
 ზოგჯერ აპრილიც სარემელს დაფიფქავს,
 ფანტელები კი ხეებს ეკვრიან,
 მიმქრალ შუქზე რომ ლექსები ითქვა,
 ამ მონატრების ანარეკლიან...

9

მოდის აღდგომის ღამე...

აღდგომის ღამე ღგება,
 ბოროტის გაქრა ზრახვა...
 ზეცაში უფლის ქება,
 დასრულდა დიდი მარხვა...
 ვერ დაიხსნიდა ცოდვებს

ვერვინ, ღმერთკაცის გარდა...
 აქრობს სიკვდილის ბოდვებს,
 კვლავ მოუწოდებს: ადამ!...
 მოვარეს უძირო კბოდე,
 თითქოს სანთლისგან ათლის...
 აღდგომის ღამე მოდის –
 დღეზე მბრწყინავი ნათლის!...

10

გავყურებ არეს სევდიანი ჯვრის მონასტრიდან,
 კანკელს უკმეხს საცეცხლურის ციურ ნათებით...
 უფლის ძალამ და დიდოსტატის მკლავმა აზიდა,
 მცხეთის გულიდან სვეტიცხოვლის ჯვარ-გუმბათები!
 ჟამთა სიავემ ივერის ცა ვერ დამალა,
 თითქოს ლოცვების ჯარი ჩემსკენ მცველად დაძარი...
 პომპეუსის ხიდს გადაივლის მეფის ამაღლა,
 ვიცი დაგვიცავს ღვთის კვართი და დედა-ტაძარი!

11

მახსოვს მცხეთა... მცირე თასი თიხის,
 თხოთის მთიდან სხივი მოწითალო...
 ვერ შეგვიშლის ახლაც მთები ლიხის
 მიჩურჩულთ: „ჩემო ნატვრის ქალო...“
 მოვილოცოთ მინდა ზედაზენი,
 მომატარო ყაზბეგი და მღვთა...
 კვლავ გამათბო სიყვარულის მხერით
 და ყაყაჩო გველის ბაზალეთთან...

ნანა ჭიჭინაძე

რევაზ ტაკიძე – 80

გამოჩენილი ქართველი დირიჟორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, „მეტრის“ ნომინანტის რევაზ ტაკიძის საიუბილეო საღამო გაიმართა 2022 წლის 19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის (თავმჯდომარე: ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე: ნან ჭიჭინაძე) თაოსნობით. აღსანიშნავია, რომ თავად იუბილარი ბატონი რევაზ ტაკიძე და ოპერის სოლისტები: არმაზ ღარაშვილი, ოთარ ჯორჯიკი,



და მამუკა ლომიძე ამავე ასოციაციის წევრები არიან.

საიუბილეო საღამო გაიხსნა კომპოზიტორთა კავშირის ტრიოს: ქეთევან თავადაძის, ია ბახტაძის და მაია ჯინჭველიშვილის მიერ შესრულებული კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის გულშიჩამწვდომი მუსიკალური ჰანგებით.

რევაზ ტაკიძის იუბილეს მიეძღვნა დედოფლისწვაროელი მხატვრული ქარგვის ფერმწერის ლია მაისურაძის პირველი პერსონალური გამოფენა, რამაც დამთავალიერებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რევაზ ტაკიძემ აღნიშნა: „ჩემი პროფესიიდან გამომდინარე თითქმის მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი, მრავალ საგამოფენო დარბაზებში მინახავს ფერწერული ტილოების გამოფენა, მაგრამ ასეთი საოცრება მხატვრული ქარგვა, ანუ ნემსითა და მულისის ძაფით ფერთა შეხამება არსად მინახავს. ეს ძვირადღირებული სიამოვნებაა, რადგან ეს ყოველივე დიდ ნებისყოფასთან ერთად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამ გამოფენის დათვალიერებისას ჩემი სეხნი – რეზო ამაშუკელის სტრიქონები გამახსენდა:

„შხე ჩადის მთებით, დაიღება ქედები შინდით, ცამ დასავლეთით იქორწინა მეწამულ ფერთან“.

მაესტროს ღვაწლზე ვრცლად ისაუბრეს: საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ, მუსიკათმცოდნემ, ქალბატონმა მანანა ახმეტელმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა: ელდერ გეწაძემ და იმერი კავსაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნათელა ვაჩნაძე-ჟორდანიამ; სახელოვან იუბილარს მიესალმნენ ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსული ღვაწლმოსილი ხელოვნების სკოლის პედაგოგი, გახეთ „ბორჯომის“ საკუთარი კორესპონდენტი დალი ქურდაძე, კომპოზიტორი კახა ცაბაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, პიანისტი და ვოკალისტი მანონი ყუბანეიშვილი, რომელმაც ილია II-ის „ავემარია“ უმღერა იუბილარს, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე პოეტი დავით შემოქმედელი, აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე, კომპოზიტორი და პიანისტი მაყვალა ხორბალაძე, ნანა მიქაბერიძე და სხვები. ასევე, სახელმწიფო პრემიების ოთხგზის ლაურეატმა, ევროკავშირის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის დამფუძნებელმა გურამ ქაშაკაშვილმა ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის ლაურეატის დიპლომით და ოქროს მედლით დააჯილდოვა გამოჩენილი მაესტრო რევაზ ტაკიძე.

დედოფლისწვაროელების სახელით ახალგაზრდა დეკლამატორმა დედოფლისწვაროს მწერალთა და მწიგნობართა ასოციაციის წევრმა, თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულმა სტუდენტმა მარიამ ტოხიშვილმა იუბილარს მიუძღვნა საკუთარი ლექსი „სამშობლო“.

კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის სტუდენტმა თათია კვანტალიანმა უზადოდ შეასრულა დომენიკო სკარლატის სონატა „რე მინორი“.



საიუბილეო საღამო დაამშვენეს ახალგაზრდა ვოკალისტებმა: მარიამ როინიშვილმა, ნატალია ქუთათელაძემ, თამარ ოდიშარიძემ, ოპერის სოლისტებმა: ელენე ჯინჯალიამ, თამარ ლობჯანიძემ და სხვებმა.

მაესტრო რევაზ ტაკიძესთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო სცენის მაღალპროფესიონალ სოლისტებს: არმაზ დარაშვილს, მამუკა ლომიძეს და ოთარ კორჯიკიას საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის მიერ გადაეცათ დიპლომები დაა რეზო ამაშუკელის ერთომეული.

დაჯილდოვებულებს დიპლომები და წიგნები გადასცა დედოფლისწვაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელმა ბატონმა გიორგი ნატროშვილმა; მან აღმანახის №2(13) საჩუქრად დაურიგა როგორც ოპერის მომღერლებს, ასევე საიუბილეო საღამოზე სპეციალურად მოწვეულ სტუმრებს.

საღამოს დასასრულს არმაზ დარაშვილმა დაა მამუკა ლომიძემ ბრწყინვალედ იმღერეს აბესალომისა და მურმანის ღუეტი, ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. კარგა ხნის განმავლობაში არ წყდებოდა აპლოდისმენტები.

რეზო ტაკიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა დედოფლისწვაროელებს, დაამსწრე საზოგადოებას, პროექტის ავტორს – ოპერის მეგობარს ნანა ჭიჭინაძეს, მხატვრული ქარგვის ფერმწერს ლია მაისურაძეს, „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელს გიორგი ნატროშვილს, საიუბილეო საღამოს წამყვანს ია ზურცილაფას, სპონსორს „ნასრაშვილების საოჯახო მეღვინეობას“ ასეთი თბილი საღამოს სულის ჩადგმისა და ორგანიზებისათვის.

დამსწრე საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრება მაესტროს საიუბილეო საღამო, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობების და კულტურული პროგრამების განყოფილების უფროსს ბატონ გიორგი საბანაძეს.

აქვე გთავაზობთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონ ნათელა ვაჩნაძის მისალოც სიტყვას, რომლითაც მან სახელოვან იუბილარს მიმართა:

ორიოდე შტოხი არასრული პორტრეტისათვის

ვუძღვნი ბატონ რეზო ტაკიძის საიუბილეო თარიღს

ოღითგანვე ცნობილია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის მსგავსად და ხატად. ღმერთმავე ინება ისიც, რომ ადამიანს სხვა მისსივე ქმნილებათაგან განსხვავებით, ჰქონდეს პროფესიის ფლობის უნარი, მაგრამ პროფესიაც არის და პროფესიაც, თუმც ყველა მნიშვნელოვანია, საჭიროც არის, თუგინდ ადამიანის არსებობისათვის, მაგრამ სულ სხვაა პროფესია ღირიჟორის. ჩემს წარმოსახვაში ღირიჟორი მთელი ცხოვრება ღმერთების საუფლოშია, თაყვანს სცემს არა წარმართულ კერპებს, როგორც ერთი უძველესი ქართული მატთანე, „მოქცევაი ქართლისაი“ გადმოგვცემს: „ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაცი და გაიმ“, არამედ იმ ღმერთთა საუფლოში, რომელსაც ჯუზეპე ვერდი მიეკუთვნება... ვინ ამეუტყველევს ღმერთებს, თუ არა ღირიჟორი?! ვის შეუძლია გაგვანდოს კომპოზიტორის ჩანაფიქრი, მისი აზრები, განცდები, დაუსრულებელ ძიებათა ჯაჭვი და მისი ნაყოფი, თუ არა ღირიჟორს?! ასე, რომ ბედნიერი კაცი ხართ, ბატონო რეზო, რადგან თქვენ ბრძანდებით შუამავალი ღმერთსა (*respicite*: გენიალურ კომპოზიტორსა) და მსმენელს შორის. თქვენ ეს

მისია უზენაისისაგან მონიჭებული და ნაბოძები გაქვთ და წარმატებით აღასრულებთ მას, მაგრამ ბატონი რეზო იმდენად თავმდაბალი ადამიანია, იმდენად კეთილშობილი, კაცთმოყვარე, რომ მისგან განუზომლად შორს არის ამპარტავნება ისევე, როგორც ჭეშმარიტი ღვთისმოსავისგან. ეს თვისება ადამიანში ან გენეტიკურია, ანდა დიდი რუღუნებით, ძალისხმევით და წვრთნით შექმნილი... ვინ იცის, საიდან დაჰყვა მას ეს თვისება?! ერთი რამ გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ მასზე თავმდაბალი ადამიანი არასოდეს შემხვედრია ჩემი არც თუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე...

...მას შემდეგ, რაც უზარმაზარი რკინის ფარდა ჩამოეშვა, თუ ჩამოიშალა და ჩვენს ფერხით დაემხო დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული საბჭოთა იმპერია ერთიანად აღიგავა პირისაგან მიწისა, ამ სამი ათეული წლის მანძილზე ხომ მეტი ვნახეთ და მოვისმინეთ, იმაში მაინც ხომ დავრწმუნდით, რომ ჩვენმა ხელოვნებმა სწორი გზით იარეს, შეგვაყვარეს ხელოვნება, მათ შორის საოპერო; გზა გაუკაფეს ახალგაზრდებს, რომელთა შორის მოიაზრებიან ის ღირიჟორები, ვისაც დღეს უყვრია სასწაულთმოქმედი საღირიჟორო ჯოხი ჩვენს დიდად სახელოვან საოპერო თეატრში. ვფიქრობ, რომ ბატონი რეზო მხოლოდ განადიდებს წინაპრებს საღირიჟორო ხელოვნებაში, ისევე როგორც თავის პირველ მასწავლებლებს მუსიკაში და არასდროს მოიქცევა პირუკუ, რომლის მაგალითებიც ისტორიას კარგად ახსოვს... რაც შეეხება ბატონი რეზოს პირველ ნაბიჯებს მუსიკაში, ეს მოხდა ბათუმში, სადაც მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა, ქალაქში, რომელიც სულაც არ ჰგავს საქართველოს არც ერთ ქალაქს... მას არავინ არც არასოდეს აღიქვამდა პროვინციულ ქალაქად მისი ხიბლისა და შარმის გამო... ბევრჯერ მსმენია საქმეში ჩახედული ხალხისგან, რომ „ბათუმს, მის



იუბილარი ღონისძიების ორგანიზატორებთან ერთად


სანაპიროს, ნიცაც კი ვერ დაჩრდილავსო“. ესეც დიდი წყალობა გახლდათ განგების, ბატონო რეზო... თქვენს თვალწინ გადაშლილიყო დაუვიწყარი სურათი: თოვლითა და ყინულით შემოსილი მთები, ერთი მხრივ, მეორე მხრივ ულამაზესი, ლაჟვარდისებრი, მოლივლივე ზღვა... ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებით უყალიბდება ადამიანს ნატიფი გემოვნება, რომელიც მისი თანმდევა და არასოდეს ღალატობს მას...

როგორი ადამიანური თვისებებით ხასიათდება დირიჟორი, ეს ყველაფერი ყველაზე უკეთ ორკესტრანტებს მოეხსენებათ, რადგან უპირველეს ყოვლისა ისინი ბრძანდებიან დირიჟორთან სისხლხორცეულად დაკავშირებულნი. ამიტომ, ვფიქრობ, ძალზე საჭიროა თითოეულმა მათგანმა დაწეროს რაიმე დღეს მოქმედ დირიჟორებზე და უსათუოდ დღეს თუ არა, მომავალში მაინც ეს ნაწერები უდიდესი მნიშვნელობის საისტორიო წყარო გახდება, რომელიც ნათელს მოჰფენს საოპერო ხელოვნების ისტორიას და არამც და არამც მხოლოდ მას, არამედ ქართული კულტურის ისტორიას. ამაში გარწმუნებთ ადამიანი, რომელიც ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მკვლევარია საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის კონ-

ტექსტში; ენდეთ ჩემს ნათქვამს, რათა არასოდეს ჩავვარდეთ ისეთ დღეში, როგორშიც ვიმყოფებით დღეს ერთი დიდი, მსოფლიო რანგის ქართველი დირიჟორის წინაშე, რომლის შესახებ მიაძებოდნენ მათი ეპოქის რეპრესიებს განგებით გადარჩენილი ჩემი უახლოესი ნათესავები, დიდი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი – ანდრონიკაშვილთა, ციციშვილთა, მაყაშვილთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ვაჩნაძეთა, ანუ მამა-პაპათა და რა თქმა უნდა, ჩოლოყაშვილთა, რომლის ერთი წარმომადგენელი – ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩვენს ოჯახთან ნათელ-მირონითაც დაკავშირებული, კახეთში თავის რაზმელებთან ერთად, პაპაჩემის საბძელში ერთხანს იმალებოდა კიდევ... მათი მონათხრობია და დაწერილიც გახლავთ, რომ ამ დირიჟორს ყურებში გახურებული შანთი გაუყარეს, თუმცა ეს ამბავი ცალკე მსჯელობის თემაა და სრულიად არ შეეფერება საზოგადოების დღევანდელ განწყობა... დღეს ხომ საზეიმო დღეა...

ჩვენი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ბატონი რეზოს დამოკიდებულება უდიდესი ქართველი კომპოზიტორის – ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების მიმართ, გაანსაკუთრებით „დაისის“; მე არ ვიცი, რასაკვირველია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ოპერაზე მუშაობისას მას არა ერთხელ და ორჯერ, მეტჯერაც დასთენებია... დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, ერთი საუკუნეზე ოდნავ მეტი, ეს კი ისტორიისათვის სრულიადაც არ არის დიდი დრო; ეს გუშინდელი დროა, როცა ერთი საინტერესო ამბავი მოხდა: „აბესალომის“ ერთ-ერთი ჩვენებისას, რომლის მოქმედებებს შორის სასცენო სამუშაოებს დიდძალი დრო სჭირდებოდა, ბატონმა ზაქარიამ გადაწყვიტა კონსერვატორიაში აბრძანებულიყო რაღაც საქმის მოსაგვარებლად და რა თქმა უნდა, არა პირადის, არამედ სახელმწიფოებრივის. თეატრიდან გამოსულს, ვერც კი შეუმჩნევია ახალგაზრდათა პატარა ჯგუფი. რომლის ორი წევრის ვინაობა ისტორიას შემორჩა... უეცრად რაღაც არასასიამოვნო საუბარი შემოესმა. მოიხედა და რამდენიმე დამწევი კომპოზიტორი დაინახა; „**вас всех будут хоронить под мою музыку**“, წარმოთქვა და აუყვა ნაცნობ, პატარა აღმართს... იგი უთუოდ გულისხმობდა „დაისს“. ჩემს მამა-პაპებს კარგად ახსოვდათ თბილისში, პანაშვიდებზე და განსაკუთრებით, დაკრძალვაზე სულ ბოლო წუთების ჩათვლით, როგორ უკრავდნენ „თავო ჩემოს“, ხოლო რაც შეეხება ჩემს თაობას, ის იმ დროს მოესწრო, როდესაც მის (ე. ი. „თავო ჩემოს“) ჩანაწერს უსმენდნენ კარგა ხნის მანძილზე... მერე ჩანაწერიც გაქრა, მაგრამ დარჩა უკვდავი „დაისი“, რომელთანაც იმდენად მჭიდროდა დაკავშირებული თქვენი სახელი, ბატონო რეზო, რომ იგი მარად იქნება ქართული კულტურის ისტორიაში „დაისთან“ ერთად, მარად „აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“

ლადო ათიაშვილის ქ No 7



საქართველოს ოპერა და ბალეტის ეროვნული თეატრი


19

სექტემბერი
2022 წელი
17:00 საათი

რეჟაზ ტაკიძე

80


საიუბილეო საღამო



პროექტის ავტორები:

ნანა კიკინაძე
ია ხურცილავა

**ლია მაჩარაძის
ნაქარგების
გამოფენა**



სპონსორი
ნასრაშვილების
საოჯახო მეღვინეობა



ანანო გოგიშვილი

დავიბადე 2000 წლის 25 სექტემბერს, თბილისში. თუმცა ჩემი ოჯახი წარმოშობით მთიულეთიდანაა. ვიზრდებოდი დიდ, თბილ და მოსიყვარულე ოჯახში. ბავშვობიდანვე მქონდა კავშირი პოეზიასთან და ლიტერატურასთან, თავდაპირველად ამის გაცნობიერებაში დედა დამეხმარა, ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი კითხვა და არ შემეძლო გამართულად მეტყველება. 2005 წელს სწავლა დავიწყე თბილისის 180-ე საჯარო სკოლაში. პირველი ემოციები კი უფრო მძაფრად ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გამიღვივებს. 2017 წელს ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. დროთა განმავლობაში შემიყვარდა ფსიქოლოგია და 2019 წლიდან სწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე მეციერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე. ახლა 22 წლის ვარ და ჯერაც განვითარების აქტიურ პროცესს გავდივარ. თავისუფალ დროს ვხატავ, ვწერ ან მეორე ოჯახთან, მეგობრებთან ვატარებ.

* * *

ქალაქი თეთრმა ტრამალებმა მოაგარაყეს.
 მზის ნაკონები აატკია სუსხმა კალენდარს.
 მოდის ზამთარი გალავნისკენ,
 მოაყვარჯნებს...
 სილაღების სულში გასვრილს, ლესავს სატეკარს.

ნუ გეშინია,
 რაც გადაგხდა,
 ის უკან ღარჩა.
 პო, იმ ძაღლივით
 უკაცრიელ ადგილზე რომ ზის...
 ფანჯრიდან უფრო...
 სულ უფრო რომ დაპატარავდა.
 პატრონი მისი მიდის მისგან და აღარ მოდის.

და ჯანდაბაში წაუღია ზამთარს
 ის ზარიც...
 ის შიშიც,
 სულელებს, გათოშილებს, თოვლით რომ უკსებს,
 როცა დაღლილი იღვიძებ და იძინებ მკვდარი,
 როცა ხმაური არსს გიკაწრავს და არა ყურებს.

ქალაქი თეთრმა ტრამალებმა მოაგარაყეს.
 მზის ნაკონები აატკია სუსხმა კალენდარს.
 მოდის ზამთარი გალავნისკენ,
 მოაყვარჯნებს...
 მაგრამ ის შენზე ვეღარ შეძლებს დარღის დაგეშვას.

ვეღარ დაგიგლეჯს
 ვერც ერთ კაბას
 ვერც ერთი ქარი.
 რაც ღღემდე ნახე,
 ვეღარ გაუნებს,
 მხოლოდ მოგარჩენს.
 დემიენი და 9 crimes,
 ფინჯანი ჩაი
 და ის, ვინც ახლა
 მზის მაგივრად ათბობს ოთახებს.

* * *

ღღეს ჩემს ფანჯარას თავის თავი ისე დაემსხვრა,
 ბებოს რომ პაპას წასვლის მერე,
 ჩემო ანანკე.
 იმ ნამსხვრევების დანახვაზე სული გამეჭრა,
 რადგან ქარმაც და ქაოსებმაც დედა დაადნეს.
 რადგან საღამოს ქარი უკვე იმ სახლში ეგლო,
 ჩენი სახლიც კი რომ არ ჰქვია, მაგრამ გვისახლა
 და ავღრებიდან ავღრებამდე? თავის თავს მეტობს.
 ხის ჩარჩოებით უფრთხილდება ყველა იარას,
 რომლებიც ბელში გაგვიწერე,
 ჩემო ანანკე.
 ან სხვამ ვინ იცის მზე საიდან, როგორ ამოვა?
 ან სხვამ ვინ იცის ბროწეული როგორ გადასკდეს?
 ალიონების მაჯებიდან სისხლის წამოსვლა?

თუკი ანანკე ინებებს და ნანა დაირის
დაილანდება ჰორიზონტის სულ ყველა მხარეს...
აქ ვიქნებით, თუ საშოვნელად გაღმა მარილის...
მოკლედ რაც არის,
ეს არის და
თავს უნდა ვგავდეთ...
თავს უნდა ვგავდეთ, დედაჩემო, რადგან ქარია
და ვიდაც ქალღმერთს ეცინება, როცა ვნებდებით,
როცა ვიძლებით, ვიღლებით და სჯა-ვარამია,
როცა ვტირით და წვიმებივით დაბლა ვეშვებით.
დღეს რომ დაიმსხვრა, ის ფანჯარაც წყალს წაუღია
და თუ ქარია, ზურგის ქარად ვატორღიალოთ.
ეს, ვაი მას, ვინც იცინის და არ გაუგია,
რომ როცა კვდები, დროც კი არ გაქვს სამგლოვიაროდ.
სულ არ მჭირდება ითხოვო, რომ ახლა გადავრჩეთ,
რადგან არ მიღირს შენი თავი რამემ მიტკინოს.
გთხოვ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია მართლა დანარჩენს.
გთხოვ, რომ უბრალოდ არაფრისთვის აღარ იტირო.

* * *

ქარები წვანან ვაკეებზე,
ირწევა ღამე.
ცა – მოწითალო,
ქალაქების სევდას ირეკლავს.
არაფერია...
ვუძეორებ გაცრეცილ თვალებს.
ვუძეორებ და
უბრალოდ თავი მიკვდება.
უჩემობები ოთახებში ჩამოვარიგე.
ზის მოირა და ევლოდები როდის გადაჭრის.
ასი ნიღბიდან ვერაფერი
ამოვარჩიე
და მეთათსედ შევიძულე ჩემი ანფასი.
ბურუსები და სინესტია.
აუცივდებათ
დეფორმირებულ ანგელოზებს
ღამის ქუჩებში.
ვიცი, არ არის ეს ბოღვა ან ჰალუცირება.
ვიცი, სულ მალე მოიმწვევდევნ სულელებს მუჭებში.
ქარები წვანან ვაკეებზე,
ირწევა ღამე.
ცა – მოწითალო,
ქალაქების სევდას ირეკლავს.
არაფერია...
ვუძეორებ გაცრეცილ თვალებს.
ვუძეორებ და
უბრალოდ თავი მიკვდება

* * *

სკამზე რომ სიმარტოვე მიეგრდნო
და ბოლო ღერი სიგარეტი მომიწია,
თვალები თვალებთან მომიტანა
და თავის ჩურჩული მომიქსია...
მერე სიჩუმე და ნაცრიფერი,
მერე სიშიშველე და ისტერიკა,
მერე ფინჯანი და ჩაის ფერი,
იყო უჩემობის ინექციაც,
იყო ლოცვები და განდგომები
იყო ვერცხლი,
ყულფი,
მზის ამოსვლა.
იყო ლოდები და აღდგომები...
მერე გულზიდვა და
ყელს ამოცდა...

მერე პაემანი აივანთან.
მხოლოდ მე,
სკამი და
მოაჯირი.

კიდევ პაემანი აივანთან.
მხოლოდ მე,
სკამი და
მოაჯირი.

დაბზარულ ჭიქას ეამბორნენ ჩემი ტუჩები,
სისხლად დაუჯდათ სიმახინჯის გადაფასება.
გვერდით ოთახში მივატოვე სახარება და
ასე დავიწყე ჩემი თავის გადაყვარება.
რალაც ფობია მაიძულეებს ზურგით დავეშვა.
ცის შორ სილურჯეს წაეცეკვა თეთრი პერანგი
მე გამახსენდა ანგელოზი
როგორ დაეცა
და სამუდამოდ შემეზარდა ღამე ვერაგი.

სკამზე რომ სიმარტოვე მიეგრდნო
და ბოლო ღერი სიგარეტი მომიწია,
შენ მაშინ უნდა მოსულიყავი.

* * *

უმოქმედობა.
ჩემი კარი,
ჩემი ტაძარი,
დავიწყებული ღმერთების და
ზღვების გვარდია.

ის, ვინც კალთის ქვეშ არასოდეს არ შემიფარებს
ან

ვის თვალებშიც უმიზეზოდ,
მაგრამ ვანთივარ. –
ჩემს ლაღიწებზე დაიბუდეს,
ცვლიან ადგილებს,
რომლის ჩურჩულიც გულს დაკაწრავს
ის წვება მარცხნივ.
მოგეხსენებათ, ეს არაფერს არ ამარტივებს.
მარიონეტის სამრეკლო ვარ,
ზოგჯერ კი მარტი.

უმოქმედობა –
ჩემი სახლი,
ჩემი სადგომი,
ქარიშხლების და ლეწვა-მტვრევის
მცირე სამკვიდრო.
გამირუტინდა ღამეების სულთან ამბორი.
წვიმდა ღარდი და არდაბაგში წვიმა არ იყო.
მუშტებს ვუღერებ სიბნელებს,
კითხვებს ვახეთქებ.
ცივი ღერეფნის ექოები სხეულს სერავენ.
სერობას ვმართავ ჩემს თავთან და სუნთქვებს ვაფეთქებ.
მერე მყიდიან,
მყიდულობენ
საღღაც მკეტავენ.

„უმოქმედობა!
ჩემი სახლი,
ჩემი ტაძარი“.
საღაც სხეული მივაყუდე, ეს მესმის ყველგან.
და ავგაროზად ვიმეორებ:
„ტანი დაძარი“,
„ტანი დაძარი, თორემ ის ხმა უთუოდ შეგჭამს“.

წუხელ დაღლილი გამოხედვა ზღურბლზე დავღვარე.
წვიმდა ღარდი და არდაბაგში წვიმა არ იყო.
ტანი დაძარი.
ჩავიცვი და ტანი დაძარი...
ახლა ის მინდა,
რომ უბრალოდ კარი გამიღო.

* * *

თითები გიძღვნიან ღელვების ნარატივს.
კელლებში
მომიმწვევდეს ღამე თუ საღამო.
განცადა
ზღვების და...
ზღვების და

არაფრის...
მინდა, რომ მოსვლა და დარჩენა მახარო.

ოთანში მიმოყრილ გულისთქმებს გიგროვებს,
ტანს მესხმის ჟრჟოლა და
სიშიშველე – ნატიფი.
თითებით თითებზე შენს თათებს ვიწვობ და
ყველაფერს ძალიან ბავშვურად განვიცდი.
თვალებში ჩამიწვა გზები და სიშორე,
ლტოლვების სერიებს ტალღებად ვასკლები.
ტუჩებზე
აბსტრაქტულ შენს ტუჩებს
ვიმოწმებ.
განცადა ვარ ღარდის და
ღილაძე გაეჭრები.

სარეცელს
სხეულის
სიკენტე
მიციებს.
მიტირებს
ცრემლი თუ
ცები თუ
წარღვნები.
ქარი ხრის
ვერხვებს და
აღვებს და
ტირიფებს.

განცადა ვარ ზღვების
და
ღილაძე დავშრები.

* * *

ამ გულყვითელებს მდინარესთან ტოვებ.
თვალს ახელ.
თვალთმაქც სიმშვიდეს იშორებენ ცები ტანიდან.
ამ ღამემ წუხელ რაც დატოვა
ღღე ხომ გაამხელს...
ღღე ხომ არ მალავს,
სახლზე მეტი –
სული დაინგრა.

ნისლიან დევებს მდინარესთან ტოვებ.
თვალს ახელ.
ყველა ვართ დედა!
ყველა – შვილი!
მამა და ბიძა!
და სანამ ვიღაც უსიამო

სისხლში ჩაგაწვენს,
შენ, ყველას დედა,
ყველას შვილი,
მამა და ბიძა

გადაუდგები დაგეშილებს და გულყვითელებს,
მდინარისა და ნისლიანი დევეების ხათრით,
შელებავ წითლად.
იცოცხლებენ ყაყაჩოები.

თეთრ კაფანდარებს მდინარესთან ტოვებ.
თვალს ახელ.
თვალთმაქც სიმშვიდეს იშორებენ ცები ტანიდან.
შენ
ყველას დედამ,
ყველას შვილმა,
მამამ და
ბიძამ
არავის მისცე,
არავის ანდო
ეს ცა და მიწა!

* * *

გიყვარდეს მტერი შენი
და თვითმკვლელობა მათი არსობისა.
მათი ღამდაღებული არსებობის არ არსებობისთვის.

სულ დამსხვრეული არდაბაგები
სულდამსხვრეულებს ირეკლავენ.
მერე ფანჯრიდან გადაგვარდები.
რალა თქმა უნდა,
შეილებავენ
ირისებს ცრემლით,
გულს დარდით და
დაგივიწყებენ.
მერე იქნება არაფერი,
როგორც მანამდე.
გთხოვ
შენი ხელით
მიმაცილე არდაბაგამდე.
ფრთები მოვიბათ.

* * *

ცის თაღებზე ნოემბერი წვება.
ედარდებათ მოოქროვილ ქუჩებს,
რადგან ყინვა ვერ მოუტანს შეებას
მანანწალას, უჩასა თუ ღუღჩეს.

მერამდენედ ეუბნები თავს, რომ
ეს ღერია სულ-სულ ბოლო ღერი?
მოსე ხარ და ღამეს ორად გაყოფ...
რომ შეველი და მერე, რომ ვერ შეველი.

ქარიშხლებზე ფეხშიშველი როკავ.
მონა ხარ და სახინარი ყინვის.
შენ ბუნებამ ბევრი რამე მოგცა:
სიველურე, სინაზე და შიში.
ეფერები გამოფიტულ სივრცეს,
ჰო, იმ ოთახს კედლებზე რომ გაცვა.
ღამღამობით შენს ფიქრებს რომ იტევს.
ღილაობით სიზმრებში რომ გმარხავს.
და მერე კი (ისევე) ზუსტად ისე,
როგორც გუშინ, გუშინწინ და უწინ,
ექიმით შენს სიმპტომებს იწერს
შენი სარკე.

ღიაგნოზი:
სულის
მწვავე
გამოშრობა,
მაგრამ

შენც ხომ იცი, გატყუებენ, თაი
(და სულ ყველა იმიტომ და რადგან).
შენც ხომ იცი, გაგიჟებენ, თაი...
ხმამაღალი შენი თავი გარბევს
და დასცინე! გადაფარო ხმა რომ
დაიფარე!
ხომ ხედავ, რომ გამტკრევს.
დაიფარე..
თორემ დარდი გათოვს...

ქარიშხლებზე ფეხშიშველი როკავ..
იცი ვინც ხარ.
ნუ დაფრთხები ყინვით.
ჰო, ბუნებამ ბევრი რამე მოგცა:
სიველურე,
სინაზე და
შიშიც...

* * *

როცა გბეზრდება
ყველა წახნაგი,
ყველა კუთხე და
ყველა ციცაბო.
როცა ვერც ერთ ფიქრს

ვეღარ უგლუვებ
 ფერდებს და
 გინდა გაანიავო
 სულის სარდაფებს მოღებულ
 მტერად შენი დარდი,
 ტარანტულების სამყოფელი,
 ტვირთი და ჯვარი
 და მოდი მაინც...
 ნუ ნახავს მამა,
 თუ როგორ გახდი.

როგორი გახდი...

* * *

კაბადონებზე ჩამომსხდარან ჭადარა ცები,
 წელში იხრება დღის სიგრძე და ღამის სიღვე.
 კედელს წუხელაც მივახატე ვიღაცის მხრები,
 მივეყრდენი და ყველაფერი ერთად ვინანე.

* * *

ქარებს სხეულში ნუ მოიმწვედევ,
 ერთი ციდა ხარ.
 გამოგფიტავენ ეს უმანკო ვითომ ფიქრები.
 ივლი ყველგან და ვერ იპოვი ვერსად მისამართს.
 ივლი და სადღაც, ქუჩის ბოლოს, გამოილევი...
 ქარები გგვანან,
 გლლიან ისე...
 შენი თავივით.
 ვერაფერია აზრნაკლული,

სული გემღვრევა
 და შენი ტანი,
 მომართული
 მშვილდ-ისარივით,
 უმიზნებს თავს და
 გამუღმებით თავი ერევა.
 ეხოს მარშია,
 რა გაშინებს?
 რამ აგაზღვავა?
 რაა შენს ხმაზე ხმამაღალი?
 მხრები მოიმხრე.
 ხატე სიტყვებით,
 ღიმილებით,
 სხეულით ხატე.
 ანარეკლს წელში გაემართე.
 თესე.
 მოიმკე.
 ოღონდ ნუ იმწვედევ მაგ პატარა სხეულში ქარებს.
 ერთი ციდა ხარ,
 არ დაგზოგავს,
 დაგცემს,
 დაგამხობს.
 ნუ გამოძერწავ იმ უსახოს
 სახეს და სახელს
 და თუ დარჩება
 შენს თავს
 შენთან სალაპარაკო –
 თესვა განაგრძე.

ნანა ჭიჭინაძე

გურამ ქაშაიაშვილი - 90

„საჯა შენი ხელი მისწვდა, კლდეზე იქ
 აყვავდა“



გამოჩენილი ქართველი მეტალურგი, სახელმწიფო პრემიების ოთხგზის ლაურეატი, პროფესორი, მეცენატი, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საერთაშორისო კულტურის და მეცნიერების რაინდის ოქროს ორდენის კავალერი, „საუკუნის ადამიანის“ ნომინანტი ბატონი გურამ ქაშაიაშვილი იუბილარია, მას ინტერვიუსთვის სახლში ვესტუმრე:

– სად დაიბადეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები, როგორი იყო თქვენი ბავშვობა?

– დავიბადე საქართველოს ყველაზე ულამაზეს რაიონში, ბაღდათში, 1932 წლის 27 აპრილს. ყველა რაიონს და კუთხეს ალამაზებს მდინარეები, მთები და ტყე. ბაღდათი პატარა რაიონია, მაგრამ მას ალამაზებს 6 მდინარე: ხანისწყალი, წაბლარას წყალი, საკრაულა, ყვირილა, რიონი, კორის წყალი და ლუხუტა, რომელშიც გაიზარდნენ საქართველოში იტალიური სკოლის ფუძემდებელი ვალერიან ქაშაკაშვილი, მისი მოსწავლეები: რეზო ლალიძე, ჯანსუღ კახიძე; რუსეთში, უკრაინასა და საქართველოში მეტალურგიული ქარხნების ფუძემდებელი ნიკოლოზ ქაშაკაშვილი, რომლის შექმნილმა ტექნოლოგიამ კულტსოციალურად, ეკონომიკურად განავითარა დედოფლისწყაროს რაიონი. ნიკოლოზ ქაშაკაშვილის და მისი მოადგილის სამთო საკითხებში ილია ინაშვილის ინიციატივითაა დედოფლისწყაროში აშენებული რკინიგზა და კარიერი, რომელსაც დღეს მთავრობა თეთრი ოქროს საბადოს ეძახის.

მამა ბენედიქტე (ბენო) ქაშაკაშვილი განათლებით ჰიდროტექნიკოსი იყო. ბაღდათის, დიშის, როკის, იღველის, კარციხის სარწყავი არხების ფუძემდებელი. მამა ადრე გარდაიცვალა და ვიზრდებოდი დედის ალექსანდრა (სამა) მიქაბერიძის და მამიდის პელაგია (ცაბურა) ქაშაკაშვილის (ლენინის ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი) მეურვეობით. მამიდა საბჭოების დაარსებიდან ბაღდათის რაიონული საბჭოს უცვლელი დეპუტატი იყო. მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით გაჭირვებული ბავშვობა გვქონდა. ჩვენს ეზოში აშენებულ შენობაში რაიკომის პირველი მდივნის, რაიალმასკომის თავმჯდომარის, პროკურორის და კაკებს განყოფილების უფროსის შვილები ასეთივე გაჭირვებაში ცხოვრობდნენ.

– თქვენი სკოლაში მისვლის პირველი დღე თუ გახსოვთ?

– ძალიან კარგად მაახსოვს, მამიდამ მიმიყვანა ბაღდათის პირველ საშუალო სკოლაში, სადაც დავამთავრე 8 კლასი; გოგონების და ვაჟების გაყოფის შემდეგ გადამიყვანეს ვაჟთა საშუალო სკოლაში.

– საყვარელი მასწავლებლები?

– ძალიან ბევრი, ერთ-ერთი სამაგალითო მასწავლებელი მამიდაჩემი იყო, ასევე ქართული ენის მასწავლებლები: ფაცუცია და დომნა ხურციძეები, სკოლის დირექტორი ივანე თავხელიძე, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გვიწვევდნენ რეპეტიტორობას თავიანთ ოჯახებში.

– საყვარელი საგანი?

– მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია.

– საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რატომ აირჩიეთ ურთულესი დარგის პროფესია – მეტალურგია?

– დედამ და მამიდამ გადაწყვიტეს, რომ მშენებელი ინჟინერი გაამოვსულიყავი და ბაღდათში მექუშავა. მამიდას თაოსნობით თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. როდესაც სახლში მოვიდოდით ძალიან დიდი რიგი დაეინახეთ და ვიკითხეთ, რატომ იყო დიდი რიგი. ახალგაზრდებმა გვიპასუხეს: მეტალურგიულ ფაკულტეტზე ოქროს მედალოსნებმა შეავსეს ადგილები და მხოლოდ 1 ადგილი დარჩა და 50 აბიტურიენტია მსურველიო. მამიდამ შეაწუხა თავისი ძმა ნიკოლოზ ქაშაკაშვილი, რომლის დახმარებით ერთი დამატებითი ადგილი გამოყვეს მეტალურგიულ ფაკულტეტზე და მე, როგორც ოქროს მედალოსანი, ჩავირიცხე.

– როდის გეწვიათ პირველი სიყვარული?

– რუსთავეში მეწვია სიყვარული და პედაგოგ ლეილა სულაკაძესთან ერთად შევქმენი ოჯახი. გვყავს ორი შვილი: ბენო და ია ქაშაკაშვილები. ბენო მეტალურგია და ია გინეკოლოგი. შვიდი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი მყავს.

– თქვენი სამაგიდო წიგნი?

– ჩემი სამაგიდო წიგნებია: XXI საუკუნეში ჩემი ავტორობით რეგისტრირებული სამი მეცნიერული აღმოჩენა, მეტალურგიული ტერმინების მრავალენოვანი ლექსიკონები და ჩემი მთავარი რედაქტორობით გამოცემული სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის ორტომეული.

– საყვარელი მწერალი?

– ჭაბუა ამირეჯიბი.

– საყვარელი კომპოზიტორი?

– ვაჟა ახარაშვილი, ჯუშუბე ვერდი.

– გამორჩეული მხატვარი?

– ფიროსმანი.

– საყვარელი კინორეჟისორი?

– რეზო ჩხეიძე.

– საყვარელი კინომსახიობი?

– ლეილა აბაშიძე.

– ისტორიული გმირი?

– გიორგი სააკაძე.

– მსოფლისო მრავალ ქვეყანაში ხართ ნამყოფი, როგორ მელმა ქვეყანამ დატოვა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?

– ყველა ქვეყანამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მათ შორის ლიდერია ჩინეთი, რომელიც დღეს მსოფლიოში გამოღწობილი 7 მილიარდ 800 მილიონი ტონა ფოლადიდან ნახევარზე მეტს – 950 მილიონ ტონას, ადნობს.

– სპორტის რომელი სახეობა მოგწონთ?

– ცურვა. ხანის წყალზე დაღრჩობას გადარჩენილი მყავს 4 ბავშვი, ხოლო შავ ზღვაზე – 3 სტუდენტი.

– განსაკუთრებით რომელი დღესასწაული გიყვართ?

– ახალი წელი, შობა და აღდგომა.

– მთა თუ ზღვა?

– ორივე.

- რომელი კუთხის სამხარეულო მოგწონთ?
- იმერული სამხარეულო.
- საყვარელი სასმელი?
- იმერული იშვიათი ჯიშის ციციქა, კრახუნა, საფერავი.
- XX საუკუნის გამოჩენილი ადამიანი?

- სტალინი. საქართველოში მისი ინიციატივით II მსოფლიო ომის დაწყებამდე ბაქოს მენაუთობების ბინებით უზრუნვესყოფად ნიკოლოზ ქაშაკაშვილს ჯერ თბილისში ააშენებინა მეტალურგიული ქარხნის საამქროები, სადაც ომის დაწყებისთანავე განთავსდა ევაკუირებული ტაგანროგის ავია გამანაწილებელი ქარხანა, დაფუძნდა თბილისის ავიამშენი. შემდგომ რუსთავში უკაცრიელ ტერიტორიაზე, სხვები რომ არ დაპატრონებოდნენ ქართულ მიწას, აშენდა მეტალურგიული ქარხანა და ქალაქი რუსთავი.

- ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, რაიმეს შეცვლიდით?

- არაფერს არ შევცვლიდი.
- თქვენი ცხოვრების ერთი დაუვიწყარი დღე?
- ყოველი დღე დაუვიწყარია ჩემთვის.
- თქვენი ჰობი?
- მუსიკა.
- ნატურისთვის რომ გკონდით, რას ინატრებდით?
- საქართველოს გამთლიანებას.

ერის მოამბე

გურამ ქაშაკაშვილი საქართველოში ერთადერთი დიქტორია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე ჩამორჩენილი გაჩერების პირას მისული და ხალხის მომწამლავი ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა, შემდეგ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიებით და ტექნიკით, ეკონომიკური, ხარისხობრივი და ეკოლოგიური მაჩვენებლებით საბჭოთა კავშირში მეტალურგიის დარგში ერთ-ერთ მოწინავე საჩვენებელ უნარჩენო პროდუქციის საწარმოებად გახადა.

ზესტაფონიდან რუსთავში გადმოყვანის შემდეგ მეტალურგიული კომბინატის პერსპექტიულ განვითარებაში დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოსწორებისათვის ბატონმა გურამმა თავისი ინიციატივით შეძლო საბჭოთა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ ტიხონოვის ჩამოყვანა რუსთავში და შავი მეტალურგიის მინისტრის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად შეიცვალა ხუთწლიდით დამტკიცებული პროგრამა კოქსიქიმიური და ბრძმელების წარმოების განვითარებაზე გამოყოფილი თანხებით მეტალურგიულ კომბინატში ელექტროფოლადსადნობი საამქროს მშენებლობასთან ერთად, მეტალურგიის კაპიტალიზაციით გარდაბნის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე ორჯერ გაიზარდა სამი



სამასშვეგატიანი მე-9, მე-10 და მე-11 ენერგობლოკების, მარნეულის 500 კილოვატიანი სიმძლავრის ქვესადგურის მშენებლობით და მისი შეპირაპირებით ზესტაფონის კოხრის ქვესადგურთან განხორციელდა საქართველოს ენერგოსისტემის რუსეთის და აზერბაიჯანის 500 კილოვოლტიანი სისტემაში ჩართვა. ამის შედეგად სიმძლავრის მკვეთრ ზრდასთან ერთად გაიზარდა მისი მდგრადობა.

გურამ ქაშაკაშვილის ძალისხმევით რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის განკარგულებით სეპარატისტ აფხაზეთის მიერ წართმეული ენგურჰესის 1200 მეგავატი სიმძლავრის მართვის საქენერგოზე გადმოცემის განხორციელება, რაც აფხაზეთში ძმათა მკვლელობის შემდეგ დღემდე ერთადერთი მშვიდობიანად გადაწყვეტილი საერო საქმეა, რის შემდეგაც ჩვენი ქვეყანა პერიოდულად აწარმოებს ელექტროენერჯის ექსპორტს.

გურამ ქაშაკაშვილის სახელთანაა დაკავშირებული მიწისძვრით, მთიანი აჭარიდან წყალდიდობით და მეწყერით დაზარალებულთათვის ორსართულიანი სახლების, საბავშვო ბაღების და სკოლების მშენებლობა.

გურამ ქაშაკაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა აზერბაიჯანში 12 ათას მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილი უმაღლესი ხარისხის ნავთობის მოსაპოვებლად ზემტკიცე ნავთობმოსაპოვებელი მილების წარმოებისათვის მილების წრთობის, მოშვების და თბილი გლიზვის ტექნოლოგიური უბანი და ათვისებულ იქნა ზემტკიცე მილების დამუშავების ნაკადური ავტომატიზირებული, რობოტიზებული პროგრამით მართული დასავლეთ გერმანული და ავსტრიის ფირმების „ემაგის“ და „ხაიდის“ დანადგარები.

მისი ინიციატივით ზესტაფონში იაპონური ღუმელების კომპლექსში დამატებით აშენდა მდინარე ყვირილაზე და

რკინიგზის მაგისტრალზე უსაფრთხო მოძრაობისთვის ხიდი. წილების კომპლექსური გადამუშავების უბანი და მოქმედი 22 ელექტროლუმელი შეიცვალა დახურული ტიპის ღუმელებით გახსაწმენდი დანადგარებით, რითაც აღიკვეთა გამონაბოლქვი მტვერით რეგიონის დაბინძურება და მდინარე ყვირილაზე წილების გადაყრა. აშენდა ზესტაფონის მუსიკალური სკოლა, სასტუმრო კომპლექსი და ქარხნის ახალი სამმართველო, კვალითის დასახლებაში საცხოვრებელი სახლები, უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი, ფეროს კულტურის სახლს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და სხვა,

რუსთავში აშენდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის ორი სასწავლო კორპუსი, სასტუმრო, მრავალი სკოლა და საბავშვო ბაღი და რაც ყველაზე მთავარია, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ბინათმშენებლობა წელიწადში 4 000 კვადრატული მეტრიდან გაიზარდა 30 000 კვადრატულ მეტრამდე. ეს შესაძლებელი გახდა უზბეკეთში დაგეგმილი ბინათმშენებლობის მოცულობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე გადმოცემით, რითაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე რუსთავში დამატებით აშენდა 300 000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი. თბილისში აშენდა ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგთა სასწავლო მე-10 კორპუსი.

საპატრიარქოსთან თანამშრომლობით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და აღორძინდა მარტვილის წმ. ნინოს, თბილისის შავნაბადას, სვეტიცხოვლის ეკლესიები, მარტვილის სამონასტრო კომპლექსი. ჩაისხა სამების ტაძრის საძირკველი. მისი დაფინანსებით და მატერიალური უზრუნველყოფით აშენდა რუსთავის ვახტანგ გორგასლის და წმიდა მიქაელის სახელობის ეკლესიები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი და მშობლიური ბაღდათის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი.

გურამ ქაშაკაშვილის თაოსნობით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა ერთობლივი საწარმო იტალიური, ფრანგული და იაპონური ფირმების მონაწილეობით ფართო მოხმარების საქონლის საწარმოებლად.

მეტალურგების წარმოებული იაპონური ტელევიზორებით, ვიდეო-აუდიო ტექნიკით ზვიად გამსახურდიას თხოვნით დაფუძნდა ტელევიზიის მეორე არხი და ეროსი კიწმარიშვილის კერძო არხი „რუსთავი 2“.

მეტალურგიულმა ქარხანამ დააფინანსა 9 აპრილს დასახინრებულთა და მოწამლულთა საზღვარგარეთ მკურნალობა. თბილისის ცერებრალური დამბლით დაავადებულების კლინიკისათვის შექმნილ იქნა ჩეხოსლოვაკიაში დაშხადებული სპეციალური სკაფანდრები. დაფინანსდა მრავალი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის მკურნალობა საზღვარგარეთ; ასევე გურამ ქაშაკაშვილის

დაფინანსებით კონსერვატორიის წარჩინებული სტუდენტები: ლადო ათანელმა, ბადრი მაისურაძემ, ვალერიან გამგებელმა და სხვებმა მონაწილეობა მიიღეს ბარსელონის და იტალიის საერთაშორისო კონკურსებში, რითაც ისინი მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები გახდნენ. გურამ ქაშაკაშვილმა დააფინანსა დიდი ხელოვანის ანზორ ერქომიშვილის ინიციატივით ლონდონის, პარიზის, სანკტ-პეტერბურგის საცავებში საუკუნის წინ ჩაწერილი საქართველოს ბუღბუღის ვანო სარაჯიშვილის, ლასკა-ლას თეატრში პირველი ქართველი მომღერლის ფილიმონ ქორიძის, ვალერიან ქაშაკაშვილის, მისი მოსწავლეების: მედეა გაბუნიას, ლამარა ჭყონიას, ზურაბ ანჯაფარიძის, ვლადიმერ კეკელიძის, თენგიზ მეშველიანის, რეზო კაკაბაძის და სხვების არიების ჩანაწერების გაწმენდა-აღდგენა და კომპაქტდისკებად გამოცემა.

მისი ინიციატივით ჩატარდა და ტარდება გამოჩენილი მეტალურგების, მათი მასწავლებლების იუბილეები საიუბილეო კრებულების გამოცემით. მათთან ერთად ნოდარ ანდლულაძის, ცისანა ტატიშვილის, ჯემალ მდივნის, მედეა ამირანაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ვალერიან ქაშაკაშვილის იუბილეები. დამსახურებული მასწავლებლების – ივანე თავხელიძის და პელაგია ქაშაკაშვილის ფონდების დაარსებით ყოველწლიურად ხდებოდა ფრიადოსანო მოსწავლეების და მათი მასწავლებლების დაჯილდოება პელაგია ქაშაკაშვილის და ივანე თავხელიძის ოქროს მედლებით, სანამ განათლების სამინისტრო აღადგენდა ოქროს მედლებით დაჯილდოებას. ასევე ხდებოდა გამოჩენილი მუსიკოსების, ხელოვანების ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ლაურეატის დიპლომებით და ოქროს მედლებით დაჯილდოება.

გურამ ქაშაკაშვილის ფინანსური უზრუნველყოფით დაიდგა მოქანდაკე შოთა მეღიავას შექმნილი გამოჩენილ მეტალურგთა და ხელოვანთა 30 ბრინჯაოს ბარელიეფ-გორელიეფი და ბიუსტი რუსთავში, ბაღდათსა და თბილისში; ჭიდაობაში პირველი ქართველი ჩემპიონის გივი კარტოზიას ძეგლი სპორტის სასახლის წინ და მთაწმინდის პანთეონში უშანგი ჩხეიძის ძეგლი შექმნილია ვახტანგ დავითაიას ავტორობით, რომლებიც ბატონი გურამის ინიციატივითა და დაფინანსებით რუსთავში ბრინჯაოში ჩამოისხა.

საქართველოს დამსახურებული არტისტის ალექო ხომერიკის თხოვნით ბატონმა გურამმა დააფინანსა ბათუმის დრამატულ თეატრში ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პირველი სპექტაკლის დადგმა, რაც აჭარაში საოპერო ხელოვნების განვითარების საფუძველი გახდა, სადაც აშენდა ოპერის თეატრი და მასში მსოფლიოში აღიარებული მომღერლები გამოდიან.

აფხაზეთის ომამდე ჯერ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ შევარდნაძის დავალებით მეტალურგიულმა ქარხანამ

შეაიარაღა ჩვენი სამხედრო ფორმირებები. ომის დროსაც გურამ ქაშაკაშვილი ჩვენს ჯარისკაცებს უზრუნველყოფდა სამხედრო ტექნიკით, იარაღით, დიზელის საწვავით, ბენზინით, მეფოლადეთა სპეცტანსაცმლით, სურსათით და სხვა.

ცნობისათვის საბჭოთა წყობილების ბოლო პერიოდში გურამ ქაშაკაშვილი რუსთავიდან უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. საარჩევნო ოლქში შედიოდა სიღნაღი და წითელწყარო. ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს წითელწყაროელებმა თხოვნით მიმართეს, რომ რაიონის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის გამოეყო რუსთავში წარმოებული 300 ტონა მილები. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა უშვებდა უმაღლესი ხარისხის ნავთობმოსაპოვებელ მილებს, რომლის გამოყენებას სასმელი წყლისათვის საბჭოთა კანონები კრძალავდნენ. იმ პერიოდში ბატონ გურამს მოუწია იუგოსლავიაში მივიღებო და წითელწყაროელების თხოვნა დადებითად გადაუწყვიტა მისმა კოლეგამ ჩირჩიკის მილების ქარხნის დირექტორმა და 350 ტონა მილები გაგზავნა დედოფლისწყაროში.

ცნობისათვის, გურამის და – პედიატრი გულნარა ქაშაკაშვილი, წითელწყაროელი ცნობილი ექიმის ბიჭიკო ლაპიაშვილის მეუღლე იყო და ხშირად ჩამოდიოდა წითელწყაროში თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

ამჟამად ბატონი გურამი მუშაობს ქიმიური და მეტალურგიული პროცესების ენციკლოპედიაზე ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად.

გურამ ქაშაკაშვილი ორი მოწვევის პარლამენტის აქტიური წევრი იყო.

მან სადოქტორო დისერტაცია წარმოებისგან მოუწვევებლად დაიცვა მსოფლიოში აღიარებული აკადემიკოსის ივანე შარდენის სახელობის ინსტიტუტში ტექნიკური უნივერსიტეტში მეტალურგიული ფაკულტეტის ფოლადის მეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად მუშაობის დროს. გასაჯაროვდა მისი ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი ექსპერიმენტების შედეგები.

დღეისათვის გურამ ქაშაკაშვილი ერთადერთი მეცნიერია, რომელმაც შექმნა და თავისი რედაქტორობით გამოსცა ექვსენოვანი მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი, სამთო მეტალურგიული ენციკლოპედიის ორტომეული.

ის არის საქართველოდან რეგისტრირებული №390, №437 და №497 მეცნიერული აღმოჩენების ავტორი, 328 მეცნიერული შრომის, მათ შორის ყველა მეცნიერზე მეტი – 103 გამოგონებით, 7 პატენტით, აშშ-ში, იაპონიასა და გერმანიაში გაყიდული ლიცენზიებით და დანერგვის სარეკორდო მაჩვენებლით – 26 პროცენტი, აგრეთვე 27 დანერგილი გამოგონებით.

საქართველოში სამი მეცნიერული აღმოჩენისათვის მხოლოდ გურამ ქაშაკაშვილია დაჯილდოებული ნობელის პრემიის ლაურეატ პეტრე კაპიცას ერთი ვერცხლის და ორი ოქროს მედლით – ამოტვიფრული წარწერით – „მეცნიერული აღმოჩენის ავტორს“. ასევე ერთადერთი მეცნიერია საქართველოში, რომელიც ოთხგზის სახელმწიფო პრემიას ფლობს.

ბატონი გურამი არჩეულია დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს ბიოგრაფიული საბჭოს წევრად დამფუძნებლის სტატუსით.

იგი არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის, უკრაინის მეცნიერებათა, ევროკავშირისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიების წევრი, საქართველოში კი ამ აკადემიის განყოფილების თავმჯდომარეა.

დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, სტალინისა და საქართველოს ღირსების სახელმწიფო ორდენებით. მისი ბიოგრაფია შესულია ლონდონის, პარიზის, ვაშინგტონის, მოსკოვის, კიევის, თბილისის ენციკლოპედიურ გამოცემებში.

* * *

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის, საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიული ფაკულტეტის, ფოლადის მეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თაოსნობით 2022 წლის 10 ნოემბერს, ხუთშაბათს, რესტორან „ლორდში“ გაიმართა „ქართული მეტალურგიის მამის“ პროფესორ გურამ ქაშაკაშვილის დაბადების 90-ე და საწარმოო-სამეცნიერო მოღვაწეობის 65-ე წლის საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დავით გურგენიძემ.

იუბილარს მიესალმნენ: აკადემიკოსი რამაზ ხუროძე, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი ლიდა ივანიცკაია, რომელმაც იუბილარს გადასცა კულტურისა და მეცნიერების რაინდის ორდენი, აკადემიკოსი იური რახმანინი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ვლადიმერ შიროკოვი, ვალერი მახური, სერგეი გრიშენკო, მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავი, ჩვენი თანამემამულე, ლადო ათანელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე გია ბალაშვილი, დირიჟორი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ტაყიძე, აკადემიკოსი ვაჟა ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი და სხვები.

სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ სტუმრებმა საბანკეტო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც იუბილარის შვილმა ბენო ქაშაკაშვილმა თამადის ამპლუაში მოწვეულ

სტუმრებს დაუვიწყარი საღამო აჩუქა. საიუბილეო საღამო დაამშვენა თეატრალულმა კვარტეტმა თავად იუბილარის მიერ შერჩეული რეპერტუარით.

ალმანახ „ხორნაბუჯის“ სახელითაც ვულოცავთ სახელოვან მეცნიერს და მამულიშვილს საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

გურამ ქაშაკაშვილის შესახებ კომენტარი ვთხოვე მეტალურგიული ქარხნის ყოფილ თანამშრომელს, ექსპრეს ლაბორატორიის ლაბორანტს, ამჟამად კი დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის ბუღალტერს – ქალბატონ მაია კურტანიძეს:

2022 წლის 8 დეკემბერს ჩემთან მოვიდა ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე, რომელმაც გაზეთ „შირაქის“ ყოფილი რედაქტორის ნაირა გორაშვილის გაცილების საღამოზე დამპატიოა და გადმომცა ქართული მეტალურგიის ბერძენა მამის გურამ ქაშაკაშვილის 90 წლის საიუბილეო საღამოზე მოსაწვევი ბარათი. ამ ბარათმა ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია და ახალგაზრდობის წლები გამახსენა. 20 წლის გოგო ვიყავი, როდესაც მეტალურგიული ქარხნის ექსპრეს ლაბორატორი-

აში დავიწვეე მუშაობა. ჩემი სამუშაოს პირველ დღეს ლაბორატორიიდან ავედი მარტენის საამქროში სინჯის ასაღებად ჩამოტანილი ფოლადის ფირფიტების ნარჩენების უკან დასაბრუნებლად. ნარჩენებს სპეციალურ ურიკებში ვყრიდით; ურიკები საკმაოდ მაღალი იყო და ვერ ვახერხებდი ჩაყრას. ამ დროს შევინძნე სპეცტანსაცემელში ჩაცმული ჩემკენ მომავალი მამაკაცი, რომელიც მომიახლოვდა და დამეხმარა. „როგორც ჩანს ახალი თანამშრომელი ხარო მითხრა, მიხარია, რომ ახალგაზრდები მოდიხართ ჩვენთან სამუშაოდ. მე მაღლობა გადავუხადე, მან კი გზა გააგრძელა მარტინის ღუმელებისაკენ. როდესაც ლაბორატორიაში ვბრუნდებოდი ერთ-ერთმა მეფოლადის თანამშემწემ მითხრა, იცი ვინ არის ის კაცი, ვინც დაგეხმარაო? ის გურამ ქაშაკაშვილია, ჩვენი ქარხნის დირექტორიო.

გურამ ქაშაკაშვილი უდიდესი პროფესიონალი და თითოეული თანამშრომლისათვის პატივსაცემი ხელმძღვანელი იყო თავისი თანადგომის უნარით და საქმისადმი სიყვარულით. იცოდა შრომის ფასი და მშრომელი ადამიანების დაფასება.

ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ ამ დღეწმდოსილ, უანგაროდ სიკეთის მთესველ, დიდ ადამიანს.

ნიწო არსენიშვილი

საქართველო



ჩემი სამშობლო – საქართველო არ არის ვრცელი, იგი დიდია; ზესენელს და ქვესენელს შუა გადებული ბეწვის ხილია, აფორიზმია, სხარტულაა, გამოცანაა, „აი იაა“, „იავენანაა“, ოქროყანაა, მთებია, ზღვაა, სამყაროა, იმისთანაა; მოქარგული აქვს მინდორ-ველი, არ არის ვრცელი. ჩემი სამშობლო – საქართველო ძალზე დიდია, უკვდავია და დროის ეტლი ფეხზე ჰკიდია.

მეგობრებს

თქვენ ჩემში დარჩით
 დროის მიღმიდან
 მოგონებებში გაფანტულები;
 ეს მოგონება იმად მიღირდა,
 რომ ერთმანეთი დაგვაქვს გულებით:
 მიჭირს თუ მიღხინს
 თქვენ მეგულებით,
 გიჭირთ თუ გიღხინთ,
 მე გეგულებით
 და მეგობრობის ძველი თქმულება
 გრძელდება ჩვენი საგსე გულებით...
 თქვენ ჩემში დარჩით
 დროის მიღმიდან
 მოგონებებში გაფანტულები.

მარტი და მარტოობა

სევდა – ჩემი დობილი,
 მარტოობის დარი,
 წლებით გამოწრთობილი
 მარტის ავი ქარი.
 ტკივილივით დახრილი
 ზავის თეთრი ალამი,
 ტკივილებით დახრული
 ეტრატი და კალამი.
 მაინც შემორჩენილი
 ხსოვნასა და იმედებს,
 შენთვის შემორჩენილი,
 სხვისთვის ვერ გაგიმეტებს.
 რწმენასავით უცვლელი
 სული – ხორცის მალამო,
 ცარიელი ფურცელი,
 გიშრის ტბაში კალამი...
 სევდა – ჩემი დობილი,
 მარტოობის დარი...
 წლებით გამოწრთობილი
 მარტო მარტის ქარი.

ადამიანო!

ადამის მოდგმავ,
 ზოგჯერ ბრძენო,
 ზოგჯერ სულელი,
 ხან ჯოჯოხეთო,
 ხან ედემის
 ბალის სურნელო.
 ზოგჯერ სიმშვიდე,

მიერდობილო
 იმედს უფლისას,
 ხან მრისხანებავ,
 შურო, მტრობავ,
 ვნებავ უღირსთა.
 შენ შემოქმედო,
 უკვდავების
 თანაზიარო,
 ხან წვიმიანო,
 ნისლიანო,
 ხანაც მზიანო,
 ადამიანო!
 ომო და ნგრევა
 უფლის ხელით
 აშენებულთა,
 გადამრჩენელო,
 დამლუპველო
 სულთა, სხეულთა.
 ადამის მოდგმავ,
 სახელდებით
 ადამიანო,
 ზოგჯერ სულელი,
 ზოგჯერ ბრძენო,
 სიტყვაწელიანო,
 ზოგჯერ დუმილით
 ოქროხმიანო;
 შენ სიყვარულით
 შექმერწილო
 უფლის ხატებად,
 სიყვარული ხარ!
 განაგდე ბნელი,
 იწყე ნათება!
 ადამის მოდგმავ,
 ზოგჯერ ბრძენო,
 ზოგჯერ სულელი,
 ხან ჯოჯოხეთო,
 ხან ედემის
 ბალის სურნელო,
 შენ, შემოქმედო,
 უკვდავების
 თანაზიარო,
 უფლის ხატებას
 ნუ დაკარგავ,
 ადამიანო!

* * *

ზამთრის პეპლები – ფიფქები

დაეშვებიან ციდან,
 ზოგი ზრდასრული მგონია,
 ზოგია ერთი ციდა,
 მაინც მახარებს ფანტელი,
 თითქოს მეც ფრენა მინდა.

ზამთრის ზღაპარი მგონია,
 როცა თოვს, როცა ბარდნის,
 შიში არა მაქვს გაქრობის,
 შიში არა მაქვს ვარდნის,
 გულიდან გადამეყრება
 ამაოების დარდი.

რწ და ქვეყანა

ამ ღრუბლებს იქით ცა არის,
 ამ ცის იქით კი სხვა ცაა...
 რქაწითელსა ვსვამ რამ ჭიქით,

შიგ ღვინოა და არცაა.
 აქეთ ვაყაჩო ველეკელობს,
 ამ მინდერის იქით ვანაა,
 უამყაყაჩოდ, უყანოდ
 ქვეყანა რა ქვეყანაა?!

მზე გაისრულა ღრუბლებში,
 სხივები ექცა ფიქრებად,
 სინათლის სხივის გარეშე
 მზე მზე როგორღა იქნება;
 სიო რომ ჩამოუქროლებს,
 როგორ სათუთად იქცევა,
 თუ არვინ მტრობს და აბრაზებს,
 ქარიშხლად როგორ იქცევა?!
 ამ ღრუბლებს იქით ცა არის,
 ცაზე მზე, იქით ვანაა,
 ამ მზის, ცის, ვანის გარეშე
 ქვეყანა რა ქვეყანაა?!



თინა გახელაძე

* * *

გაზაფხულია და დედასავით
 მარტი მზეს ალბათ ცხრაჯერ პირს დაბანს,
 პირველი კბილის ამოჭრასავით
 ენძელა თოვლის გადიხდის საბანს.
 ქარი მოდენის ღრუბელს ნისლიანს,
 თავს დაგვაცხრება, როგორც აფთარი,
 ტახტრეგანისთვის მძაფრად იბრძვიან
 გაზაფხული და ცივი ზამთარი.
 კლდეს მიჯაჭვული ამირანივით

ბუნება ყინვის გაწვევტს არტახებს,
 ქელს გაუქროლებს შევარდენივით,
 „გაიღვიძეთო!“ ზეცას ასძახებს.
 დაფრთხება კლდეზე ჯიხვების არვე,
 გადაეველება შეჭრილ ქარაფებს,
 ჭყიპინს დაიწვეებს არწივის მართვე,
 დათვი ბუნაგში ილოკავს თათებს.
 ჭალაში ბღავის ფური ირემი,
 ხარ-ირემმა კი მიღეწა რქები,
 გამოიღვიძებს ამერ-იმერი,
 ანგელოზივით მესხმება ფრთები.
 საოცრებაა, ცა მიწას ერთვის,
 დიადი გრძნობით ფართხალებს გული,
 აქ მწვერვალია ბედნიერების:
 რწმენა, იმედი და სიყვარული.

* * *

დედამიწაზე კალოსავით მზე გაიღეწა,
 გადაუხადა წუთისოფელს ბეგარა მრევლმა,
 როცა გვეგონა – სეტყვა უკვე გადაიხვეწა,
 იქ მოგვივლინა ქარიშხალი შავმა ღრუბელმა.
 ...და შეეხეთქა ცის კიდეზე ასვეტილ მწვერვალს,
 თმაგაწეწილმა ქარმა კლდეზეც გადაიარა,
 მიაბოტებდა და გზადაგზა ტოვებდა წვევლას...
 უკვე ზღვარს გასცდა მოთმინების სავსე ფილა.
 წისქვილი უკვე დატრიალდა და ვაი, ჩვენს თავს,
 დოლაბებმა კი გამოგვიფქვეს სულის იარა,

გული კი ფეთქავს გამალებით, ფეთქავს და ფეთქავს
...და დედამიწამ მტკივნეულად იშშობიარა!

* * *

დავლიო? არა, არ დავლევ,
ფხიზელი ეუშხერ სამყაროს,
ცხოვრებას დარდში არ გავლევ,
სულმა რომ გაიზამთაროს.
ებრაზობ? პირიქით, მშვიდი ვარ,
აზრს ხან ვკერავ და ხან ვქარავ,
ხან კი „ვა-ბანკზე“ მივდივარ,
ვიცი, ყველაფერს დაკარავ.
ვჯიუტობ? უფალს მივანდე
ბედი, არ ვეთამაშები,
შემოუწყვერი იაგნებს,
დავიმეგობრე შაშები.
მოკვდები? სანამ ვიცოცხლებ
ქვიშას ვაგროვებ, თან ვჩქარობ,
გავიხანგრძლივო სიცოცხლე,
ქვიშის საათში ჩავყარო.
ვდარდობ? არაფერს არ ვდარდობ,
აღარ მაშინებს ფანტომი,
ზეცაში გავინავარდო,
მერე გაჩერდეს წამშობი.

ქვემოთაღობს /აკროსტიხი/

ქ ართლის მიწა მოვიარე,
ვ ტკეპნე ფეხით ღობე-ყორე,
ე რთაწმინდას ცრემლი ვღვარე,
მ ეტეხს ტაძარს ვეამბორე.
ო რკაპაზე მთა დავლაშქრე,
ჭ ალას სხვილოს ციხე ვკოცნე,
„ა ხლა ჩავალ იქ მამულში“
ლ ეზურასკენ მხერა ვტყორცნე,
ა მილახვრის ტაძრის გულში
ს ამთავისზე დავილოცე.

* * *

მსურს, რომ ჩვენს სულში აღარ იავდროს,
მსურს, რომ ამწვანდეს კვლავ მთა და მდელი!
უშიშრად ვდგეკარ, თანაც ამავე დროს
მსურს, რომ ცხოვრება კვლავ გავაგრძელო,
მტერმა ყელი რომ არ გამოგვლადროს,
მედგრად იბრძოლე და დადე ლელი!
რომ აღარავინ აღარ გაკადროს:
„ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“



გიო ზედვაალი

უღმერთო კერის მეტანია

გთხოვ, მაპატიო, მე როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.
მანანა ჩიტიშვილი

ხშირად მახსენებ? ან – სულ არ, იქნებ,
რას ეუბნები ერთგულ მეგობარს?

შენ გჯერა, ალბათ, რომ ჩემზე ფიქრი
ამ სიმარტოვეს მაინც ეყოფა.
საით სახლობენ შავი ბერები?
სად არის გორა, მიწა – მომადლო?
როცა დარდისგან გავიბერები –
შევდგე, ვიყვირო,
პირი მოვადლო:
მიშველე, ღმერთო!
მწარეა დამლა,
აი, დამჭირდი, მოვედი მუხლებ-
გადაყვლეფილი,
ის ყმა ვარ ახლა,
შენს სამსჯავროზე რომელსაც უხმე.
მე მაცინებდა ყველა მლოცველი,
დრო იყო, როცა სიცილს ვაყერიდი.
დღეს ურწმუნობის ხანჯლით მოცელილს,
ღმერთი მეძახის ძველი საყდრიდან.
მძიმე ვარ ცოდვით და არც კი ვიცი,
რა მეშველება მორიგ ცოდვიშვილს?
რა გადამარჩენს: ლოცვა თუ ფიცი,
თუ გულწრფელობით სავსე ბოდიში?
ან გადავრჩები? ყინავს გარშემო!
მზე სხივებს როდის გამოიმეტებს?!

როგორც მინდორში პეპლებს ბავშვები,
მეც დავდევი გულში გამკრთალ იმელებს.

ელეგია

ირის

კაცის მოკვლა რომ შემეძლოს,
ჩემ თავს მოკვლავ, გადავაგდე
ხევში, სადაც სვაგები და ყვავ-ყორნები დამკორტნიან,
უძლურია ჩემი ღმერთი, ვეღარ მარჩენს, ვეღარ მშველის
კაცს, რომელსაც სინანულით გული ასე დამკოლია...
ჩემი გოგო აღარ მისმენს, ჩემი გოგო გამიცვივდა,
არ მწვანდება გაზაფხული, ირგვლივ ლუში ფერებია,
ან ვარსკვლავებს ვინ შესძახა,
გამქრალიყვინენ ღამის ციდან?
გაჰქრა მთვარეც, მისი სხივი ერთხელ არ მომფერებია.
ყველგან შენი სახე მხვდება, ოქროსავით ბრწყინავ მხეში,
როგორც ფიტულს, მიყვფს ძაღლი, დამცინავად მიქიცინებს
კულს... რა ყრია ამ უშენო, უხმაურო სიცოცხლეში?
ისე ვფიცავ შენ სიყვარულს, ჯერ რომ არ დამიფიცია...
უდაბნოში ყვავილს დავრგავ, ფეხშიშველი ავალ შხარას,
შენ სიყვარულს დავიყვირებ,
სანამ კვლავ გულს მომიშხამავს
შემზარავი ფიქრი იმის, რომ შენ ჩემთან აღარა ხარ.
ნეტავ, შენ ღმერთს ჩემი ღმერთი ერთი წუთით დაანახა.

ეპიგრამა

ნეტავ, რა აზრი აქვს ამ ღიმილს,
შენი კბილებიდან ელვასავით გამომკრთალს,
ან მოსვლას და ხელის ხელზე შეხებას,
როცა მე ვტირი.
მადლობა, რომ გეცოდები,
რომ გეშინია,
რომ ღელავ
ჩემი ავადმყოფი გულის გამო,
მადლობა,
რომ ისე შემეჩვიე, ვერ შემიძულე.
იქნებ სადღაც გიყვარვარ კიდევ,
მე ამას ვხვდები:
როცა ხელიდან სასმელს მაცლი და ნიჟარაში გადაუძახებ.
მაგრამ...

რა აზრი აქვს ამ ზრუნვას,
ამ ვითომ იმედს,
როგორც სიცოცხლის წყაროს,
თუ ჩემ სინანულში, რომელიც ნამღვილია,
ეჭვი გეპარება?!

მე შენ მიყვარხარ

ირის

ნუ გამექცევი, ჩემო ზაფხულო,
შემომიწევი,
შემომეხვიე!
დამეხილი ვარ
და ძლივს ვფაფხურობ,
სავსე მაქვს პირი მიწით, ბალახით.
სუყველა ლექსი დავწვი, დავხიე,
ვცხოვრობ დარდით და კატაბალახით.
ყველა კუთხეში მიწას ამოვთხრი
და დაოთხილი ვივლი ნიადაგ.
დაგირგავ ათას ყვავილს – სამოთხის,
ოღონდ ნუ მეტყვი: „დაგაგინდას“!
ნუ გამექცევი, თავზე მექცევაცა,
ფეხქვეშ მყარი მიწა მეცლება,
ყველა ხევ-ხუვთან ალი მიხტება,
ურმის ჭალაზე დამეკიდება.
მომადებს ნავთით გალუმპულ ბამბუკს
და ცეცხლი სულზე მომეკიდება.
როდის მორჩები, ღმერთო, ამ ქარბუქს,
ჭკუა რომ აღარ მომეკითხება?
ეს სიმღერაა, თუ ტირის ბრელი?
“Ne me quitte pas, ne me quitte pas“.
ღამის სიზმარიც არ მოსწონთ ჩიტებს,
დიდი ხანია, უკვე ვერთხებმა,
რაც დაიკავეს და როგორც თხილი,
ჩემი სხეული ისე იხრება.
...
ნუ გაიკვირვებ ამ ცრიატს მარტის,
მთელი ცრემლების წყება მიყვა ქარს.
მე შენ ყოველთვის ღმერთივით მწამდი,
მე შენ მიყვარდი,
მე შენ მიყვარხარ!

გიორგი ჩაჩანიძე

ვინა გხმნო, რამ მოგიყვანა?!

რამ შეგქმნა ადამიანად! რად არ მოგიშვა წვიმადა, რა ძალამ გამოგიმეტა, რომ მთები გარგო წილადა. ალაპარაკე ხეები, ნადირ-ფრინველი ფრთხილადა, ყელ-ყურზე შემოეხვიე, ქვეყანას ზურმუხტ-ძივადა.

ვინმე საწყალი ფშავლისა ლექსი დაელო რთვილადა, თუ ოდეს რთვილი გადნება უთუოდ მოვა წვიმადა, არსად გაჰქრება უკვალოდ მომაგალს მორწყავს გრილადა, მიწიდან წამოსკდება! მწუხრს გაგვითენებს ტკბილადა.

ხმელი წიფელი დადუნდა, ჩონგურს გაელო სიმადა, ყლორტი აქვს ამოფეთქილი მომაგალს უცდის ღხინადა, გამოჩენია იმედი, თვალ – ყურს მიუგდებს ხშირადა, ერთი სული აქვს იზარდოს! რომ შემოუდგეს ჩრდილადა.

შელის ნუკრს დედა რომ მოუკლეს, შემოიკედლე შეილადა, დედის ძუძუ რომ არქონდა, არ მიატოვე მშვირადა, ტყეს ჩააბარე ალალი, ნამი აწოვე მინდვრადა, მარტო შენთან არს იმედით!

თავს ვერსად ვერ გრძნობს მშვიდადა.

იაც ტყის მიწას მიანდვე, გულთ მიაბარე ფრთხილადა, ეგ შენი ტურფა ყვავილი, რომ ყოფილიყო თბილადა, მას გაეფურჩქნა ქალ-ვაჟი, ქვეყანას არგო წილადა, სამშობლოსათვის გიზრდიათ ორთავთ ლევანი გმირადა.

ფეხს წამომდგარა არწივი გადარეული გრგვინავდა, წამოეზარდა მართენი, ყვავე ყორნებს აღარ ძინავდათ, ვაჰ! დედას თქვენსა ყოებო, ცუდი დრო გერგოთ წილადა, აგერ! ნაგლეჯი ბუმბული, მინდორ ველეებზე ფრინავდა.

სხვის ჩაგვრით, ადამიანი! ვერც-როდი წარსდგა გმირადა, კაცი, ბეჩავის მჩაგრავე, დარჩა სულმუდამ ვირადა.

მონად აღზრდილო მელექსე, თამარს ესალმე თბილადა, ორთავთ მარჯვენას ემთხვიე, შოთას, ხან თამარს წვეილადა,



ებლაც ცოცხალსა რომ ხედავ, ლამპრად ანთებულს სხივადა, ან ვინ იჯერებს მათ სიკვილს?!

ბრძოლის ველს გვიძღვის სხივადა.

ხარს გევხარ, ნაიალალარს, მიწა აქციე ბრღვეინადა, ხანდახან ჟინი აგიღებს, ჩონგურს ჩამოჰკრავ ღხინადა, ღმერთო! სამშობლო უცოცხლე, ლოცვით სანთლებსა გწირავდა, მძინარეც მასხედ ღუღუნში

ღამეს ფიქრებში თელიმავდა.

ვინა გხმნო! რამ მოგიყვანა! რად არ მოგიშვა წვიმადა?! ან ცვარად რად არ მოხვედი! ან შავ კლდეებში ირმადა! ეს ფიქრი, მუდამ თან დამსდევს, რა დედამ გშობა შეილადა, განა უშენოდ ქვეყანას ფასი ექნების ძვირადა?!

ვაჟავ, მაგ კალმის ჭირიმე, რაც შენ დასწერე წილადა, მარგალიტები მოჰფინე მთელს ჩემს ქვეყანას მძივადა. შენი აქ მოსვლით, ფშაველო, შუქი მოჰფინე სხივადა, მუხა ხარ ფეხებ გადგმული, რომ ვერვინ მოგთხრის ძირადა.

დახეთქილი გაქვს ყლორტები, მომაგალს უცდი ღხინადა, მიწიდან წამოსკდება! შეგიდგებიან ჩრდილადა.

მაგისტოვის, დამბადებლო! მადლობას გწირავ წილადა, რომ შექმენ ადამიანად და არ მოუშვი წვიმადა.

ანზორ სიფრაშვილი

ავსტრალიური ნოველები

მთარგმნელისგან

ქართულად ავსტრალიური ნოველები და ზოგადად, ავსტრალიური მწერლობა ნაკლებადაა ცნობილი. ავსტრალიელ ავტორებს არც თუ დიდი ხალისით თარგმნიდნენ ქართველი მთარგმნელები, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ლიტერატურა ძირითადად ინგლისურ ენაზეა შექმნილი. ეს თუნდაც იმიტომაც გასაკვირი, რომ აქაური მწერლებიდან ზოგიერთი მსოფლიო კლასიკოსებად არიან შერაცხილი (ჰენრი ლაუსონი, კატერინა სუსანა პრიჩარდი, ალან მარშალი, ჯონ მორისონი, ჯუდა უოტენი და სხვ.). ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგი აქ დასახლებული ავტორის ნაწარმოები ითარგმნა კარგა ხნის წინ, საბჭოურ პერიოდში (მაგალითად, კ.ს. პრიჩარდის „კუნარდუ ანუ ჭა ჩრდილში“, თბ., 1983).

როგორც ცნობილია, ავსტრალია აღმოჩენილი იქნა 1606 წელს და სულ მალე იქცა ინგლისის კოლონიად, ხოლო 1788 წლიდან ეს ქვეყანა ინგლისელ კატორღელთა გადასახლების ადგილი გახდა. სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა ჩამოყვანა ავსტრალიაში 1868 წლამდე გრძელდებოდა (გადმოსახლებული იქნა დაახლოებით 6000 ათასი ადამიანი).

თავდაპირველად ავსტრალიაში წარმოიშვა ე.წ. ზე-

პირი მოთხრობა, ე.წ. იარნი(ინგლ. Yarn): აქ გადმოსახლებული ევროპელები ჰყვებოდნენ სხვადასხვა ამბებს, რომლებსაც ზოგჯერ მხატვრული ელფერი მიეცემოდა ხოლმე და ხშირად იქვე, ცეხლის პირას ანდა ლუდის ბარში ითხზებოდა. მათში ასახული იყო კატორღელთა, უბრალო მუშათა, ოქროსმადიებელთა, ფერმერთა ცხოვრებისეული ამბები. ამ თემებმა მოგვიანებით ავსტრალიელ მწერალთა შემოქმედებაშიც დიდი ადგილი დაიკავა და დღესაც მნიშვნელოვნად განსახლვრავს ავსტრალიური ლიტერატურის თემატიკას.

XIX-XX საუკუნეების ავსტრალიელ მწერალთა შემოქმედება ბევრწილად გაგრძელება იყო დიდი ინგლისური ლიტერატურისა, თუმცა მნიშვნელოვნად დაბლა იდგა მასზე, რადგან აქაური მწერლები მოკლე ფორმატის ნაწარმოებებს არჩევდნენ და თავს იკავებდნენ დიდი რომანების შექმნაზე, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ ნოველაში უფრო კომპაქტურად და სწრაფად ითქმებოდა მათი სათქმელი, ამასთან აქაური ინტელიგენციაც ზედმეტად მიიჩნევდა დიდი რომანების შექმნას, რადგან ასეთი რამ ინგლისში უკვე არსებობდა და რადგან ავსტრალია კვლავ ინგლისის კოლონიად რჩებოდა, საზოგადოება ღებულობდა მხოლოდ იმ ლიტერატურას, რომელიც ლონდონში მოწონებას იმსახურებდა.

ასე შეიქმნა ავსტრალიელ მწერალთა მრავალი ნოველა, რომლებმაც სახელი გაუთქვა მათ ავტორებს და ამჟამადაც დიდი ინტერესით იკითხება მთელს მსოფლიოში.

მკითხველს ამჯერად ვთავაზობთ კატერინა სუსანა პრიჩარდის ნოველას – „ბედისწერა“.



კატერინა სუსანა პრიჩარდი

Katarine Sussanah Prichard (1883-1969) – დაიბადა კუნძულ ფიჯიზე, ხოლო ბავშვობა გაატარა კუნძულ ტასმანიაზე. სწავლობდა მეღბურნის ქალთა კოლეჯში. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო ჟურნალისტობით, ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, ამერიკასა და აზიის ქვეყნებში. მისი პირველივე რომანი „პიონერები“ (1915) ავსტრალიის საუკეთესო წიგნად აღიარეს. მასვე ეკუთვნის რომანები: „შავი ოპალი“ (1921), „კუნარდო“ (1929) და სხვა. მოთხრობა „ბედისწერა“ გამოქვეყნდა 1937 წელს ჟურნალში

„ომე“. ჩვენ იგი ვთარგმნეთ კრებულიდან “Australian short stories”(1975).

ბედისწერა

– იქ, სადაც გახლდით, – თქვა ბილმა, – ჩვენ, სამ-ნი, ლამის რომ უწყლობით დაგმხრჩვალყავით, აქედან სადაც ოთხმოც მილზე იყო, იმ საოცარ ადგილას, სადაც ირგვლივ სულ ოქრო მოჩანდა.

ჩვენ სამი თვის წინ გავემგზავრეთ ფრეიზერ რეინჯის მიმართულებით და სადაცაა სურსათის მარაგი გაგვი-თავდებოდა, ვვარაუდობდით კი, რომ შობისთვის ქულ-გარდში დავბრუნდებოდით, რადგან ყმაწვილ ტომს განზ-რახული ჰქონდა რომ სწორედ დღესასწაულის დღეებში დაქორწინებულიყო, მე კი იმედი მქონდა, რომ ჩემი დედ-აბერი, რომელსაც გაგონებაც არ სურდა იმ დროისთვის სახლის გარეთ ვყოფილიყავი, ჩვეულებრივ მოამზადებდა ჩემთვის საშობაო სადილს.

ბილ დოპერტი და სპიკ ო'ბრაიენი ძველი მეგობრები იყვნენ. ისინი ერთად იკვლევდნენ იმ ადგილებს ოცდაათი წელი, ხმაურით იკვლევდნენ ყველა სავალს ნულაჯინის ჩრდილოეთითა და ლეიკ ვეის აღმოსავლეთით. მაგრამ ყველაზე მეტად სპიკს უყვარდა ქვიანი ბორცვები და ფარ-თო ლურჯ-მწვანე ველები სლიპინგ რივერისა და სოლტ ლეიკის სამხრეთით. მათ ახსოვდათ, რომ ერთხელ იქ წააწყდნენ ბევრ ოქროს, მერე ის ადგილი გაყიდეს, ახლა კი, როცა ფული სულ გაუთავდათ, კვლავ გადაწყვიტეს დასაზვერად წასვლა. მაგრამ ახალგაზრდა ტომისთვის ეს გამგზავრება ფრახერზე იყო პირველი ცდა შორეულ და უცნობ მანძილზე წასვლისა.

ყმაწვილი ტომი, მადაროს მუშა, კარგი ყმაწვილი იყო, ამასთან ქარივით თავისუფალი და როცა მან ქორ-წილის მოწყობა ჩაიფიქრა, მადარო ფლემ-ინ-დი-პენი სწორედ იმ ხანებში დაიხურა. მადაროს კრიზისი კარგა ხანს გრძელდებოდა და ტომმა სამუშაო მხოლოდ რამდენ-იმე თვის შემდეგ იშოვა. მისი საცოლვე, ეილი მანერსი, ფლანიგკემის სამიკიტნოში მუშაობდა, ხოლო გოგონები იმ ხანებში დიდი რამ იშვიათობა იყო. აი ამიტომ ტომი შიშობდა თუ მომავალში ოჯახის შენახვას ვერ შეძლებდა რაღაც უნდა დასჯდომოდა, არ დაეკარგა იგი.

ბევრს და თვით მისტერ ფლანიგკემსაც, სხვათა შო-რის, ეილი თვალში მოსდიოდა და ამიტომ მისი ხალხი გოგონაზე ზრუნავდა, ცდილობდნენ გოგონა ტომისთვის

აეცილებინათ და ამ ღირსეულ კაცს შეხვედროდა. მაგრამ ეილის ტომი უყვარდა და უკანასკნელ წუთამდე ბილს არ-წმუნებდა რომ ტომი წაეყვანა ოქროს მადნის დასაზვერად. ის არწმუნებდა, რომ ისეთი სიზმარი ნახა, რომელშიც ეზმანა თითქოს ტომმა იპოვა დიდი თვითნაბადი ოქროს ნატეხი და თუ ტომს თან გაიყოლებენ, ბილი და სპიკი მართლაც დიდად მოიგებენ.

– ჩვენთვის მეტად ძნელი იყო იმ ნაკვეთის დატოვება, სადაც კარგა ხანს ვმუშაობდით, სამას მილზე სლიპინგ რივერის აღმოსავლეთით, – ბილმა ჩიბუხი მოქაჩა და ნელა წარმოთქვა: – ჩვენ მოვამზადეთ რამდენიმე ფურგონი და შახტებიც გაეთხარეთ, თან სულ ტინის კლდეებსა ვთხრიდით. მაგრამ ოქრო ვიპოვეთ – სალაპარაკოდაც არ ღირს. სწორედ მაშინ იყო, სპიკმა რომ თქვა: ეელში ამომივიდა ტყუილად მიწის თხრაო. არა და თურმე ყნოს-ვით გრძნობდა ირგვლივ ოქროს. მაგრამ მაინც ამაოდ დაუშვრეთ. მე ვთვლიდი კარგი იქნებოდა თუ გზის ხარ-ჯებს მაინც ავინახლავდით მეთქი. ამას დაერთო ისიც, რომ წყარო, საიდანაც წყალს ვიღებდით, სრულიად დაშ-რა. ამიტომ აღარაფერი დაგვრჩენოდა, თუ არა ის, რომ დაგვეტვირთა აქლემები და წამოვსულიყავით.

ახლა ენახოთ რა შეემთხვათ ბილსა და მის მეგობრებს, რომელთაც ხუთი დასვენებული აქლემი ჰყავდათ და პირ-ველსა და მეორე დღეს სწრაფად მიდიოდნენ, სულ არ ეფიქრებოდათ რომ რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდნენ და მესამე დღეს მიაღწევდნენ კასრამდე, სადაც წყალი გროვდებოდა ხოლმე. მაგრამ სამწუხაროდ, ის მშრალი აღმოჩნდა და მათ კვლავ მოუწიათ გზის გაგრძელება.

– უწყლობისგან დატანჯული აქლემები უთავბოლო სირბილს მოჰყვნენ, სპიკი მათ ქარივით სწრაფად გამოუდ-გა და როგორც იქნა თავი მოუყარა, – განაგრძო ბილ-მა, – იმ დამეს ყველა ერთად ვვარაუდობდით. ირგვლივ მხოლოდ ეკლიანი ბალახი მოჩანდა, რასაც აქლემის ბალახს ეძახიან და ვფიქრობდით ეს ცხოველები მათით დაკმაყოფილდებოდნენ. წყალი მაინც არსად ჩანდა და ამიტომ მე გავემართე წყლის საპოვნელად. მივიღიდი და ვცდილობდი მივყოლოდი მწვანე თუთიყუშებს, იქნებ მათ წყალი მაპოვნიონ-მეთქი. თქვენ იცით რომ პატარა ჩიტუნები თითქოს გრძნობენ ხოლმე სადაცაა წყალი, რომ-ლის დალევაც შესაძლებელია. მათი თვისება ხომ ასეთია, რომ სადაც ისინი არიან, იქ სადღაც წყალიც მოიპოვება. ამ ფრინველებს წყალი ყოველ თორმეტ საათში უნდებათ და ყოველ ღონეს ხმარობენ მის მოსაძებნად. მე ერთხელ

ნაცადი მქონდა ეს ოინი, როცა ბლექ რანჯერის მხარესში უწყლოდ დავრჩი, მაგრამ მოვძებნე ველურ მტრელები და ძალევე წავაწყდი შშვენიერ დელეს.

ეს რაც შეეხება მტრელებს, მაგრამ თუთიყუშები? რომ არ დაგიძლოთ, თუთიყუშების იმედი არ მქონდა და მართალიც გამოვდექი: წყალი ვერსად ვნახეთ.

მაშინ გადაწყვეტიტეთ, რომ ერთი ჩვენთაგანი, სპიკი ან მე, წაიყვანდით ერთ სწრაფმაგალ აქლემს და წავიდოდით სლიპინგ რივერისკენ, იქ ავიღებდით საჭმელსა და წყალს და მაშინვე გამოვბრუნდებოდით. მაგრამ სპიკს აქლემის ტარება, მით უმეტეს გარეკვა, სრულიად არ ეხერხებოდა, ამიტომ დამეკალა მე გამოვცხადებულეიყავი იანგ ტომთან, სლიპინგ რივერზე. თუ ასე არ მოვიქცეოდით, ჩვენი გაძლება იოლი არ იყო, ხოლო ტომს ერთი დღეც არ შეეძლო უწყლოდ ყოფნა.

მოხდა ისე, რომ გამგზავრებამდე მე ფრინველებზე სანადიროდ გავემართე, ტომი კი ბანაკში დარჩა. როცა დავბრუნდი დავინახე, რომ ტომს ხელი შეხვეული ჰქონდა – თურმე ის ვერ მორიგებულეიყო ბოკოსთან, ბებერ აქლემთან, რომელიც ისეთი ავი იყო, როგორც ასპიტი. აი სწორედ ეს ბოკო სცემოდა ტომს, ეკბინა ხელზე და გაქცეულეიყო, მას კი დანარჩენი ჯოგი გაჰყვა. სპიკს რაღა ექნა, ადგა და აქლემებს, რომლებიც თვალთ ალაც იხილვებოდნენ, სირბილით დაედევნა უკან...

იგი მხოლოდ მეორე დილას დაბრუნდა და განაცხადა ის, რომ აქლემები ვერ იპოვა, სამაგიეროდ, კლდის ნატეხები მოიყოლა. მას ეს ჩვევა ჰქონდა: სიარულისას გზად ტეხდა და ზურგჩანთაში ალაგებდა იმ კლდეების ნატეხებს, რომლებიც კი გზაში ხვდებოდა. მთელი ტომარა ქვები იყო რომლებშიც ოქროც ბრწყინავდა.

– ამჯერად გაგვიმართლა, ბილ, – თქვა მან, – მთელი ადგილი მოფენილია ოქროთი. ახლავე წავიდეთ და ვნახოთ.

ტომი და მე გავყევით მას ფერდობამდე და შემდეგ სხვადასხვა მხარეს გავემართეთ. სპიკი იჯდა თავის ფურგონზე, თქვენც ხვდებით და როცა იგი გაჩერდა ბალახებთან მიყრილ კაჟიანი ქვების გროვასთან, თვითეულ ქვაში კვარცთან ერთად შეგეძლოთ დაგენახათ ოქრო, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და პატარა ნამცეცებად მოჩანდა. გახარებულეებმა ჩავთვალეთ, რომ მივაღექით ოქროს ძარღვს, რადგან მას ვხედავდით ყველგან – ეს იყო მეორე დერი ანდა ქარბინი.

ტომის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

– ო, როგორ გაუხარდება ეილის! – შესძახა მან,

– ესაა მისი ოცნება, რომელიც ახდა, ბილ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უამრავი ოქრო გვაქვს. მისი ოჯახი ახლა კი უარს აღარ იტყვის ჯვარი დავიწეროთ.

ნაკვეთი რომელზეც უნდა ჩაგვეტარებინა სამთო საქმიანობა, გადავზომეთ და შემოვსახლვრეთ პალოებით, შემდეგ კი გადავწყვეტეთ მიგვეცა განცხადება საქმიანობის დასაწყებად და მოვაგროვეთ ტომრებში რაც შეიძლება მეტი ქვები, რამდენიც შეგეძლით. გვინდოდა ძალიან სწრაფად დაგვეწყო ოქროს საძიებო სამუშაოები, მაგრამ ამას რა აზრი ექნებოდა, თუ წყალს არ მოვიძივდით.

და აი, გადავწყვეტიტეთ ერთ-ერთი ჩვენგანი წყლის მოსაძებნად წასულიყო. ეს ან სპიკს უნდა გაეკეთებინა, ან მე. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ დაახლოებით ოთხმოცი მილით ვიყავით დაშორებული სლიპინგიდან.

სპიკი თვლიდა, რომ მას შეეძლო ეს ოთხი დღის განმავლობაში მოენახა წყარო ან დელე. ის წაიღებდა ორცხობილასა და ნახევარს იმ წყლისა, რომელიც სულ ერთი ყლუბიდა დაგვრჩენოდა, რადგან სასმელი გვითავებოდა. სპიკი ძლიერი პიროვნება იყო, თამამად შეეძლო გაეძლო იქ, სადაც სხვას სიცოცხლე მოესწრაფებოდა, ეჭამა ხის ქერქიც კი ანდა ქვეწარმავლები და აქლემის ეკლიანი ბუჩქების ნაყოფი, რითაც სხვას გრიპი ან საშინელი დიზენტერია დაემართებოდა. თქვენც გირჩევთ ხელი არ ახლოთ მათ. რიგაიანად მოსიარულე აქლემით მას შეეძლო სწრაფად დაბრუნებულეიყო უკან და საჭმელი და წყალი მოეტანა.

მზე ჯერ ისევე აცხუნებდა მათ თავზე, როცა სპიკი, ბილი და ტომი ბანაკისაკენ მომავალ უკანა გზას დაადგნენ. ჩანთებში ოქროს შემცველი კვარცისა და რკინის ნატეხები ელაგათ. კარგა ხნის სიარულით დაღლილებმა როგორც იქნა ბუჩქებისგან ქოხი ააგეს და მის ჩრდილში მოცელილებით დაეყარნენ. საცოდავი ტომი იმ წამსვე ძილს მიეცა, მერე კი ბოღვა დაიწყო. ეს ან მზის ბრალი იყო, ბოღვადა, ანდა რაღაც ავადმყოფობისა: ეჩვენებოდა რომ სადღაც მთებიდან მარილიანი ტბებს ხედავდა. ეს მირაჟი ისე თვალნათლივ წარმოუდგა, რომ წამოხტა და სწრაფად დაეშვა მთის ფერდობზე წყლის საძებნელად, თან გაჰყვიროდა რომ იქ ბევრი წყალი იყო, მთელი მდინარე, რომელიც შორს მიედინებოდა. ამის შემხედვარე ბილიც ზეზე წამოიჭრა, უკან გამოუდგა და დააბრუნა, თან ამშვიდებდა და დარჩენილი წყლის დააღვევინებას ჰპირდებოდა. ტომი დაემორჩილა, ჩრდილში დაწვა და ბურტყუნებდა:

– იქ წყალია... ბევრი წყალი... წყლის ტბაა ხეებს

ქვეშ... ესენი კი ერთ ყლუპს არ მასმევენ, გესმის, ეილი? არც ერთ ყლუპს!...

შემდეგ კი მოჰყვა და მოჰყვა ყვირილს:

– ოქრო! ოქრო! ჩვენ გვაქვს ოქრო, ეილი... იმდენი ოქრო, რამდენიც გინდა... ის აქ არის... ჩვენს ირგვლივ... მაგრამ შენ მას ვერ შეჭამ. შენ არც ოქროს დაღვევა შეგიძლია... და ესენი ერთ ყლუპს წყალს არ მაძლევენ. ეს მკვლელობაა... ესაა რაცაა... და მე წამოვალ ქულგარდში ჩვენს ქორწინებაზე. ბილ... მე ვთქვი ბილ... მე უნდა ვიჩქარო ქულგარდში ქორწინებაზე! დამაღვეინე წყალი, ბილ, მომისმინე ბილ, ქრისტეს გულითვის, მომეცი წყალი დაელო!

ვიდრე წავიდოდა, სპიკი ჩრდილში გაიშოტა თვალის მოსატყუებლად. მას სხვა გზა არ ჰქონდა, მთელ დამეს უნდა ევლო. ბილი მის წინ ჩამოჯდა და დაკვირვებით გაიყურებოდა შორს ყავარივით დახეთქილი ქვიანი მთებისკენ, რომლებიც აღმოსავლეთიდან სლიპინგ რივერის მიმართულებით იყო გადაჭიმული.

ადგილი, სადაც ისინი მოეწვევნენ, ასი მილით იყო დაშორებული ადამიანებს. მოწითალო მიწა ერთიანად გადახრუკული იყო, სტუმართმოყვარეობას მოკლებული, დაბალი, ეკლიანი, მკბენარა ბუჩქებით, აქლემის ჩხვლეტია ბალახით, ხოლო მტირალა აკაციები კიდევ უფრო ამძიმებდნენ ადგილის სურათებს.

სამხრეთით მოცისფროდ გაწოლილი დაბლობი, ნაცრისფერი-მოლურჯო ბუჩქებით, ცის სუსტ სილურჯესთან იყო შეერთებული. მათ შორის მოჩანდა მლაშე ტბა, უსიცოცხლო და უმოძრაო, ვერცხლისფერად მბრწყინავე. მლაშე ტბაზე შენიშნავდით ანარეკლს იმ მშვიდი ცისა და ხეებისა, რომლებიც მშვენივრად ისახებოდა წყლის ზედაპირზე. ბილმა იცოდა, რომ ბევრმა მაძიებელმა ჰპოვა აქ სიკვდილი, იმათ, ვინც მიჰყვა ამ მირაჟს და დაიღუპა, რადგან ყველაფერი ეს მტკნარ, სასმელ წყლად წარმოუდგათ. ზოგი ტბის იქითა მხარეზე, მარილიანი ქერქის სიახლოვეს ეძებდა წყალს, რადგან ფიქრობდნენ, რომ აქ უფრო მეტი იყო შანსი ეპოვათ წყარო, ვიდრე მთის თხემზე, თუმცა სპიკმა იცოდა ეს ადგილები და დარწმუნებული იყო რომ სლიპინგის ახლოს არავითარი წყალი არ მოიძებნებოდა.

ამასობაში სპიკმა გაიღვიძა და წამოჯდა.

– ჩანს ჩვენი საქმე ცუდადაა, ბილ, – თქვა მან, – არ მგონა თუ ფხიზელი მოკვდებოდი.

– ასეთებს ნუ ლაპარაკობ, – თქვა ბილმა, – როგორც თქვი, წადი სლიპინგისკენ და ვიდრე შენ დაბრუნდები ჩვენ

აქ როგორმე გავძლებთ.

– კარგი, მაგრამ თუ მე ვერ შევძელი უკან დაბრუნება?... შენც კარგად იცი, რომ ეს არ არის ადვილი. მაგრამ მაინც ვეცდები.

– დიახ, მეც ვიცი ეს, სპიკ, – დაეთანხმა ბილი.

როგორც სპიკი, ისიც ფიქრობდა იმ ძველ დროზე, როცა ისინი მთელი დღეები გასართობად ერთად ხეტიალობდნენ მინდვრებში, სადაც მუშაობდნენ კიდევ. მაშინ იღბლიანი დღეებიც იყო და უიღბლოც, წარმატებიანიცა და მარცხიანიც და მეგობრობის გრძნობა, რომელიც სიტყვებით არ გადმოიცემა, მტკიცედ აერთიანებდა მათ. ძნელი იყო ეს ყველაფერი ახლა უკუეგდოთ, დაშორებულიყვნენ და დასასრულს ცალ-ცალკე შეხვედროდნენ.

– აბა იფიქრე, რომ ჩვენ ახლა შევგიძლია ვიყიდოთ მთელი სლიპინი, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ფიქრად გვრჩება, – სპიკმა შეხედა ჩანთებში ჩაყრილ კლდის ნატეხებს, – თუმცა იმან, რომ წყალი გაგვითავდა, შეიძლება ბოლო მოგვიღოს. ნამდვილად რომ ცუდ დღეში ვართ!

– ეს ძალზე ცუდი იქნებოდა ჩვენი ახალგაზრდა ტომისთვის, – შენიშნა ბილმა ხმაძაღვალად, – იგი იმ გოგონასთან ყმაწვილობიდან მეგობრობს. პირველად იღბალმა ზურგი აქცია, ახლა კი უნდა ითქვას, რომ მართლა ბედი ჰქონია, რაკი ჩვენს გვერდით მოხვდა.

– ბილ, რა უნდა უყო იმ ფულს, თუ შევძელით და უკან დავბრუნებდით? – ჰკითხა სპიკმა.

– არ ვიცი, – გაურკვეველად უპასუხა ბილმა. წაიყვან ჩემს დიასახლისს სიდნიში, მე მგონია. ძალიან უნდა რომ ნახოს ჩვენი გოგონა, ნენსი, რომელიც, რაც გათხოვდა და აღმოსავლეთში წავიდა, არ უნახია, არც ის და არც მისი ბავშვები. ჩემს დედაკაცს არასდროს მიუტოვებია მართლ, და წარმოიდგინე რამდენს ითმენდა ჩემგან!

– ოჰ, რა თქმა უნდა, – სპიკმა წამოიძახა დაუფიქრებლად, – მე კი ვიცი, არავინ დაიწვებს ტირილს თუ აკაციებთან ჩემს ძელებს იპოვიან. ჰოდა, კაცმა რომ თქვას, თუ მაინც მომიწევს ეს ქვეყანა დავეტოვო, მაშინ მინდა ანდერძით ცოტაოდენი სტერლინგები ჩემს დედაკაცს, კინანს დავეტოვო.

– შეხვედრიხარ პანსიონში ქულგარდში? – ჰკითხა ბილმა.

სპიკმა თავი დააქნია.

– მშვენიერი დედაკაცია... ძალიან მძიმე ცხოვრება კი ჰქონდა, მაგრამ კეთილად დარჩა. ხშირად მომცემდა ხოლმე საჭმელს, ვიდრე მშრალზე ვიჯექი.

სპიკი წამოღდა.

„კიდევ არის ერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება სარგებლობა მოგვეიტანოს. მე ვგრძობ ამას, ბილ“.

- რას გრძნობ ასეთს?
- რას და ქარიშხალს.
- წლის ამ დროს ჩვენთან ეგ არ იცის.
- მაგას ნუ იტყვი. აბა ღრუბლებს შეხედე.

ბილმა ცას ახედა, რომელსაც ვერცხლისფერ გამჭვირვალე თეთრი ქულები ფარავდა.

- მაგათი იმედი არა მაქვს, - კვლავ იუარა მან.
- კარგი, მე წავედი, - სპიკმა აიღო თავისი მათარა და ფერდობზე თანაბარი ნაბიჯით დაეშვა. ნაცრისფერმა ბუჩქებმა მალევე დაფარეს მისი გამხდარი ფიგურა. შემდეგში ბილი ამბობდა, ასეთი უილაჯობა არასდროს განმიცდია, როგორც მაშინ, როცა მეგობარი გაუშუი ამ გრძელ გზაზე წყლისთვის, მაგრამ სხვა გზა არ იყო. უმჯობესია გარისკო, ვიდრე ტყუილად, მხოლოდ ოცნების ამარა იჯდე, ან ჭკუიდან შეიშალო წყურვილისგან, ჭიანჭველებისგან და კოლოებისგან დაიტანჯო და ნელ-ნელა მოკვდეო.

იმ დღის ბოლოს, როცა მან ტომს უკანასკნელი ყლუბი წყალი დაუთმო და საჭმელად ორცხობილა მოუტეხა, ბილის მოთმინება წყურვილის გამო უკანასკნელ წერტილზე დაეიდა. ენა გაუსივდა, ძლივსლა ამოდრავებდა და ლაპარაკიც აღარ შეეძლო; ენა ისეთი ჰქონდა, გაუხეშებული და საზიზღარი გემოსი, თითქოს პირში ქვეწარმავალი გოანა ჩასძვრომოდა. მას გონებიდან არ სცილდებოდა ის სუფთა და ცივი წყარო, რომელიც თითქოს მარილიან ტბასთან ამოდიოდა. მან იცოდა, რომ წყარო მირაჟი იყო, მაგრამ ძლივს იკავებდა თავს გაქცეულიყო და ჩაწოლილიყო წყალში.

გორაკის სერზე დასუსტებული ტომი იწვა და ციებ-ცხელებიანი, ოქროზე და ქორწილის დღეზე ბოდავდა, თან გამუდმებით წყალს ითხოვდა.

ბილმა ბუჩქის ფესვებსა და ნორჩ ხეებს ქერქი გააძრო და ტომს საწოწნად მისცა. ვიდრე ამას მოახერხებდა, ცდილობდა დანა კბილებით დაეჭირა, მაგრამ ენა გაიჭრა. უკვე ისე იყო დასუსტებული, რომ ძლივსლა მოძრაობდა, მაგრამ მთელი თავისი ენერჯია მოიკრიბა, ფოთლებიანი ნორჩი ხე წამოაქცია, იქვე რომ იდგა, ფესვები ამოთხარა და თავადაც შეუდგა მათი მწარე წვენის წუწნას. ხე არც ისე შორს იყო, მაგრამ ბანაკში დასაბრუნებლად ბილის მთელი ძალ-ღონე ამოწურული ჰქონდა. იგი ძირს დაეცა და გონებადაკარგული რამდენიმე საათს იწვა. როცა გონს მოვიდა, შეძლო ნახევრად ფორთხვით, ნახევრად

ბორძიკით გახოხებულიყო და გადახურულის ქვეშ დაბრუნებულიყო.

ბილს უნდოდა დაეძინა, როგორც შემდეგში ჰყვებოდა. მართლაც, კარგა ხან თვალი არ გაუხელია. მერე კი რაღაცამ აიძულა წამომდგარიყო. ეს „რაღაცა“ რამაც წამოაგლო იგი, იყო წვიმა, რომლის მსხვილი წვეთები სახეში ურტყამდა. ბილი გამოფხიზლდა, დაინახა ცა, ჩაშავებული ღრუბლებით, ხედავდა როგორ ანათებდა ელვა და ესმოდა გრგვინვა, ზოგჯერ რომ მიჩუქდებოდა და ხეების შრიალში იკარგებოდა. თითქოს რაღაცაზე გაავებულაო, კოკისპირული წვიმა ყველაფერს წაღებდას უქადა.

ბილმა მოძებნა ყველა ჭურჭელი, რომელიც კი შეეძლო ეპოვა, რათა წვიმის წყალით აეგსო. იგი ფრთხილად სვამდა თვითონაც და ასმევდა ტომს მცირე ყლუპებით. გარდა ამისა, კარვიდან ფერდობზე გაიყვანა, რათა წვიმას ისიც დაესველებინა.

მას ახლა აღარაფრის შიში აღარ ჰქონდა - ამ წვიმამ მოუტანა ის წყალი, რაც მას სჭირდებოდა სლიპინგ რივერამდე მისადწევად.

სპიკი სამ ან ოთხ დღეში უნდა დაბრუნებულიყო სურსათსა და ცხენებთან ერთად. რაც მთავარია, ოქრო მათი იყო. ისინი წაიღებდნენ მას და შობისთვის კარგ დროსაც გაატარებდნენ.

ტომი მთლად გამოცოცხლდა და აზრზეც მოვიდა, თუმცა იმაზე უფრო სუსტად იყო, ვიდრე კატის კნუტი შეიძლება ყოფილიყო. მათ მხოლოდ ორცხობილას პაწია ნაჭერიდა დარჩენოდათ, თუმცა ეს სულაც არაფერს ნიშნავდა, რადგან ჰქონდათ წყალი და ამით ბედნიერები იყვნენ.

მთის მეორე მხარეს, მეორე დღით, მათ აქლემთა ზარების წკარუნ შემოესმათ. ბილი ადგა და იმ ხმისკენ გაემართა. ის შეხვდა ბობ ფოსტერს კაცებსა და აქლემებთან ერთად. აქლემები წყლისთვის ორმოცდახუთ მილზე წასულიყვნენ, სადაც ბობი ადრე ოქროს დასაზვერად ყოფილიყო. ბობმა იცნო ბოკო და იმასაც მიხვდა, რაც სპეკს და მის ახლობლებს მოსვლოდათ. მისი მსახური, აბორიგენი ბიჭი ახლა იმ აქლემებს მთის სერისკენ მოდენდა. ბილი და ტომი ამ ბობ ფოსტერთან ერთად სლეპინგისკენ გაემართნენ.

ვიდრე ისინი იქ იყვნენ, სპიკი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ბილის არ უნდოდა მოცდა და წასვლა დააპირა. მან მოაგროვა რაც კი რამ ჰქონდა და გზას გაუდგა, თან წაიყვანა ის აბორიგენი ბიჭი და გაემართა იქით, საითაც ალბათ სპიკი წავიდა; ბანაკიდან დაახლოებით ერთ მილზე ბილი წააწვდა კვალს წააწვდა და გაჰყვა მას, ვიდრე

ბიჭმა ეკლიანი ბუჩქის ქვეშ სპიკის გვამი არ აღმოაჩინა. როგორც ჩანს, სპიკი ხვდებოდა რომ მისი ბოლო წუთები დადგა და აღარ იცოდა რა გაეკეთებინა: უთავბოლოდ ეხეტიალა, ამოეჭრა ინიციალები ხეზე, ედეჭა ხის ქერქი. სამწუხაროდ, ის მოკვდა იქამდე, ვიდრე წვიმა წამოვიდოდა: მისი წყლის ჭურჭელი ცარიელი იყო.

– ო, დიახ, მიწის ნაკვეთი, სადაც ოქრო აღმოვაჩინეთ, ჩვენ ოცი ათას ფუნტად გავყიდეთ, – თქვა ბოლოს ბილმა, – ამის შემდეგ ახალგაზრდა ტომმა იყიდა ფლემინგ-ჰემის ღუქანი და ეილი დიდად ბედნიერი იყო, რომ ოცნება აუსრულდა. მე ჩემმა დიასახლისმა მთხოვა მივსულიყავი

ჯვრისწერაზე. დედის კინენი იქ იყო და ერთი გენახათ, როგორ მხიარულობდა! მან იცოდა რომ სპიკის წილი მას ერგებოდა და ახალგაზრდებზე უფრო მონდომებით მღეროდა და ცეკვავდა. მაგრამ მთლად კარგადაც ვერ გამოვიდა. სპიკმა აღმოაჩინა მკვლეელი საბადო და თავადაც დაიღუპა. ჩვენთვის ეს ყოველივე როგორც კარგი სანახაობა ისე დასრულდა, მაგრამ მისთვის... იმ დაწყებულ ჯვრისწერაზე მე გამუდმებით ვფიქრობდი სპიკზე, იმ კაცზე, რომელიც წევს აკაციის ბუჩქებში და ვიცი, რომ მასზე არავინ ცრემლს არ ჩამოაგდებს...

თარგმნა ანზორ სიფრაშვილმა



გაბრიელა მისტრალი

ჰომეა შვილის

I

შვილი, შვილი, შვილი! მიწიერ ტკბობის უღელში შვილი მინდოდა! შვილი ჩვენი, ჩემგან შობილი, ყველა სიზმარში ხილვებიდან მქონდა ნუგეში და კრთოდა ზეცა უსაზღვრობით შუქშემოკობილი.

როგორც ამბობენ, გაზაფხულზე როცა ბორგავს ხე კვირტის საშობად ემზადება, რათა განახლდეს... მეც, შვილო, ასე მოგინატრე, ქრისტეს რომ ჰგავდე... და როგორც კვართში – თეთრ პერანგში, ზეცად დაგლანდე.

თითქოს ვგრძნობ კიდეც, როგორ მაჭლობ კისერზე თითებს, ნახად ჩამოწნულს – სახეიძო გირლიანდევით, მე კი შენს გვერდით, ვით მდინარე მდელოზე, ჩრდილქვეშ, ჩავიდულუნებ ხეივნებში ნაქარგი გზებით.

როს ბრბოში მოვხვდით... ჩვილით ხელში მომავალ დედებს რა დაჟინებით ვუყურებდით, დავლუმიდით, გავშრიდით, ასე, უსიტყვო შეკითხვებით ერთუროს გავენდით, ბრბოს აბრმავებდა მზის ნათება – თვალები ბავშვის.

მემშვენებდა უძილობა ჯადოსნურ ღამით ვნებათაღელვის ცეცხლი საწოლს არ ედებოდა, ამ ზმანებაში გაგაჩინე, ჩიტვიით, ჰანგიით, ბედნიერს, მსურდა, სიხარული დაგვბეგებოდა.

მზის ნაბანი შენს დასაბანად მე რას მეყოფა, უსუსურ, გამხდარ მუხლებს ჩემი ცრემლით დაგილობ, ო, რა ბედნიერს გამხდით, დედი, ჩემთან თუ მოხვალ, მაგრამ არ ჩანხარ, არსად ჩანხარ, შენ, ჩემო ბიჭო.

ცოდვილი ქალი – განა ვშიშობ გარდაცვალებას,
უბრალოდ, ჩემთვის მეტად ძვირფას მშერას მივტირი,
ისე ბრწყინავდა, თვალებს მჭრიდა ცის ელვარებად,
შეხედავდი და ფიქრით ზეცას გადაივლიდი.

II

მე ოცდაათი წლის გავხდი და თითქმის ვარ მკვდარი...
მხოლოდ სიკვდილზე ვედავები ღამეს უძილოს,
მარადიული რატომ მერგო წვიმა და ქარი,
მლაშე ცრემლები, დარდი – მწარე, სევდა – უძირო.
ფიჭვი რად იწვის, თუკი მზე არ გაჰკარებია,
შენ რომ მყოლოდი, შვილო, ნუთუ გეყვარებოდი?!
მე ცხოვრებისგან დაღლილი და ნაწამები ვარ,
ღამარცხებული ვითომ ღელა გეამბობები.

გულში გაგაჩენ. ავიტაცოთ ტკბილი მირაჟი...
ხის ყვავილობას ვით არ მოჰგავს ორსული ღელა,
ორმოცი კვირა გადაგმაღავ შენ ჩემს წიაღში,
მერე გაგაჩენ... ოლონდ ფიქრში... იქ ვიყოთ ერთად.

ვერანაირი ყვავილები, წყაროს რაკრაკი
ვეღარ მიაძებს სულის ტკივილს ამ გაზაფხულზე,
ცხოვრებამ მსხვერპლი მოითხოვა დღეს ჩემგან რაკი...
ძარღვებში სისხლი ამტკივდა და ვერ მოვიშუშე.

მოულოდნელად, ერთხელ წყრომით ვუყვირე შშობლებს:
„ – რად გამაჩინეთ!“ –

მწარე ყოფით რატომ დამღალეთ,
ან ღელამ ძუძუ რად მაწოვა, ვინ გთხოვდათ, მოკლედ...
შენც რომ ეს გეთქვა? შვილო, ნუთუ მეტყოდი, ჰა, მეც?!

დღეს... ჩემო ბიჭო, ვის უცინე ღამაზ სიზმრებში,
ვერ მოგიწევი, ვერ გარწიე, გხედავ, ხარ ძილში,
რადგან მე თვითონ ტკივილებში ისე ვირწევი,
რომ მეჩვენება თითქოს ვიწვე ფსკერზე, ჭის ძირში.

დასანანია, მე – თვალხილულს, ღხინი არ მერგო,
სიკვდილზე ფიქრი არ მასვენებს,
ურცხვად თავს მესხმის,
ისევ ვიჩიქებ... ვგრძნობ, რომ ძელები მიწას ჩაესო,
რისთვის დამტანჯე, რა შეგცოდე, ღმერთო, ასეთი...

ნეტა, უფალმა ზავი ჩემთან რატომ არ დადო,
მან ერთმა იცის, რომ მე ბრალი არსად მიმიძღვის,
მომავალზე თუ ვიოცნებე – ამისთვის, რატომ?
სისხლის ნაცვლად ხომ
ამ ძარღვებში შვილზე ფიქრი მდის.

ნეტარებაა – მე ვარ წიგნის ბოლო ფურცელი,
ნეტარებაა – ჩემს წიაღში გასრულდა გვარი,
შენ, დედაჩემო, ჩემს გენში არ განმეორდები,
და აღარასდროს გაქვითინებს აშარი ქარი.

დაიფერფლება ტყეები და ისევ ახლდება,
ხე ყლორტებს იყრის, გაკაფული ბასრი ნაჯახით,
მე უნაყოფოდ მოვკვდები და კადრიც აქ წყდება –
მოკვდება ყველა ჩემიანიც – ჩემში ნატანჯი.

მე მომეკითხა მთელი ჩემი ოჯახის ვალი,
ფუტკრის სკასავით აზუზუნდა გული მკვნესარი,
როგორც მდინარე ზღვას დაეძებს, მარღად მავალი.
ისე მერევა დარდი ჩემი, ჩემი მღევარი.

მკვდარი თვალები, ჩაჰყოლიან მზისფერ დაისებს,
ვისაც ვუყვარდი,
ჩემთან იყვნენ ბრმად თუ ფრთხილადაც,
გთხოვთ, მომიტყვეთ, სანამ ბაგე კვნესას დაიწეებს,
შენლობას ვითხოვ... მაპატიეთ... ჩემთვის ილოცეთ...

მე ვერ მოვიძვე სიყვარულის ტკბილი ნაყოფი
და ჩემი თავიც მთლად მომბეზრდა...

ახლა მე მას ვგმობ,
დღეს სუნთქვა მიჭირს,

ალბათ, მალე წუთებს ჩამოვთვლი,
მძიმე ხელებით რას ვეხები...

მსუბუქ ფურცელს ვგრძნობ...

იცო, გავზარდე სხვისი შვილი, ვიყავ გამზრდელი,
შენ, ჩემს გაჩენილს მოგელოდი, შვილო, დღითიდღე...
მამაო ჩვენო, წმინდა იყავნ შენი სახელი...
ამაღამ... ვიცო, მოვკვდები და ზეცად მიმიღე!

მარია ჰოვიაშვილი

თემურ ყვითელაშვილის სოლო კონცერტი და ვარსკვლავის გახსნა



2022 წლის 22 ოქტომბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გიტარისტის თბილისის და ახალციხის საპატიო მოქალაქის თემურ ყვითელაშვილის სოლო კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ: თემურ მაისაშვილი – ფორტეპიანო, ნიკოლოზ ჩარკვიანი – სინთეზატორი, მერაბ სანოძე – პერკუსია, ლევან დეისაძე – ბასგიტარა, ზაზა ცერცვაძე – დასარტყმელი ინსტრუმენტები და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი; დირიჟორი თემურ ყვითელაშვილი უმცროსი (თემურის შვილი).

კონცერტის დასაწყისში თემურ ყვითელაშვილმა აღნიშნა: „ამ სცენაზე მეათე სოლო კონცერტს ვმართავ, ჩემი ვრცელი რეპერტუარიდან შევარჩიე ის ნაწარმოებები, რომელიც მსმენელს ძალიან გიყვართ“. თემურმა ჩვეული მომხიბვლელობით შეასრულა ქართველი და უცხოელი გამოჩენილი კომპოზიტორების: რევაზ ლალიძის, დავით თორაძის, ალექსანდრე ბასილაიას, იოსებ ბარდანაშვილის, ბიძინა კვერნაძის, გოგი ცაბაძის, პიაციოლას და სხვების მუსიკალური ნაწარმოებები ბენდთან და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრთან ერთად.

კონცერტის დასასრულს მან მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პირადად ქალბატონ თეა წულუკიანს, ქალაქ თბილისის მერიას, საქართველოს კულტურის პალატას, სპონსორებს, ფილარმონიის თანამშრომლებს, მათ შორის ბატონ ტარიელ გაგნიძეს, რომლის პროფესიონალიზმის გარეშეც წარმოუდგენელია ამ სცენაზე კონცერტის გამართვა, ბენდს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს, დირიჟორს – უმცროს თემურ ყვითელაშვილს, ერთგულ მაყურებელს. სამადლობელი სიტყვების შემდეგ თემურ ყვითელაშვილმა ელექტრო გიტარაზე შეასრულა მელოდია „ყვავილების ქვეყანა“. ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე დარბაზში მობრძანებულმა მაყურებელმა ფილარმონიის წინ გადაინაცვლა, სადაც დათო ოქიტაშვილმა გახსნა თემურ ყვითელაშვილის ვარსკვლავი. „ყველაზე დიდი სიხარული და ბედნიერება ჩემთვის ხალხის სიყვარული“ – აღნიშნა ბატონმა თემურმა ვარსკვლავის გახსნისას. სოციალური მედია აჭრელებულია ბატონი თემურის ვარსკვლავის

გახსნის ფოტოებით და ვიდეოებით. მთელი კონცერტის განმავლობაში მუშაობდა გადამღები ჯგუფი. კონცერტის სრულ ვერსიას მაყურებელი იხილავს ტელევიზიით.

ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ ერთგულ მკითხველს ვთავაზობთ კომპოზიტორის, მომღერლის, არანჟირების ავტორის, მსოფლიო ხუთეულში შესული ვირტუოზი გიტარისტის თემურ ყვითელაშვილის მუსიკალური ცხოვრების განვლილ გზას: თბილისში დაიბადა. თემურ ყვითელაშვილი არის თვითნასწავლი გიტარისტი. ის მუსიკალური განათლების გარეშე დამოუკიდებლად დაუფლა გიტარაზე დაკვრას და გამოიმუშავა დაკვრის საკუთარი სტილი. იგი გახლავთ პირველი ქართველი გიტარისტი, რომელმაც 1975 წლიდან დაიწყო ქართული კლასიკური და თანამედროვე მუსიკის დამუშავება და ტრანსკრიპციების შექმნა ელექტრო გიტარისათვის. მან აგრეთვე შექმნა ტრანსკრიპციები და დაამუშავა ელექტრო გიტარისათვის მსოფლიო კლასიკოსების: ბახის, მოცარტის, პაგანინის, შუბერტის, რიმსკი-კორსაკოვის, შოპენის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

თემურ ყვითელაშვილი არის პირველი ინსტრუმენტალისტი საქართველოში, რომელმაც ჩაატარა სოლო კონცერტი თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. იგი სოლო კარიერის პარალელურად თანამშრომლობდა ცნობილ და აღიარებულ ინსტრუმენტელისტებთან, ვოკალისტებთან და ანსამბლებთან, როგორც საქართველოში, ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და მის ფარგლებს გარეთაც.

თემურ ყვითელაშვილი მრავალი წლის განმავლობაში არის მსოფლიოში ცნობილი და პრესტიჟული გიტარების და მუსიკალური აღჭურვილობის ბრენდების



სახე. მისი სახელი შეტანილია სხვადასხვა პრესტიჟულ მუსიკალურ ენციკლოპედიებში. მის მიერ შესრულებული რამოდენიმე კომპოზიცია შესულია მსოფლიო საუკეთესო გიტარისტების აუდიო კრებულში და გამოცემულია CD-ის სახით.

თემურ ყვითელაშვილი სოლო კონცერტებით და მასტერ კლასებით გასტროლებზე იმყოფებოდა ისეთ ქვეყნებში როგორებიც არის: აშშ, კანადა, ინგლისი, ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი, ისრაელი, ავსტრია, ბელგია, შვედეთი, რუსეთი, გერმანია, უკრაინა, ყაზახეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები და სხვა.

თემურ ყვითელაშვილს სოლო კონცერტები აქვს ჩატარებული ისეთ პრესტიჟულ დარბაზებში როგორებიც არის: აშლოდის საკონცერტო დარბაზი – ისრაელი, ჯაზ კლუბი – ლოს ანჯელოსი, ჯაზ კლუბი – ნიუ იორკი და მრავალი სხვა.

თემურ ყვითელაშვილი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში, რომელმაც დაამყარა მსოფლიო რეკორდი: 30 საათი დაუკრა შეუჩერებლად. თემურ ყვითელაშვილს ჩაწერილი აქვს ცხრა სოლო ალბომი.

ბლიც ინტერვიუ თემურ ყვითელაშვილთან:

- **სად დაიბადეთ და ბავშვობა სად გაატარეთ?**
- 1960 წლის 4 ივლისს დაეიბადე თბილისში; ბავშვობა „მეიდანზე“ გავატარე.
- **რომელ სკოლაში სწავლობდით?**
- თბილისის 67-ე საშუალო სკოლაში
- **პირველი აკორდი გიტარასთან?**
- პატარაობიდანვე დიდი სიყვარული მქონდა გიტარისადმი; უბანში ჩემი თავი ჩემს თანატოლებს გიტარის

გარეშე ვერ წარმოედგინათ.

- **სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სად გააგრძელეთ?**

- ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისთვის სასურველი აბიტურიენტი ვიყავი, მაგრამ პუშკინის ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

- **თქვენი სამაგიდო წიგნი?**

- მსოფლიო მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი.

- **თქვენი ისტორიული გმირი?**

- დავით აღმაშენებელი.

- **საყვარელი მწერალი?**

- შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ჭაბუა ამირეჯიბი.. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

- **საყვარელი კინორეჟისორი?**

- თენგიზ აბულაძე.

- **საყვარელი კინომსახიობი?**

- XX საუკუნის ლეგენდარული მსახიობები, რომელთა უმრავლესობა დღეს ცოცხლები აღარ არიან; უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ქართული მხატვრული ფილმები: „გიორგი სააკაძე“ და „დათა თუთაშია“ და მათი როლების შემსრულებელთა ოსტატობა.

- **თქვენი ჰობი?**

- სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი.

- **განსაკუთრებით რომელი დღესასწაული გიყვართ?**

- ახალი წელი, თბილისობა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი, ახალციხობა და რეგიონული დღესასწაულები; საქართველოს ყველა კუთხე ღამაში და მომხიბვლელია.

- **მთის კურორტი გიყვართ, თუ ზღვა?**

- ორივე.

- **რას აფასებთ ადამიანში?**

- ერთგულებას, პუნქტუალობას, გულწრფელობას, თავმდაბლობას.

- **თქვენი დაუვიწყარი დღე?**

- ჩემი შვილების და შვილიშვილების დაბადების დღე.

- **მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხართ ნამყოფი, რომელ ქვეყანას გამოარჩევდით?**

- იაპონიას.

- **რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონთ?**

- ქართული და იაპონური.

- **რას ნიშნავს თქვენთვის თბილისი?**

- თბილისი არის ჩემთვის მსოფლიოში ნომერ პირველი ქალაქი.

- **ნატურისთვის რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?**

- გამთლიანებულ საქართველოს, იმას, რომ წარმატებული იყოს ჩემი ქვეყანა და სიმშვიდე და სიყვარული სუფევდეს...

ქაჭუნას აღკვეთილი



თბილისიდან სულ რაღაც 170 კმ-ში, კახეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, უნიკალური ჭაჭუნას აღკვეთილი მდებარეობს. ჭაჭუნას აღკვეთილის მრავალფეროვანი ლანდშაფტები წარუშლელი შთაბეჭდილებებით აგავსებთ. ჭაჭუნას აღკვეთილი გამორჩეული და უნიკალური ადგილია აღმოსავლეთ საქართველოში. დაუსრულებელი ხასხასა მწვანე მინდვრები ათასფერი ყვავილებით, კაშკაშა მზე და ულამაზესი ლურჯი ცა, ტალახის ვულკანები, ფართოფოთლოვანი ტყეები და უნიკალური ივრის ჭალები ერთად ქმნის გარემოს, საიდანაც წამოსვლა არ მოვიხდებით. აქ შესაძლებელია მოიწყოთ დაუვიწყარი ლაშქრობა 4 სხვადასხვა ბილიკის მიმართულებით ფენით ან ველთაპყრობით, დააკვირდეთ გადაძვრენ, მობუდარ და ლეშიჭამია ფრინველებს, მოიწყოთ ფოტო-მოყვარულთა ტური ან დაკავდეთ სპორტული თევზაობით.

ჭაჭუნას აღკვეთილი 1965 წელს შეიქმნა, როგორც სატყეო მეურნეობა. 1996 წლიდან კი აღკვეთილის სტატუსს ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მინიჭებული აქვს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი, ხოლო ჭაჭუნას აღკვეთილი ამ რეზერვატის, მეტად მნიშვნელოვან, ბუფერულ ზონას წარმოადგენს. მისი საერთო ფართობია 4 697 ჰექტარი. მისი შექმნის მიზანს საერთაშორისო მნიშვნელობის, მაღალი ღირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის, მდინარე ივრის ჭალის და ასევე ფართოფოთლოვანი, მერხერი ტყეების შენარჩუნება წარმოადგენდა. ჭაჭუნას აღკვეთილი ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელში შედის, რაც ნიშნავს იმას, რომ მას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება.

ჭაჭუნას აღკვეთილი გამორჩეულია მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით. მდინარე ივრის გაყოფებზე თქვენ იმოგზაურებთ იშვიათი ტიპის ჭალის ტყეებში, ხოლო მის მიმდებარე გორაკებზე და ტერასებზე სხვა და

სხვა სახის ფართოფოთლოვან ტყეებს დაათვალიერებთ.

აქ მრავლადაა საქართველოს „წითელი ხუსის“ მცენარეები, რომელთაგან აღსანიშნავია საკლის ხე. ჭალის ტყის აბსოლუტური დომინანტი კი მთრთოლაფი ვერხვია.

ჭაჭუნას აღკვეთილის ულამაზეს ბუნებაში ბინადრობენ მურა დათვი, ტურა, ლელიანის კატა, ფოცხვერი, მახვი, წავი და გარეული ღორი.

ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებს კი აქ შესაძლებლობა გაქვთ დააკვირდეთ შავარდენს, მიმინოს, კაჭკაჭს, კაკაბს. თრბებს და ფსაკუნჯებს საცნოვრებლად კლდეებში არსებული გამოქვაბულები შეურჩევიათ, ბექობის არწივი მუხის ხეზე, სვაფი კი ღვიის ხეებზე ბინადრობს. ჭაჭუნას აღკვეთილი ულამაზესი ფრინველი ღურაჯის მნიშვნელოვანი საარსებო გარემოცაა.

ქვეწარმავლებიდან გვხვდება გიურზა, რომელიც საქართველოში არსებული ყველაზე შხამიანი გველია. მოგზაურობისას გადაადგილით ფრთხილად, იმოგზაურეთ მხოლოდ გაკვალულ ბილიკზე და დააკვირდით, რომ შემთხვევით ფენი არ დაადგათ, სხვა შემთხვევაში გიურზა აგრესიული არ არის და მისი თავდასხმის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსიებულია.

თუ კი გადაწყვეტთ თავი გამოსცადოთ სპორტულ სამოყვარულო თევზაობაში, მდინარე ივრის რამდენიმე სახეობის თევზი ბინადრობს, მათ შორისაა ლოქო, მურწა, სქელშუბლა, ხრამული, წვერა, შამაია.

